

1168

2001


# მზა

N46(75) 15/XI.-21/XI.2001. ღირსი 60 ლ.



**რატომ ემუქრებოდა  
ნილო ბურჯანაძის  
მეუღლას სიმამრი**


**სიძეს „გედნეირების  
დღას“ ორი კასი  
უამოაკვდა**



**შეარზე საუბარი მკაცრსა და მსუსტიანს აღარ სურს  
ვინ უყიდა მისი მსუსტიანის მერსედესი**

**ავღანეთში ნაბრძოლი ქართველი  
გენერალი საიდუმლოდ ამუღავნებს**





**33.36**

**გოგუცა ასანიძე —  
მსოფლიო ჩემპიონის დედა:**

**„კალიან სვირად, სარიელი პურიტა და  
ტყემალით დანაყრებული ან სულაც მზიარი  
შასულა ვარჯიშზე... მოკლედ, ყველაფერი აკლდა  
ჩემს გიანს, მაგრამ რწმენა არასოდეს დაუკარგავს.  
ამან გააკლავინა, ამან მიიყვანა დიდ სპორტში...“**



**ვინაიდან**

„კარები წყვეტენ ყველაფერს!“ 3

**კარსონა**

პარლამენტის თავმჯდომარის შვილს შევარდნაძე პრეზიდენტობას შეჰპირდა 4

**ეკსპერტი**

ავღანეთში ნაბრძოლი ქართველი გენერალი საიღუმლოს ამჟღავნებს 8

**მსახიობი**

„ნათესავებს ეშინოდათ, ღებოლი ან მახინჯი არ ღავბადებულებიყავი“ 10

**ფანოქანი**

ქართული მედიცინის ტრიუმფი და ტრაგედია 12

**სასარგებლო აზრები**

აფორიზმების ენციკლოპედია 13

**ქალი საქსთან**

რა შეიცვალა მაკა ასათიანის პირად ცხოვრებაში? 14

**ნაფიქვი აზრები**

სიურპრიზი „მუგების მფარველისთვის“ 17

**კრიტიკა**

სისხლიანი გარჩევა და ავტობიუსის ჯარი 18

**სქანსა ჟიღილი**

ფსიქოლოგი გვიჩვენებს: ნუ ვიჩქარებთ ქალწულობის ინსტიტუტის „გაღაზებას“! 21

**ანტიფარსიანი**

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან 22

**სენა**

„ტირიფებისა“ და „მელიქიშვილის გაფიქრის“ ავტორს სენის სიყვარულით აკანკალებს 24

**ტასტი**

ერთგული მკითხველი 26

**ფსიქარი**

„სუსტმა“ არსებამ უპიჯი „ღამაწერა“ და მანქანას...“ 27

**ჩაბუკავი**

„ტყვიები ღაცობეთ, ბიჭებო!“ 30

**საყვარო**

მისი უდიდებულესობა კარტოფილი 32

**ტრადიციები**

„ჯვრის მამლებს“ აღარ კლავენ მრგვალები... 34

**პარლამენტის თავმჯდომარის შვილს შევარდნაძე პრეზიდენტობას შეჰპირდა**



პარლამენტის ახალი თავმჯდომარე, ანზორ ბურჯანაძის ერთადერთი ქალიშვილია. დილაობით, ბაგონი ანზორი და ქალბატონი თინა, შვილისა და სიძის სახლში კერძებით დაგვირთულები მიდიან. ჩვენც სწორედ ასეთ დროს შევხვდით მათ და მათვე ვაგვიწიეს მეგზურობა ნინო ბურჯანაძის ოჯახში.

4

**„ნათესავებს ეშინოდათ, ღებოლი ან მახინჯი არ ღავბადებულებიყავი“**

სტუმრად რომ მოვხვდებოდი, მინ წამოსვლამდე დედაჩემი შემოსასვლელში დამაყენებდა, ნაქურდალს ამომალაგებინებდა და მასპინძელს ბოდიშის მოხდით უბრუნებდა. ვიპარავდი ყველაფერს, რაც ხელში მომხვდებოდა.



10

**სისხლიანი გარჩევა და ავტობიუსის ჯარი**




ახალშეუღლებული წყვილი გაბედნიერების აღსანიშნავად მეგობრებისა და ახლობლების თანხლებით თბილისიდან ახალდაბაში ჩავიდა. თუმცა, ქეიფის დღეს შეიმის აღსანიშნავად ჰაერში გასროლილ ორ გყვიას ცოცხალი ხანში ორი მკვლელობა მოჰყვა.

18

**რა შეიცვალა მაკა ასათიანის პირად ცხოვრებაში?**

მაკა ასათიანს როგორც ჩანს, ბოლო დროს პრობლემები შეექმნა და თბილისური ჭორების ეპიცენტრშიც ეს მშვენიერი ქალბატონი კიდევ ერთხელ მოექცა. მაკა ასათიანს ქმარზე საუბარი არ სურს და, ცხადია, კიდევ უფრო ღრმავდება ინტერესი მის ცხოვრებაში შესაძლო ცვლილებების გამო.



14



**საგანგებო**

ტყვეობაში გაღატაკებული  
„ვეფხისტყაოსანი“ 35

**ფაქტობრივი**

● გზა მიწისკერძით დანგრეული  
ღარბაგიდან მსოფლიო  
ჩემპიონის კვარტს ლაგაგაძე 36  
● ღიებო წავიდა...  
ვინ გახდება ახალი „ვეფხი“? 40

**პარსკვლავი**

მის მოსახელთებლად  
რეჟისორები რიგში ღებვიან... 41

**უაპრონათ თქვენი ყოფა**

ტესტი ერუდისიანზე 43

**რომანი**

ნუგო ბაგელი.  
ტარაკანა (გაბრძელება) 44

**აქტუარი-იქტუარი**

48, 49

**ავტო**

50

**პროგნოზი**

უკომპრომისო ბრძოლა  
ინტერნეტში ბატონობისთვის 52

**ვიკითხვა**

მსოფლო გეაღამიანი  
გაღაგვარჩენს კომპიუტერის  
ბატონობისგან 53

**ჯანმრთელობა**

- ჯანმრთელობის ფილოსოფია 54
- თქვენი კატარა 54
- სამკურნალო მცენარეები 55
- ღიახალისის კუთხე 55
- რჩევები ქალბავ 56
- კითხვა-პასუხი 56

**ფსიქოლოგიური თემატიკა**

შეზიარებით თუ არა რთული  
სიტუაციიდან თავის დაღწევა? 57

**ადამიანი-ლაგანა**

გენიალური ბაირონის შვილი  
- პირველი კომპიუტერული  
პროგრამის ავტორი 58

**სანსორი**

61

**პორტალი**

კვირის (19-25 ნოემბერი)  
ასტროლოგიური პროგნოზი 62

**ტესტი**

როგორ ანაწილებთ ღრის? 63

**კალიდოსკოპი**

ჩრეთ-ჩრეთი ამბები 64

გარეკანზე: ბიორგი ჟორჟლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“  
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით  
გაზეთ „კვირის კალიტრის“ დამატება  
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი  
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი  
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
ჟურნალი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორში“

# აგლანეთში ნაბრძოლი ქართველი გენერალი სიღუმელოს აქვდაგნებს



მოჯაჰედების გული ქრთამითაც  
მოვიგეთ - 25 ათასი აშშ დოლარის  
ეკვივალენტის ავღანი მივეციით  
და ფეშქაშად, გყვია-წამალიც და-  
ვუმაგეთ. თუმცა, ბრიყვები ხომ არ  
ვიყავით? კარგად ვიცოდით, რომ  
აღრე თუ გვიან, ამ გყვიებს ჩვენ  
დაგვიშენდნენ, ამიგომაც სიურპრი-  
ზიყ „ჩავყაოლეთ“.

8

# „სუსტა“ არსებამ ფულის „ღამანერა“ და მანქანას

გორის მილიციის უფროსი მე-  
კითხება, როგორ შოულობ იმდენ  
ფულსო?... ნაძლევეებს ვიგებ-მეთი,  
ეუქასუხე. როგორო? - როგორ  
და, თუ ვინდა, 1000 მანეთზე დავნა-  
ძლევედეთ, რომ ორ საათში საჯ-  
დომზე ძირმაგარას ამოვიყვან-  
მეთი. გულიანად იყინა და დამ-  
თანხმდა.



27

# მის მოსახელთებლად რეჟისორები რიგში ღებვიან...



ერთადერთი მამაკაცი, რომლის  
გამოც სიუზენი თავისი პრინციპე-  
ბის დათმობასაც დათანხმდა, ფრან-  
გი რეჟისორი ლუი მალი გახდა.  
ლუიმ სიუზენს ქალურობის გა-  
მქლავება, მოხდენილად ჩაცმა და  
სიყვარულით ტკობა ასწავლა და...  
სხვა ქალზე დაქორწინდა.

41

# ცანყყანა

გულცივად გადახედა ორ ჩე-  
მოდანს, ფაცხაფუცხით რომ შემოი-  
განეს სალონში და მანქანა აღ-  
ილიდან მოწყვიტა.


ერთ ქუჩაზე ავტონისპექციის მან-  
ქანა შენიშნეს. ინსპექტორმა ჯოხი  
მოიმარჯვა. ახლა კი აუტგერდა გუ-  
ლი, აუკანკალდა მუხლები.  
- არ გაუჩერო!



44



# „ხადრენი წყვეცენ ყველაფერს!..“



ჩემი ცოდვა მიეცეთ ამ არეულ-დარეულობის და პოლიტიკური ორომტრიალის ავტორ-ორგანიზატორებს – იმ მილიონი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც წინა არჩევნების დროს ჰპირდებოდნენ საქართველოს მოსახლეობას, ერთი ნამდვილად უზრუნველყვეს: ვიყავი ჩემთვის, ვაცხოვრი ჩემს „პროვოკაციებს“ და ლუკმა მქონდა, მე შენ გეტყვი და, თემა შემომაკლდებოდა თუ „პერსონაჟები“?!

ახლა რაღა ვქნა?! რა ჯანდაბა და ღოზანა ვჭამო?! მინისტრი აღარ დატოვეს თავის სკამზე და პარლამენტის თავმჯდომარე, „ყოფილები“ კი არავის აინტერესებს – არ არის „აქტუალური“! ეგ კი არა, ამას წინათ მეტროთი მგზავრობისას ასეთ ფრაზასაც მოვკარი ყური: „საწყალი ჟვანია, ეს რა დაემართა...“ მივიხედე და ვაგონში მუშაობისას „წუთშესვენებაზე“ ჩამომჯდარი ორი მათხოვარი ესაუბრებოდა ერთმანეთს...

ისე, ვინც რა უნდა თქვას და, მართლა დიდი კაცია ჩვენი პრეზიდენტი: ოცდაათი წელია საქართველოს სათავეშია (ხუთიოდე წლის გამოკლებით – როდესაც „ჩრდილოეთის მცხუნვარე მზეზე“ ირუჯებოდა) და დანამდვილებით იცის, რომ „კადრები წყვეტენ ყველაფერს“. ის დებულებაც კარგად გაითავისა, რომ კადრების საკითხში კადრება უკადრებლისაც შეიძლება და ჰაიდაა...

გამოცუნდრუკდნენ ამას წინათ ლაწირაკები რუსთაველზე, წინ მათზე არცთუ ისე უფროსი, მაგრამ უკვე „გამოცდილი პოლიტიკოსები“ მიუძღოდნენ და – „აბა, ერთი ბარტყი გადმოგვიგდო!“ – „რომელი, თქვენ გენაცვალთ მამა-მარჩენალი?“ – „რომელი და, რკინის კაციო!“ – „ა, გენაცვალე“ – და გადმოუშვა იშკილებიდან. სულ არ მიაქცია ყურადღება, რომ „ნაცადი კადრი“ ჯერ გულამოსკენილი ტიროდა, მერე კი დანამუსებაც დაუწყეთ: „მე რომ შენ რკო მოგიტანეო“...

„კიდევ რას ისურვებთ, შვილებო?“ – ჰკითხა მოთხოვნის მოულოდნელი დაკმაყოფილებით ცოტა არ იყოს შემცბარ „შვილებს“. „ახლა მაგის თითქმის კოლეგა რომ არის, სულ ჩუმად როა და ვითომ არაფერს აშავებს, ისიც მოიტაო!“ – იფიქრეს, ამაზე მაინც გვეტყვის უარს და მერე „დავცხებთო“. „კი, მამა, კი, შვილო“ – უპასუხა და ბუდეში მოაფათურა ყოვლისშემძლე ხელი, მაგრამ კიდევ ერთი „ნაცადი კადრის“ მაგივრად, მისი განცხადება დახვდა (უფრო „ნაცადი“ ყოფილა, ვიდრე ეგონა) – სანამ გადამაგდებ, მე თვითონ მივდივარ, თქვენი პატრონი დედაც ვატირეო! „გაპარულა, ბაღნებო, ეს ვირიშვილი. ხომ გეუბნებოდით, მე არასოდეს მიჯერებს-თქვა. თქვენთანაც თუ რამე შეეშალა, „საკუთარი ინიციატივით“ შეეშალაო... რაც მთავარია, ბუდეში აღარ მყავს და თქვენც აღარ აგიშლით ნერვებსო...“ – გადმოსძახა უკვე სრულიად დაბნეულ მოპროტესტებებს. „ჰე, ნუ გრცხვენიათ, კიდევ გენდომებათ რამე – აბა,



მე რისთვისა ვარ აქ. თქვით: „ვისი სული გსურთო?“ „რკინის კაცს რომ თავის რკინის კულზე ჰყავდა გამობმული – პროკურორი გადმოგვიგდო!“ ხომ გახსოვთ ზღაპარი: „რაღა ექნა ჩიტ-ჩიორას, გადაუგდო მესამე ბარტყიც...“ თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მესამე ბარტყის ტკბილი სიტყვაც არ დაამალდა: „ეს არ არის ცუდი ბიჭი, კვალიფიციური იურისტი და განათლებული კაცია. თუ მთლად შესაჭმელად არ გინდათ, დამიბრუნეთ, სადმე გამოვიყენებ – ხომ იცით, კადრები წყვეტენ ყველაფერსო...“ თქვენც არ მომიკვდეთ, ვინ მოუსმინა – ბავშვები ხომ ისეთი სასტიკები ხდებიან ხანდახან... სასტიკები კი არა, ლამის გაგიჟდნენ, აღარ იცოდნენ, რა ექნათ და ცნობილი ანეკდოტისა არ იყოს („ქუდი რატომ არ გახურავსო“), ბოლოს და ბოლოს, პირდაპირ გამოუცხადეს, რასაც თავიდანვე ფიქრობდნენ: „ეხლა, ადექი და შენ თვითონაც დაახვიეო...“

აი, აქ კი გაეცინა გულიანად, თავისი საქვეყნოდ სახელგანთქმული გულია სიცილით: „მანდ რომ დგახართ და იგინებით და იფურთხებით, მოდით ახლა და ავერ ჩააფურთხეთ – რას ჰქვია „დავხვიო“, თქვენ მე ნატვრისთვალი ხომ არ გგონივართ?! მხოლოდ ჯინი ვარ და სამ სურვილზე მეტს არ ვასრულებო... წადით ეხლა, „საქმე“ ქენით და დაიძინეთ!..“

დანარჩენი კი, როგორც სპორტული კომენტატორები იტყვიან – ტექნიკის საქმე იყო: სამ ბარტყს დანარჩენი თხუთმეტიც მიაყოლა, იმ „ოროსანი“ სტუდენტების დღეუგატები თავის ბუდეში მიიღო და თავი მოუქონა, დაამშვიდა და მომავალში „კომკავშირში“ მიღებასაც დაჰპირდა... თანაც ამ თხუთმეტი უდღეური მინისტრის გადადგომასაც გამორჩა გამოსარჩენს: პარლამენტის თავმჯდომარე იძულებული გახდა, სოლიდარობის ნიშნად, საკუთარი ნებით ჩამოქვეითებულიყო. ამან მერე თქვა, ვიხუმრეო და თხუთმეტივეს უკან დაბრუნებას აპირებს. ზურიკო კი, ბოლო ორი თვის მანძილზე უკვე მეორედ აღმოჩნდა „ხელოვნურ ოფსაიდში“.

P.S. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე ისევ ჩემი გასაჭირი მაქვს: იმედით ველოდი პარლამენტის ახალი თავმჯდომარის არჩევნებს, მაგრამ „ოლოლო თქვენს პროვოკატორს!“ – ქალი აირჩიეს. მე კიდევ, ვირი და უზრდელი ხომ არა ვარ, ქალზე ვილადავო... თანაც, რაღაც ბიულეტენების გაყალბებაზეც იყო საუბარი, ვიფიქრე, იქ ამ თემას მაინც გავეკრა კბილს-მეთქი, მაგრამ ამ ამბავშიც ერთ სოლიდურ ქალბატონზე აქვთ ეჭვი – აქაც ნაცარში ჩამივარდა მსუყე ლუკმისთვის გამზადებული კოვზი... ვარ ახლა ასე – დამტოვეს „ბეზ პონტა“ და თვითონ უხარიათ: აგე, დავლურს უვლიან!

პროვოკატორი



ლელა ჭანკოტაძე

საქართველოს პარლამენტის ახალი თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ანზორ ბურჯანაძის ერთადერთი ქალიშვილია. ბატონი ანზორის მშობლები წარმოშობით ლეჩხუმიდან არიან. 1947 წელს ქუთაისში დასახლდნენ. ბატონმა ანზორმა იქ დაამთავრა სკოლაც და ინსტიტუტიც. ნინოც ქუთაისში დაიბადა. დაამთავრა II საშუალო სკოლა. ნინოს დედა — ქალბატონი თინა მორჩაძე იმერელი ქალია. ოჯახში მას სიყვარულით, სუსანას ეძახიან. ქალბატონი ნინო და მისი მეუღლე — ბადრი ბინაძე, თავიანთი შვილებით, მხოლოდ სამი წელია, რაც საკუთარ სახლში გადავიდნენ — მანამდე ისინი ნინოს მშობლებთან ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ ორი ოჯახის თანაარსებობისთვის დამახასიათებელი უსიამოვნებები არასოდეს ჰქონიათ. ქალბატონი ნინოს შვილებზე ზრუნვა ახლაც ძირითადად, ბებიის მხრებზე...

პარლამენტის თავმჯდომარეს გამორჩევიტა ჰყვარებია თეატრი, კლასიკური მუსიკა, საოპერო ხელოვნება. უყვარს აგრეთვე ყვავილები, ძაღლები, ცხენები და სათხილამურო სპორტი. ბატონი ანზორი ცხენს ყიდვას აპირებს და მიმხელს, რომ ის უფროს შვილიშვილს — ანზორიკოს უნდა აჩუქოს. ბინაძეების სახლში კავკასიური ნაგაზი ცხოვრობს, ამ ოჯახის ხშირი სტუმარი კი, ბატონი ანზორის პატარა ნაცრისფერი პუდელი — 7 წლის ვიკია, რომელსაც თურმე, განსაკუთრებით, ბურთით თამაში უყვარს.

ყოველ დღით, ბატონი ანზორი და ქალბატონი თინა, შვილისა და სიძის სახლში კერძებით დატვირთულები მიდიან. ჩვენც სწორედ ასეთ დროს შევხვდით მათ და მათვე გაგვიჩინეს მეგზურობა პარლამენტის ახალი თავმჯდომარის ოჯახში.



# პარლამენტის თავმჯდომარის შვილს შევარდნაძე პრეზიდენტობას შევპირდა

— ქალბატონო ნინო, შიშის გრძნობა ხომ არ გქონიათ, როცა პარლამენტი ახალ თავმჯდომარეს ირჩევდა?

— როცა მირჩევდნენ, მაშინ ფიქრის დრო არ მქონდა და, ცხადია, არც შიშის გრძნობა დამუფლებია, მაგრამ მანამდე და მას მერეც, ბუნებრივია, შიში მქონდა. პირველი ორი დღის განმავლობაში, განსაკუთრებით დიდი დრო დასჭირდათ ჩემს მეგობრებსა და თანამოაზრეებს, რომ ახალი სპიკერის არჩევნებში მონაწილეობაზე დაეთანხმებინე.

— ხმის დამთვლელი კომისიის წევრმა როსტომ ჯაფარიძემ დანომრილი ბიულეტენები აღმოაჩინა. რა შეგიძლიათ თქვათ ამ ფაქტთან დაკავშირებით? თუ გქონდათ არჩევნების სამართლიანობის იმედი, როცა თანხმდებოდით ამ არჩევნებში მონაწილეობაზე?

— სამართლიანობის იმედი ნამდვილად მქონდა და ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა, რომ პარლამენტში მსგავსი რამ მომხდარიყო. მნიშვნელობა აქვს, რა ფორმით განხორციელდა

ბიულეტენებთან დაკავშირებული სკანდალი. ეს არ იყო გაყალბების მცდელობა — ეს გაკეთდა იმ მიზნით, რომ დარღვეულიყო ფარული კენჭისყრის პრინციპი: ბიულეტენი ისე იყო დანომრილი, რომ იმ ჯგუფს, რომელმაც ეს გააკეთა, გაეკონტროლებინა, თუ რომელმა დეპუტატმა ვის მისცა ხმა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან უსიამოვნო ფაქტია, მით უმეტეს, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხდა.

— არჩევნების დროს ალბათ იგრძნობდით მასობრივ მხარდაჭერას — მასმედიის, ხალხის, თვით ოპოზიციის მხრიდან. ეს სასიამოვნოც არის და, ამავდროულად, ათმაგებს კიდევ თქვენს პასუხისმგებლობას...

— რა თქმა უნდა... მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იყო პარლამენტში. ის ადამიანებიც კი, რომლებსაც არც ვიცნობდი, ან ვიცნობდი, მაგრამ 20-25 წელი არ მენახა, — ძირეკავდნენ და თავიანთ მხარდაჭერას გამოხატავდნენ. ამან მაფიქრებინა, რომ ხალხს გაუჩნდა იმედი პარლამენტთან დაკავშირებით. ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ თითოეული დეპუტატი დიდი წინეხის ქვეშ იყო მოქცეული. ყველამ იცის, ვისგან რა ფორმით მოდიოდა ეს ზეწოლა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პარლამენტმა, ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილება მიიღო და მოსახლეობას გაუჩნდა იმედი, რომ საქართველოს



ანზორ ბურჯანაძე და თინა მორჩაძე



პარლამენტი არაფერზე არ გაცვლის ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ინტერესებს. ბუნებრივია, ეს იმედი მე და ამ პოსტზე ჩემს მოსვლას დაუკავშირდა. და რასაკვირველია, ძალიან სერიოზულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

— ალბათ პასუხისმგებლობას თან ახლავს ერთგვარი სიამაყისა და კმაყოფილების განცდაც — თუნდაც იმის გამო, რომ თქვენი მუშაობა პარლამენტში ჯეროვნად დაფასდა?

— სიამაყეც არის, მაგრამ უფრო მეტი სიამაყის განცდა მექნება ექვსი თვის მერე — იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება, რომ მე ამ ადამიანებს რაღაც იმედის მცირე ნაწილი მაინც გავეუბნებ... რა თქმა უნდა, მსიათხვეწის, რომ ამ ექვსი წლის მანძილზე ტყუილად არ ვყოფილვარ პარლამენტში. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, პირადად ჩემდამი გამოთქმული პოზიცია ყველა დეპუტატის მხრიდან, საპარლამენტო და დიპლომატიურ ჩარჩოებს არ გასცილებია, ძალიან კორექტული და კეთილგანწყობილი იყო.

— როგორც ბატონმა პრეზიდენტმა განაცხადა, ახალ მთავრობაში ბევრი ძველი მინისტრი იქნება. თქვენ როგორ მიგაჩნიათ — საქირო იყო თუ არა, რომ მთავრობა მთლიანად შეცვლილიყო?

— მიმაჩნია, რომ არა მარტო საკადრო ცვლილებებია საჭირო, არამედ მნიშვნელოვანია სტრუქტურული ცვლილებებიც. იმედი მაქვს, რომ პარლამენტი მაინც დაუბრუნდება მინისტრთა კაბინეტის იდეას. ძალიან ბევრ რამეს დაგვანახვებს მინისტრთა დამტკიცების პროცესი. მე ნამდვილად ვერ დავუჭერ მხარს ისეთ მინისტრს, რომლის მიმართაც პარლამენტში — და არა მხოლოდ პარლამენტში, არამედ მოსახლეობაშიც, არის სერიოზული პრეტენზიები. მე შედარებით იოლად შემიძლია გამოვთქვა ჩემი აზრი, რადგან არ ვარ უმრავლესობის ლიდერი და წარმომადგენელი. მე ვარ პარლამენტის თავმჯდომარე და ვალდებული ვარ, ყველა პარლამენტარის მოსაზრება გავითვალისწინო. ახლა ნამდვილად არ არის იმის დრო, რომ ადამიანმა რაღაც სხვა მომენტების გამო დათმო საკუთარი პოზიცია.

— თქვენ ალბათ ეცდებით, რომ ხალხის მხარდაჭერა უპიროვნოდ, საქმით შეინარჩუნოთ და არა პოპულისტური მეთოდებით?

— რა თქმა უნდა, ვეცდები, მაგრამ არა ნებისმიერი მეთოდით. მიუხედავად იმისა,



მართლაც ძნელია, ამ გოგონაში პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე ამოიხსნო

რომ ძალიან დიდ პატივს ვცემ ჩემს ამომრჩევლს და თითოეული ადამიანის აზრს, მათ პატივისცემას ვერ შევინარჩუნებ, თუ სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს ვულალატებ. ზოგიერთი გამონათქვამი და მოსაზრება ერთი შეხედვით, ნაკლებპოპულარულად შეიძლება ყდერდეს და ხალხისთვის მისაღები არ იყოს, მაგრამ თუ დარწმუნებული ვიქნები ჩემს სიმართლეში, პოპულარობის დროებით დაკარგვას არ შევუშინებ და გადავდგამ იმ ნაბიჯს, რომელიც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

— თუ დაუჭერთ მხარს ვადამდელი არჩევნების ჩატარებას?

— მე არ გახლავართ ვადამდელი არჩევნების ჩატარების პრინციპული მოწინააღმდეგე, მაგრამ არც იმას ვიტყვი, რომ დიდი მომხრე ვარ, რადგან ვადამდელი არჩევნების ჩატარება არაპროგნოზირებადს ხდის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას. ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფო ცდილობს, რომ ის ვადა, რომელიც კონსტიტუციით არის დადგენილი, ამოიწუროს. მაგრამ თუ მოსახლეობა და პარლამენტი ხედავს ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობას, რა თქმა უნდა, არჩევნები უნდა ჩატარდეს. თუ პარლამენტი დაანახვებს ხალხს, რომ ის დღე-



იდან საზოგადოების ინტერესებს აყენებს პირად და პარტიულ ინტერესებზე მაღლა, დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ შემთხვევაში შეიძლება, არც დადგეს ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხი.

— ქალბატონო ნინო, თქვენი ოჯახი როგორ შეხვდა თქვენს ასეთ წარმატებას?

— ბუნებრივია, ოჯახი გახარებული იყო, მხოლოდ ჩემმა უმცროსმა ვაჟმა გამოთქვა უკმაყოფილება: ფაქტობრივად, დილაობით ნახევარი საათით ვხვდებით და ამდენივე დროს ვუთმობ საღამოობითაც. ის ამას ვერაფრით ეგუება...

დედის გამარჯვებით უკმაყოფილო რეზიკო შეიძინა. ის მესამე კლასის მოსწავლეა. ქალბატონი ნინოს უფროსი ვაჟი — ანზორიკო უკვე მეთერთმეტეკლასელია. მას საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე სურს სწავლის გაგრძელება. პარლამენტის თავმჯდომარის მამა — პურპროდუქტების კორპორაციის პრეზიდენტი ანზორ ბურჯანაძე, შვილის წარმატების გამო კმაყოფილებას ვერ ფარავს. საუბარში გამომხილა — არ შეიძლება სიტყვებით იმის გამოხატვა, თუ როგორ ვნერვიულობდით მე და ჩემი მეუღლე არჩევნების გამო, მაგრამ როცა ნინოს მიმართ გამოხატული მხარდაჭერა დავინახეთ, მაშინ უკვე შეგვეშინდა კიდევ, რადგან მთელი სიგრძე-სიგანით გავიცნობიერეთ, თუ რა საპასუხისმგებლო ტვირთი უნდა აეღო... ისიც მითხრა ბედნიერმა მამამ: შვილი ვალდებულად იქნება, ის ჩემი სიცოცხლის შთავონების წყარო, ჩემი დიდი იმედილი...

ბატონ ანზორ ბურჯანაძეს მის სამუშაო კაბინეტში ვესაუბრეთ.

— ოდესმე თუ გქონდათ იმედი, რომ ნინო ამხელა წარმატებას მიაღწევდა?

— ნინო რომ წარმატებებს მიაღწევდა თავის პროფესიაში, ამაში ეჭვი არასოდეს მეპარებოდა. მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოურიდული ფაკულტეტი, შემდეგ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურა, იქვე დაიცვა დისერტაცია. ახლა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს, რომლის დამთავრებას ალბათ ვეღარც



შემდგენს... ჩვენი ოჯახი ყოველთვის ჩართული იყო აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქუთაისში კომკავშირის ქალაქკომის პირველი მდივანი გახლდით, როცა ნინო დაიბადა. შემდეგ საავტომობილო ქარხანაში ვმუშაობდი შვიდი წელი. თერჯოლის რაიკომის I მდივანი ვიყავი, მერე ტურიზმს ვხელმძღვანელობდი, მინისტრის რანგში ვიყავი (პურპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. - ავტ.). ჩვენ იმ ადამიანების წრეში ვტრიალებდით, რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ. ნინოსაც ბავშობიდან, როგორც პარტიულ ელიტასთან, ასევე მხატვრებთან, მუსიკოსებთან, მწერლებთან, პოეტებთან, სპორტსმენებთან ჰქონდა ურთიერთობა. ბატონი პრეზიდენტი მაშინ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის I მდივანი გახლდათ.

— ბატონ ედუარდს პროგნოზების გაკეთება უყვარს. თქვენ მეგობრები ხართ, თუ უთქვამს ოდესმე — ნინოს დიდი მომავალი ექნებაო?

— ნამდვილად არ უთქვამს, სპიკერი გახდებო. სამაგიეროდ, ჩემს უმცროს შვილიშვილს — რეზიკოს შეჰპირდა პრეზიდენტობას: ორი წლის წინ, 26 მაისის ზეიმზე, ბატონმა ედუარდმა ჰკითხა: გინდა პრეზიდენტობაო? კიო — დაუდასტურა რეზიკომ. მაშინ იქნები პრეზიდენტიო — უთხრა ბატონმა ედუარდმა. შემდეგ რეზიკო დედ-მამას მიუბრუნდა და შესჩივლა: სულ არ მინდა პრეზიდენტობა, მაგრამ რომ არ სწყენოდა, იმიტომ ვუთხარი „კიო“...

— ქალბატონმა ნინომ ასე დაგახასიათათ: მამა პროფესიით ისტორიკოსია, მონოდებით კი — სურპრიზების ოსტატიო. რას გულისხმობდა?

— არ ვიცი, ალბათ იმას, რომ მე, ისტორიკოსმა, შვიდი წელი საავტომობილო ქარხნის დირექტორად ვიმუშავე, შემდეგ, ყველაზე გაჭირვებულ დროს, ბატონმა ედუარდმა პურპროდუქტები ჩამაბარა და ორ თვეში ქალაქში უკვე რიგები აღარ იყო...

— ნინოსთვის თუ გიყვართ სურპრიზების გაკეთება, საჩუქრებს თუ ჩუქნით ხოლმე ხშირად?

— ძალიან მიყვარს, მაგრამ არ ჩამინიშნავს... რომ მცოდნოდა, ასეთ წარმატებას მიაღწევდა, აუცილებლად ჩავინიშნავდი და ვეტყვოდი: „ქალბატონო ნინო, ახლა მეც მომაქციეთ ყურადღება“... უკვე ქალბატონობით უნდა მივმართო, თორემ, თუ გაძინაწყენდა პარლამენტის თავმჯდომარე

და გადავიკიდე, არ ივარგებს...

— ბატონო ანზორ, თქვენ და ბატონი პრეზიდენტი მეგობრები ბრძანდებით. იმასაც ამბობენ, რომ ან თქვენ იყავით მისი მეჯვარე, ან პირიქით. რომელია სიმართლე?

— ბატონ ედუარდს მე ვიცნობ 1951 წლიდან — იმ დროიდან, როცა მე საშუალო სკოლა დავამთავრე და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ვიყავი, ის კი — ქუთაისის კომკავშირის საოლქო კომიტეტის I მდივანი. ის რომ ქუთაისში ჩამოვიდა, უკვე ცოლიც ჰყავდა და შვილიც — როგორღა ვიქნებოდი მისი მეჯვარე?! 1953 წლიდან დაუახლოვდი ბატონ ედუარდს. ის რომ კომკავშირის ცეკას მდივანი გახდა, მისი რეკომენდაციით, მე კომკავშირის ქუთაისის ქალაქკომის I მდივანად დამნიშნეს. ის სულ გახლდათ ჩემი მხარდამჭერი.

— თქვენ ამბობთ ხოლმე, რომ ტრადიციულად მდიდარი ოჯახი გაქვთ. ვინ იყვნენ თქვენი წინაპრები? საიდან მოდის თქვენი გვარი?

— ფინანსურად მყარი ოჯახი ყოველთვის მქონდა, ტრადიციულად, სიღერსაც ვეხმარებოდი და ნათესავებსაც. სიღერმა მე მარუქა „მილიარდები“ — ჩემთვის ასე ფასდება მისი ქალიშვილი... ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ ოფჩაში, ბაღდათის რაიონში. ორ ძმას ბატონი შემოაკვდა, ჰოდა, გაიქცნენ ცაგერში და გადაიკეთეს გვარი ბურჯალიანებად. ბაბუაჩემს შვიდი შვილი ჰყავდა — ზოგი ბურჯალიანი იყო, ზოგი ბურჯანაძე. ბაბუაჩემი იყო ილია ბურჯანაძე — ცნობილი რევოლუციონერი და სოციალ-დემოკრა-

ტი. მამაჩემი სოფლის მეურნეობის კარგი სპეციალისტი გახლდათ, ჯერ მუგუზნის სოფლის მეურნეობას ხელმძღვანელობდა, შემდეგ ქუთაისში გადაიყვანეს და იქ დაეფუძნდით.

— სიძე როგორ მიიღეთ ოჯახში? პირველად როგორ შეხვდით?

— როგორ შეხვდით და პირველ საათებში, რომ მენახა, ცხვირ-პირს დავუნაყავდი: მომტაცა და წაიყვანა ჩემი გოგო! რატომ მომტაცა, ეს არ ვიცი, — თავიდანვე მომწონდა ეს ბიჭი. მან, რა თქმა უნდა, ამის შესახებ არ იცოდა... კმაყოფილი ვარ სიძით, კარგი ადამიანია.

— ბავშვებისთვის ვერც ქალბატონი ნინო იცლის და ვერც ბატონი ბადრი, მათთან დროის უმეტეს ნაწილს თქვენ ატარებთ. ამბობენ, ასაკში ადამიანები ბავშვებივით არიანო. როგორ არეგულირებთ ურთიერთობებს შვილიშვილებთან?

— ამას წინათ, რეზიკომ სამხარეულოში „რაკოვინა“ აავსო წყლით და იქ უნდოდა ქალაქის გემებით თამაში. ბეზიამისმა დაუშალა. შემებრალა ბავშვი: გვიანი ღამე იყო, ის კი ღელას მაინც ელოდებოდა. აყვევი — მე ქალაქის გემებს ვაკეთებდი, ის კი წყალში უშვებდა. ჯერ ითამაშა რეზიკომ, მერე შემომხვედა და მითხრა: ბაბუ, სწორად ამბობენ — ბაბუას და შვილიშვილს ერთი ჭკუა აქვთო...

— ქალბატონმა ნინომ აღწერა: დედაჩემს არასოდეს აუნევიო ხმისთვის, არც მამას დაურტყამს ოდესმე მაგიდაზე თითი, მე უფრო ხშირად მინეცს შვილებისთვის ხმის

ლიდერის ამპლუა ნინო ბურჯანაძესათვის სკოლიდანვე ჩვეული იყო...





ანევაო. როგორ ფიქრობთ, მდგომარეობა ხომ არ გამძაფრდება, როცა გვიან საღამოს ოჯახში პარლამენტის დადღილ-დაქანცული თავმჯდომარე დაბრუნდება?

— რაც უფრო მაღალ თანამდებობაზე ახვალ კაცი, მით უფრო მეტად უნდა დაუწიო ხმას... თუ ნინო მეტისმეტად აუწევს ხმას, საჩივრით შევალთ პარლამენტში... მე ისე ვიცხოვრებ, რომ ნინოსთვის არავის არაფერი წამოეძახებინა. ჩემი სიძეც ასე ცხოვრობს. ჩვენ არ გავსვრილვართ. ამიტომაც იყო, რომ არჩევნების პერიოდში ნინოსთვის არავის არაფერი წამოუძახებია...

ბატონი ანზორის სიძე და ქალბატონი ნინოს მეუღლე — **ბადრი პინაძე** საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორია. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში დაიცვა. მისი მშობლები ჭიათურაში, სოფელ ცხრუკვეთში ცხოვრობენ. აქამდე ნინო და ბადრი მხოლოდ ზაფხულობით ჩადიოდნენ ხოლმე ჭიათურაში, თანაც სულ რამდენიმე დღით. ბადრის მამა უკვე ორმოცდაშვიდე წელია, რაც სვერის საშუალო სკოლის დირექტორია. იმ სოფელში, სადაც ბატონი ბადრის მშობლები ცხოვრობენ, ოთხი აკადემიკოსი და 12 პროფესორი გაიზარდა.

— ბატონო ბადრი, ვისი ინიციატივა იყო, პირველი შვილისთვის სიმამრის სახელი დაგერქმიათ?

— მამაჩემის სურვილი იყო და მიმჩნია, რომ ძალიან სამართლიანია: ნინო თავისი მშობლების ერთადერთი შვილია, ჩვენ კი, სამი ძმანი ვართ. მასხოვს, ჩვენს ქორწილში მამაჩემმა თქვა: თუ ბიჭი დაიბადება, ანზორის სახელი დაერქმევა, თუ მეორეც ბიჭი გეყოლება — იმას ჩემს სახელს დაარქმევთო. ასეც მოხდა.

— რატომ დაგჭირდათ ნინოს მოტაცება? თავისი ნებით არ მოგყვებოდით?

— უბრალოდ, ნინო დავაყენე ფაქტის წინაშე. მე უკვე დამთავრებული მქონდა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინო მეოთხე კურსზე იყო. მე ის მიყვარდა. როცა ადამიანი გიყვარს, ვერ გრძნობ, უყვარხარ თუ არა ისევე, როგორც შენ გიყვარს. თუ ნინო უარს იტყოდა, რა თქმა უნდა, ადარაფერი იქნებოდა.

— სიმამრის არ შეგეშინდათ? ცნობილია, რომ ბატონი ანზორი საკმაოდ ემოციური და ფიცხი ად-

ამიანია.

— მე ის ადამიანი არ ვარ, რამის რომ შეეშინდეს. თუმცა, კაცმა უნდა იცოდეს, რა არის შიში.

— ქალბატონი ნინო ხუმრობით იხსენებს ერთ შემთხვევას, როცა თქვენ რალაც იეშმაკეთ და ამის გამო, მეუღლე მორგებში გექმდათ.

— ეგ ამბავი მოსკოვში მოხდა მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ ვიყავი გასული. დღის ექვს საათზე რიგის ვაგზალზე ჩამოვედი. უკვე გათენებული იყო. არ მიცდია, ნინოსთვის რაიმე ამეხსნა, აზრი არ ჰქონდა — მთელი დამე არ ვიყავი სახლში. შეიძლება, სხვა დროს უფრო მეტი საეჭვიანოც ჰქონდა, მაგრამ მაშინ ნამდვილად არაფერი დამიშავებია, უბრალოდ გქეიფობდით... ნინოს შეშინებია. ჯერ მილიციაში დაურეკავს, მერე — საავადმყოფოებში, ბოლოს — მორგებში. ნინო რუსულად კარგად საუბრობს, მაგრამ ჩემი გვარი რომ უთქვამს, ქალს, რომელიც ესაუბრებოდა, ასე დაუმშვიდებია: დაწყნარდით, გოგონა, მოვა ეგ თქვენი „გრუზინი“, არსად დაიკარგებაო: მოგესხენებათ, ჩვენებურ კაცებს როგორი სახელი აქვთ რუსეთში...

— თუ გენატრებათ ნინო ისეთი, როგორიც მაშინ იყო, როცა შეუღლდით, და როცა შექმლო, მთელი დრო თქვენთვის დაეთმო?

— მინდა, რა თქმა უნდა, უფრო მეტი თავისუფალი დრო რომ ჰქონდეს, მაგრამ მე მას ვერ მოვთხოვ: ოჯახში უნდა იყო და არა პოლიტიკაში-მეთქი!

— როგორ გგონიათ — ჩვენი პარლამენტარი მამაკაცები თუ იკადრებენ ჩხუბს, როცა მათი თავმჯდომარე ქალი იქნება?

— ჩვენს პარლამენტარებს ვიცნობ და მათთვის ნათქვამი მაქვს: შეგიძლიათ ნინო ნებისმიერ დონეზე აკრიტიკოთ, ოღონდ ეს არ უნდა გადავიდეს შეურაცხყოფაში — ამას ნამდვილად არავის ვაპატიებ. კრიტიკა მისაღებია, მაგრამ თუ ვინმე ნინოს შეურაცხყოფას მიაყენებს, აუცილებლად ჩავერევი: ვიცი ისეთი მეთოდები, ისეთი, რომლის წყალობითაც კაცი საერთოდ გადაეჩვენება შეურაცხყოფის მიყენებას...



ქუთაისის პიონერთა სასახლის ორკესტრი და მისი სოლისტი ნინო ბურჯანაძე

— ახლა ქალბატონ ნინოს სხვა — საგანგებო და საკმაოდ მრავალრიცხოვანი დაცვაც ემსახურება...

— დაცვაში მე რომ ვარ კომპეტენტური, არა მგონია, ვინმე სხვა იყოს...

— ე.ი. ქალბატონ ნინოს ყოველთვის ჰყავდა დაცვა?

— რა თქმა უნდა! დაცვა მხოლოდ ის ხომ არ არის, იარაღით ხელში რომ უდგას ქალს გვერდით...

— ბატონო ბადრი, რას ჩუქნით ხოლმე ქალბატონ ნინოს?

— ყვავილებს. მოგესხენებათ, ყვავილები ყველა ქალს უყვარს, ნინოს კი — განსაკუთრებით. ისე, საჩუქრებით განებოვრებული ნინო ნამდვილად არ არის. არც ითხოვს ძვირფას საჩუქრებს. 1996 წელს მამამისმა პატარა „ფოლკსვაგენი“ აჩუქა...

ბურჯანაძეებს თბილისში უამრავი მეგობარი ჰყავთ. მათი ოჯახი ყოველთვის ელიტაში ტრიალებდა. ქალბატონი ნინოს ნათლია ჯანსუღ ჩარკვიანია, ანზორიკოს ნათლიები — ვია მეფარიშვილი, თეა სოტკილავა (ზურაბ სოტკილავას ქალიშვილი) და არჩილ გოგელია, რეზიკოს ნათლიები — ირაკლი ქადაგიშვილი და ქეთი სოტკილავა (ზურაბ სოტკილავას მეორე ქალიშვილი)...





КГБ-ს მზვერაგები ავღანეთში წვერმოშვებულნი და ფორმის გარეშე მოქმედებდნენ (ზემოთ, მარცხნივ ვალერი ჩხეიძე)

ყოველდღიურად ახალ-ახალი ცნობები მოდის იმის შესახებ, თუ კიდევ რომელმა ქვეყანამ დაუჭირა ამერიკელებს მხარი თალიბების წინააღმდეგ ბრძოლაში და რა კონტინგენტის გაგზავნას აპირებს ავღანეთში. მებრძოლთა შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ქვეყანაში ნაომარ სამხედრო კადრებს და სწორედ ამით აიხსნება ამერიკელთა დაინტერესება იმ სპეციალისტებით, რომლებსაც საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში უბრძოლიათ ავღანეთში. სწორედ ამიტომ, ამერიკული სპეცსამსახურებიდან ორჯერ დაუკავშირდნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძეს, რომელსაც მათთვის სასარგებლო რჩევების მიცემა შეუძლია.

# ავღანეთში ნაბრძოლი ქართველი გენერალი საიდუმლოს ამქავენებს

## ირაკლი ალაღაშვილი

— ბატონო ვალერი, როდის და როგორ მოხვდით ავღანეთის მიწაზე?

— მაშინ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველ მთავარ სამმართველოში ვმსახურობდი. ავღანეთში პირველად 1980 წლის მარტში მიმავლინეს და 1981 წლის აპრილამდე დავყავი. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან 100-მდე ოფიცერი გაგზავნავენ. საქართველოდან, თავიდან, სულ 4 კაცი ვიყავით, 1980 წლის აგვისტოში კი რამდენიმე ოფიცერი კიდევ შემოგვიერთდა, მათ შორის — ივორ გიორგაძეც.

1982 წელს, ავღანეთიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, კონტრდაზვერვაში (მაშინ მე-2 განყოფილება ერქვა) ვმსახურობდი, მოგვიანებით კი მოსკოვში, უშიშროების აკადემიაში გავიარე სპეციალური მომზადება და დავეუფლე დარის ენას. 1984 წელს, აკადემიის დამთავრების შემდეგ, კვლავ ავღანეთში — ამჯერად უკვე ოთხი წლით მიმავლინეს.

— გისდებოდათ თუ არა ცნობილ ავღანელ მოჯაჰედებთან ურთიერთობა?

— ასეთი კონტაქტები საკმაოდ მქონდა. ხშირად ვხვდებოდი ლეგენდარული აჰმად შაჰ მასუდის საველე მეთაურს

პანო-ხანს, აგრეთვე რაი ფახლავანს. სხვათა შორის, მასუდთანაც მქონდა კავშირი და ამ პიროვნებამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მტერი იყო, ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა (აჰმად შაჰ მასუდი ბინ ლადენის მიერ დაქირავებულმა ჟურნალისტებმა, ინტერვიუს დროს, ნიუ-იორკის ტერაქტებამდე რამდენიმე დღით ადრე მოკლეს. — ავტ.). მასთან შეხვედრა არც ისე იოლი საქმე იყო. კონტაქტზე ჩვენმა ავღანელმა კოლეგებმა გაგვიყვანეს 1986 წლის ბოლოს. მასუდთან დაკავშირებას სხვა საბჭოთა სპეცსამსახურებიც ცდილობდნენ, მათ შორის სამხედრო დაზვერვაც — ГРУ, მაგრამ ის ძალზე ფრთხილი კაცი იყო: დილის 5 სთ-ზე ნამაზს (დილის ლოცვას) რომ შეასრულებდა, 12 სთ-ისთვის უკვე სხვა ყიშლაყში იყო, სადამოს მეზობელ სოფელში გადაინაცვლებდა, ღამეს კი სულ სხვა ადგილას ათევდა... მასუდს ბევრი უცხოელი სამხედრო ინსტრუქტორი ჰყავდა — ძირითადად, ჩინელები და ფრანგები, რომლებიც მის მოჯაჰედებს ამხადებდნენ. გავლენის დიდი ზონა ჰქონდა, კარგად მომზადებული დაზვერვა ჰყავდა: მასუდის აგენტებს შორის თვით ავღანეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებიც კი იყვნენ.

— თქვენ თავად თუ გყავდათ აგენტურა მასუდის შტაბში?



მაიორი ჩხეიძე

— რა თქმა უნდა.

— როგორ მოხდა თქვენი შეხვედრა?

— ეს 1987 წლის ნოემბრის დასაწყისში მოხდა, ბუნებრივია — ღამით. ორივე მხარემ უსაფრთხოების გარკვეული გარანტიები მივეციტ ერთმანეთს. ჩვენი შეხვედრის მთავარი მიზანი, საბრძოლო მოქმედებების დროებითი შეწყვეტა იყო — იმ პერიოდით, სანამ მე-40 საბჭოთა არმია დატოვებდა ავღანეთის ტერიტორიას.



სხვათა შორის, მასუდმა პირნათლად შეასრულა თავისი დაპირება, სამაგიეროდ, საბჭოთა ავიაციამ მანც დაბომბა ტერიტორია, რომელზეც მასუდის შენაერთები იყო განლაგებული...



**მაქ მასულს სურათი მაიორმა ვალერი ჩხეიძემ თავად გადაუღო**

მასული პირველი მოჯაპედი იყო, რომელმაც უდიდესი პოლიტიკური დარტყმა მიაყენა კრემლს – ავღანეთიდან დაბომბა საბჭოთა კავშირის ტერიტორია ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარით. მე და ჩემს ოფიცრებს გვქონდა ინფორმაცია, რომ მასული ამგვარ ოპერაციას გეგმავდა, მაგრამ რად გინდათ? – ხელმძღვანელებმა ლამის იყო, სასაცილოდ აგვიდგეს, იმდენად არარეალურად მიიჩნიეს მსგავსი რამ.

უნდა ვითხრათ, რომ მასული ძალზე პოპულარული იყო ხალხში – იგი არა მარტო ომობდა, არამედ სკოლებსა და გზებსაც აშენებდა. დღეს რომ მასული ცოცხალი ყოფილიყო, ანტითალიბური კოალიცია მეტი წარმატებით განახორციელებდა სახმელეთო შეტევას – გენერალი დუსტუმი, რომელიც ახლა უდგას სათავეში „ჩრდილოეთის ალიანსის“ ოპოზიციის მებრძოლებს, მთლად სანდო კაცი არ არის – ამას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით გეუბნებით.

**— უშუალოდ იმ ოპერაციებზე რა შეგიძლიათ გვიამბოთ, რომელშიც მონაწილეობდით?**

— უშუალოდ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა გვეკრძალებოდა, რადგან „კაგებეს“ რამდენიმე თანამშრომელი დაიღუპა, მაგრამ წარმოიდგინეთ წმინდა ადამიანური ფაქტორი: გვემავ ოპერაციას ავღანელ კოლეგასთან ერთად, ის მიდის და შენ რჩები!.. ამიტომაც ვიპარებოდით ასეთ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. მე პირადად 11 ასეთი „გაპარვა“ მოვახერხე.

**— ძირითადად, რა სახის საეცოპერაციო ტარდებოდა?**

— ჩვენი ტყვედჩავარდნილი ჯარისკაცების გამოსხნა ან მოჯაპედების მხარეზე გადასული მოლაღატეების მოტაცება და დასჯა გვესახებოდა მიზნად. იყო ერთი ასეთი პიროვნება – სერჟანტი დემიდენკო, რომელიც მოჯაპედების მხარეზე გადავიდა, მაჰმადიანობაც მიიღო და ახალი სახელიც – თავ-მუჰამადი

დაირქვა. ცოლად, 18 წლის ადგილობრივი გოგო – მალიკაც მოიყვანა. 30 კაციან ჯგუფს მეთაურობდა. ორი ტანკი აგვიფეთქა და ერთი შეველმფრენიც ჩამოგვიგდო, ხოლო რამდენი ჯარისკაცი მოგვიკლა, ზუსტად არავინ იცის. ერთ-ერთი საბჭოთა დივიზიის მთელი სამხედრო დაზვერვა დასდევდა, მაგრამ უშედეგოდ. მისი დაჭერა

ჩემი პრესტიჟის საქმე იყო – ეს ზონა მე შეკუთვნილია. გაველი კონტაქტზე ადგილობრივი მოჯაპედების ლიდერთან, რომლის ნათესავიც ტყვედ გვყავდა. მას შევთავაზეთ – დაგიბრუნებთ ნათესავს, თუკი დემიდენკოს ჩაგვადებინებთ ხელში-თქო. ლამით, ფეხით ვიარეთ 7 კმ. შეხვედრის ადგილზე მოჯაპედებმა მოტყუებით მოიყვანეს დემიდენკო. ახლა უკვე შეიძლება ამის მოყოლა: მოჯაპედების გული ქრთამითაც მოვიგეთ – 25 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტის ავღანი მივეცი და ფეშქაშად, ტყვია-წამლიც დაგუმატეთ. თუმცა, ბრიყვები ხომ არ ვიყავით? კარგად ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან, ამ ტყვიებს ჩვენ დაგვიშენდნენ, ამიტომაც სიურპრიზიც „ჩავაყოლეთ“: ამ ტყვიების გასროლისას, იარაღის ლულა ყვავილივით „გადაიფურჩქნებოდა“ და შეიძლება, მსროლელიც ემსხვერპლა... მადლიერმა მოჯაპედებმა ჰაშიმით გაბრუებული დემიდენკო უპრობლემოდ ჩაგვაბარეს...

ოთხი ჯარისკაცი გამოვიხსენით ტყვეობიდან. ერთი ქართველი ჯარისკაცის – ხაშურელი კაპანაძის გათავისუფლება მინდოდა, მაგრამ მაშინ სხვა დავალება მომცეს. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ავღანელთა კავშირის თავმჯდომარემ ნოდარ გიორგაძემ შეძლო საქართველოში მისი ჩამოყვანა. არ გამოვიცხავ, რომ ავღანეთში დღესაც იყოს დარჩენილი რამდენიმე ქართველი...

მახსოვს, ერთ-ერთი პირველი სამხედრო ოპერაციის დროს, 1980

წელს – გერთთან დაიღუპა ლაგოდენელი სერგო შაქარაშვილი. პოლკის მეთაურმა სულელურად დაგეგმა ოპერაცია – ბატალიონი ყიშლაყში ისე შეიყვანა, რომ მტრის უეცარი თავდასხმის შემთხვევაში მანევრირების საშუალება არ ჰქონდა. მართვის პუნქტში ვიყავი და რაციას ვუსმენდი, როდესაც ყურსასმენში გავიგონე – შაქარაშვილს სნაიპერმა მოარტყაო. მაშინვე გაგვარდით მის გამოსაყვანად, მაგრამ ზაფანგში მოვეყვით და მე თვითონ აღმოვჩნდი გამოსათრევი...

ერთხელ, მოჯაპედების მიერ გაგულისებულმა ბრბომ გერთის ცენტრში ჩვენი ჩაქოლვა სცადა – 2500-3000 ადამიანისგან შემდგარმა მასამ, ჩვენი გადათელვა მონდომა, მაგრამ დანხარებამ მოგვისწრო. საბჭოთა დანაყოფმა ჰაერში ტყვიამფრქვევების სროლით გარეკა ბრბო. როგორც შემდეგ შევიტყვე, ამ დანაყოფს ლეიტენანტი ილიაძე მეთაურობდა; დღეს უკვე გენერალი ილიაძე ვლადივოსტოკში ცხოვრობს.

**— რა ვიღძოებით აღინშნა ავღანეთში თქვენ მიერ გაწვლილი საბრძოლო გზა?**

— დაჯილდოებული ვარ „წითელი ვარსკვლავის“ ორდენითა და ორდენით – „საბრძოლო დამსახურებისთვის“, აგრეთვე – ავღანური „მეგობრობის“ ორდენით, რომელიც თავად იმდროინდელმა პრეზიდენტმა ნაჯიბულამ გადმომცა 1987 წელს. სხვათა შორის, ერთი მედალი ელუარდ შევარდნაძემაც გადმომცა, ქაბულში: მაშინ ავღანეთში იყო ჩამოსული, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჩვენ კი, ზუსტად იმ პერიოდში, საიღუმლო მოლაპარაკებებით მივალწიეთ ერთი ავღანელი საველე მეთაურის „განეიტრალებას“ – მან თავისი 6 ათასი კაცით უარი თქვა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზე. ეს ჩვენი დიდი წარმატება იყო და საგანგებოდ შეგვახვედრეს შევარდნაძეს. ათი წლის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა თავად გამაძსენა ის მომენტი...



ამინის სასახლე საბჭოთა საეცრაბმელების მიერ აღების შემდეგ



ელისო გურგენიძე

— თურმე ნათესავებს ჩემი დაბადება არ უნდოდათ: დედაჩემი აღერგეულია, ორსულობისას ტოქსოპლაზმოზზე სინჯი აიღო და პასუხი დადებითი აღმოჩნდა. ამ დაავადების მქონე ქალებს მასინჯი ბავშვები უჩნდებათ. პოდა, ბებიჩემის გარდა, დედას ყველა ურჩევდა, რომ მუცელი მოეშალა, ეშინოდათ, დედილი ან მასინჯი შვილი არ გასჩენოდა, მაგრამ დედაჩემმა მინც გადაწყვიტა, ამ ქვეყანას მოვვლინებოდი. თუმცა, შეშინებულმა, როგორც კი დავიბადე, ექიმს ჰკითხა — ნორმალური თუ არისო. დებილები თქვენ ხართო! — ნიშნის მოგებით უპასუხია მეან-გინეკოლოგ კაკო ბაქრაძეს. როგორც შემდეგ გაირკვა, დედაჩემისთვის დაეგნოზის დასმისას, ექიმები შემცდარან... ვანძრითელი კი დავიბადე, მაგრამ მეტსახელად, მინც „ტოქსიკა“ შემარქვეს. თუმცა, ბავშვობაში რას აღარ მეძახდნენ — „ბაცილას“, „მავენს“, „თიკო-ზალატია რუჩკას“...

— „ზალატია რუჩკა“ რატომღა შეგარქვეს?

— ბავშვობაში ქურდი ვიყავი. ხან მეფერებოდნენ, ხან მტუქსავდნენ, მაგრამ ვერაფრით გადამაჩვიეს: რაც მომეწონებოდა, ყველაფერს ვიპარავდი. სადმე სტუმრად რომ მოვხვდებოდი, მინ წამოსვლამდე დედაჩემი შემოსასვლელში დამაყენებდა, ნაქურდალს ამომალაგებინებდა და მასპინძელს ბოდიშის მოხდით უბრუნებდა. ვიპარავდი ყველაფერს, რაც ხელში მომხვდებოდა: სისხლის ანალიზზე რომ მიყავადი მშობლებს, უკან სინჯარებით ვბრუნდებოდი ხოლმე... მასსოვს, ერთხელ ბულგარეთში ვიყავი გასტროლებზე. მაშინ 7 წლის ვიყავი და „პუბი გრძელ წინდაში“, ანიკას როლს ვთამაშობდი. საქართველოში გამოძგზავრების წინა დღეს სპექტაკლში მონაწილე ბავშვები და მასწავლებლები რესტორანში შევიკრიბეთ. ჩვენი რეჟისორი, კარლამ (ლალი)

**თიკო ძათაბაშვილი**  
**ტელესერიალში — „ძილის წინ“ რაიონიდან ჩამოსული კახელი გოგონას — ლანკა კრანუაშვილის როლს ასრულებს. ამ საეკრანო სახით პოპულარობამოხვეჭილი ახალგაზრდა მსახიობი, თუ მეტად არა, თავის პერსონაჟზე არანაკლებ საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა...**

# ნათესავებს უშიშროდათ, ღებოლი ან მასინჯი არ ღავსაღებოლიყავი



ნიკოლაძე იყო. ლალიმ დაიწუნა — ვაიმე, რა კარგი ბუცები ვნახე, მაგრამ დოლარებზე იყიდება, მე კი ფული აღარ დამჩაო. ლალი, ძალიან ვინდა, ის ბუცები-მეთქი? — ვკითხე. მინდაო — მიპასუხა. უცებ ფეხზე წამოვხტი და ორმეტრიანი ზანგი საცეკვაოდ გავიწვიე. როგორც კი წამოვდექი, ლალი მაშინვე მიხვდა, რომ კარგს არაფერს ვაპირებდი. მანანა, დაფილუბეთ, ახლავე გამოვიყვანოთ ეს ბავშვი, თორემ თავს ციხეში ამოგაყოფინებს და ყველას შეგვარცხვენსო — უჩურჩულა დედაჩემს... რეჟისორმა ხელი ზუსტად იმ დროს ჩამავლო ქეჩოში, ზანგისთვის წელზე რომ მქონდა ხელები შემოხვეული და უკანა ჯიბეში საფულეს ამოსაღებად ორ თითს ვუცურებდი... სულ ტირილ-ტირილით დამაბრუნეს სუფრასთან: რატომ გამომიყვანეთ? ფული უკვე ამოდებული მქონდა-მეთქი — მოვთქვამდი.

— ბავშვობიდან სარკესთან ვიდექი და მსახიობობაზე ვოცნებობდი ხოლმე. წარმოვიდგენდი — პრემიერის შემდეგ, ინტერვიუს როგორ მართმევენ... ჰანისტობაც მინდოდა, მაგრამ ამაზე არ მიოცნებია. სცენაზე ჩემი დის წყალობით მოვხვდი: 5 წლის ასაკში პარტერში ვიჯექი და ხელოვნების სკოლის სპექტაკლს ვესწრებოდი. სცენაზე ჩემი და — ქეთი იდგა. რომ დავინახე, ნამდვილი ისტერიკა დავამართე — მეც ამიყვანეთ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, შეწუნებულმა რეჟისორმა თქვა, მაჩვენეთ ეს ბავშვი, გავიგებ მინც, რა შეუძლიათ. ასე მოვხვდი 5 წლის ასაკში სცენაზე და მოუზიკლებშიც ვმონაწილეობდი. მერე ჩემი და ჩამოვიდა სცენიდან, მე კი დავრჩი.

— თიკო, თქვენთან რომ დაფრეკდის ნიშნობა გქონდათ. ქეთის გათხოვების შემდეგ თავს ეულად ხომ არ გრძნობთ?

— საშინლად განვიციდი. თავიდან ძალიან მიხაროდა: მე და ჩემს დას ერთი ოთახი გვაქვს და ვამბობდი — ოთახში მარტო ვრჩები, „ფვართოვლები“-მეთქი. ახლა კი, დამით რომ ვიღვიბებ და ქეთი ჩემ გვერდით აღარ წევს, ტირილი მინდა...

— მითხრეს, რომ ლექციებს კითხულობო, სად ასწავლით?

— მსახიობის ოსტატობას ვასწავლი თეატრალურ ინსტიტუტში. ჩემი ყოფილი პედაგოგების — გიორგი შაუტაშვილისა და ალექო მახარობლიშვილის (ვერსაჩეს როლის შემსრულებელი ტელესერიალიდან „ძილის წინ“ — ავტ.) ასისტენტად ვმუშაობ.

— მგონი, თქვენთვის ამ კითხვის დასმა ჯერ შეიძლება, რამდენი წლის ხართ?

— 22-ის. წარმოიდგინეთ, უკვე 20 წლიდან ვასწავლიდი: სკოლა ექსტერნად და-

— როგორ გამოსწორდით?

— რამდენჯერმე შემარცხვინეს. მერე თანდათან ჭკუაში ჩავვარდი. შემდეგ, ერთი პერიოდი, ჩემს ოჯახს ძალიან გაუჭირდა. სხედან ერთხელ დედაჩემი, მამაჩემი, ჩემი და, მამიდა და ფიქრობენ — რა ქანა. მამიდაჩემმა თქვა: ეჰ, რა კარგი პროფესია ჰქონდა ამ ბავშვს, რას ვერჩოდით — ახლა ხომ გვარჩენდაო, გაიხუმრა... სტუდენტობისას, ხანდახან, ჩემს ლექტორს ვაცლიდი ჯიბეებიდან ნივთებს და ლექციის ბოლოს, უკან ვუბრუნებდი ხოლმე. ასე რომ, თუ მსახიობობა არ გამომართლა, ამ საქმეს ისევ დაუბრუნდები...

— მსახიობობა რატომ გადანივციტეთ? როგორც ვიცო, თავიდან კონსერვატორიაში აბარებდით.

სერიალის გადაღების სამუშაო მომენტში (ალექო მახარობლიშვილთან ერთად)





ვამთავრე, ადრე მომიწია თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებაც და მისი დამთავრებაც.

**— სკოლაში კარგად სწავლობდი?**

— ათარბეგოვზე, „ნიჭიერთა ათწლეულში“ ვსწავლობდი. ჩემს დროს ბევრი ამთავრებდა ექსტერნად სკოლას. ბოლო 2 წლის პროგრამას 1 წელში ვითვისებდი, რომ კონსერვატორიისთვის მოსამზადებელი დრო მქონოდა. სწავლით ცუდად არ ვსწავლობდი, მაგრამ ერთხელ საშემოდგომოც კი გამოიმყვა ფიზიკაში. ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი და ღელაჩემს ჩემ გამო, ხშირად იბარებდნენ ხოლმე სკოლაში.

**— რას აკეთებდით ასეთს?**

— მერხზე დავდებოდი, მთელი კლასის ბავშვები ჩემ გარშემო მოიყრიდნენ თავს და დავიწყებდი სიმღერას — რაღაც აფრიკული სიმღერა ვიცოდი; ერთ ფრანგს წავიდებოდა, მერე მთელი კლასი აიტაცებდა და იმეორებდა, მუხლებზე ხელების ტყაპუნით... ძალიან მიყვარდა ფეხბურთის და კალათბურთის თამაში. მიშლიდნენ — გოგო ხარ და ბიჭებთან არ უნდა ითამაშო — მეუბნებოდნენ. ამის გამო, ვოცნებობდი — ნეტავი ბიჭად მაქცია-მეთქი...

**— ბავშვობაში ასეთი გამბედავი, ლანკა კრანუაშვილის როლის თამაშმა როგორ შეგაშინათ?**

— კახელი გოგოს როლი რომ შემომთავაზეს, შეგშინდი — კახურ დიალექტზე მოლაპარაკეს, არავის ვიცნობდი. სცენარის ავტორის — თამრიკო ბართაიასგან შემოთავაზებული წინადადების შემდეგ, სასწრაფოდ წავიდა კახეთში. იქიდან ქორწილის კასეტა ჩამოვიტანე, ასე რომ, ქორწილის სადღევრებლობის წყალობით შევისწავლე კახური დიალექტი. მე მგონი, როლს კარგად გავართვი თავი. ამ ცოტა ხნის წინ, სამარშრუტო ტაქსიში კახელმა გლეხმა მკითხა: „შვილო, მართლად ჩვენებური ხარ თუ ასე კარგად თამაშობო?“

**— როლი როგორ მოგწონთ?**

— აღარ მომწონს — უკვე მიყვარს!

**— ლანკა კრანუაშვილის მსგავსი გოგონები თუ მოგწონთ?**

— ლანკასნაირები ნამდვილად არ მსიბლავს, მაგრამ ყოველთვის მეგონა, რომ სახასიათო როლს ვერ შევასრულებდი და მიხარია, ასე რომ არ მოხდა.

**— ლანკა უზომოდ აგრესიულია, თქვენ თუ ჰგავსართ მას?**

— აბსოლუტურად არა ვარ აგრესიული, როცა საჭიროა, მაშინაც კი ვერ გამოვლავებ აგრესიულობას. არ ვარ კონფლიქტური ადამიანი, პირიქით — სულ ვიცი და უმეტესად, კარგ გუნებაზე ვარ. ოჯახიც ასეთი მაქვს. ჩემს სახლში ჩხუბი არ მასხოვს: ღელა, როგორი განერვიულებულიც არ უნდა იყოს, მამას მინც გადიმებული ხვდება. ჩვენს სახ-

ლში ყოველთვის მხიარულება სუფევს.

**— თამრიკო ბართაიამ როგორ აღმოგაჩინათ?**

— თამრიკო დოკუმენტური ფილმის — „ქრისტეს აქეთ ქორნიკონის“ გადაღებისას გავიცანი. ამის შემდეგ ფილმზე — „ცოტა რამ საქართველოზე“ მოგვიწია ერთად მუშაობა. თამრიკო ამ ორივე ფილმის სცენარის ავტორი იყო, მე — რეჟისორის ასისტენტი.

**— როგორც ვიცი, „თეატრალური სარდაფის“ სექტაკლშიც მონაწილეობთ. სად უკეთ გრძნობთ თავს — სცენაზე თუ კამერის წინ?**

— „სარდაფის“ გარდა, მარჯანიშვილის თეატრის სექტაკლში — „შეხვედრის ადგილშიც“ ვთამაშობ მთავარ როლს. კინო ძალიან კარგია — პოპულარული ხდები. რამდენ სექტაკლშიც არ უნდა მეთამაშა, ისეთი პოპულარული, დღეს რომ ვარ, ვერასოდეს გავხდებოდი, მაგრამ თეატრის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენლად მჩვენება. მსახიობისთვის თეატრი იგივე „ბური არსობისაა“. მდლობა ღმერთს, მიმართლებს კიდევ; მეორე კურსზე ვიყავი, თებურ ჩხვიდის „მარადი ქმარი“ რომ ვნახე. სექტაკლში მიმაგომიაშვილი თამაშობდა ერთ-ერთ მთავარ როლს. კურსლები ვუთხარი — ისე არ მოგკვდები, ერთხელ მაინც მიმასთან ერთად რომ არ გამოვიდე „პაკლონზე“—მეთქი. ისე ავიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მე ამისურულა! ჩემს პირველივე სექტაკლში მიმაგომიაშვილთან ერთად გავიდი სცენაზე.

**— გვამბუზე რას გვეტყვი?**

— სამომავლოდ 2 სიმღერას ვამზადებ, კახა გოგოძისთან ერთად.

**— სიმღერას?**

— დიას, ადრე ანსამბლ „ჩორაში“ ვმღეროდი, შემდეგ — მანანა თოდაძისთან. ბოლოს, სიმღერას თავი დავანებე, რადგან სწავლაში მიშლიდა ხელს. ახლა ისევ მაქვს თავისუფალი დრო და შემიძლია, სიმღერები ჩაგწერო, მაგრამ სპონსორი არ მყავს და მარტო ჩემი ხელფასებით ძალიან ძნელა სიმღერის ჩაწერა. კლიპის გადაღებაზე ჯერ არც ვოცნებობ.

**— მშობლები არ გეხმარებიან?**

— მე მგონი, საუკეთესო მშობლები მყავს ამქვეყნად!.. მათთვის არასოდეს არაფერი დამიძალავს, მაგრამ არც ჩემი პრობლემებით შემიწუხებია ოდესმე ღელ-მამა. მათთვის ისიც სიურპრიზი იყო, საბუთები თეატრალურში რომ შევიტანე და ტელეესერიალში ჩემი მონაწილეობის ამბავიც პირველად, ეკრანიდან შეიტყვეს.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— სახლში თითქმის არასოდეს ვარ. მეგობრებთან ერთად ვერთობი. ჩემი მეგობრები ძირითადად მუსიკოსები არიან: ღამლამაძით სხვადასხვა ბარში მართავენ ხოლმე კონცერტებს და მეც იქ ვარ, სადაც ისინი

უკრავენ.

**— ბევრი მეგობარი გყავთ?**

— ძალიან და თითქმის ყველას ბავშვობიდან ვიცნობ. სხვათა შორის, ყველანი ბიჭები არიან და ერთადერთი გოგო მე ვარ. სულ თვალებში მიყურებენ და თავს დამფოფინებენ. თუმცა, ახლა თანდათან შემოგვემატნენ გოგონები — სამეგობროში რძლები შემოგვივიდნენ. მდლობა ღმერთს, ყველა რძალი კარგი შემხვდა (ივინის).

**— შეყვარებული თუ გყავთ?**

— რაც თავი მასწოვს, სულ შეყვარებული ვარ. ვერც ვითამაშებდი, შეყვარებული რომ არ ვიყო. სიყვარული ჯერ კიდევ ბაგა-ბაღში მეწვია. შემდეგ, სკოლაში, მე და ჩემს დაქალს, ორივეს ერთი ბიჭი გვიყვარდა... პირველი ნამდვილი გრძნობა კი, 14 წლის ასაკში გამიჩნდა. შემდეგ ის ბიჭი საზღვარგარეთ გაემგზავრა... ახლაც, ხან ვინ მიყვარდება და ხან ვინ, თუმცა, ჩემი ტრფიალის ობიექტი შეიძლება სულ ერთხელ მყავდეს ნანახი... სერიოზულად კი, ჯერ არავინ მყვარებია!

**— როგორც ვიცი, თქვენს სახლში მირონმდინარე ხატი იყო დასვენებული და ერთი პერიოდი მონასტერშიც იყავით...**

— ერთი პერიოდი საპატრიარქოს ტელევიზიაში ვმუშაობდი. საპატრიარქოდან ახალციხეში გავკავზავნეს გადაღებებზე. იქ წმინდა ანდრია და წმინდა ნინოს გზების მონლოცკელები ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამ სიხარულისა და გრანდიოზული ზემის შემდეგ, როგორც კი თბილისში ჩამოვედი, ერთი თვით მარტყოფის ღელათა მონასტერში წავიდი. რამდენიმე წლის წინ ამ მონასტრისთვის ათონიდან ივერიის ღელთისმშობლის ასლი გამოუგზავნათ. ხატის ჩამოსვენების შემდეგ ერთ-ერთ მონაზონს ჩვენება ჰქონდა: მას ღელთისმშობელი გამოეცხადა და ხატის სხვადასხვა სახლში ტარება უბრძანა. პირველივე სახლში დასვენების შემდეგ, ხატიდან მირონმა იწყო ღელა. ეს ხატი ჩემს სახლშიც იყო სამი ღელთი დასვენებული.





თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიურ განყოფილებაში არაჩვეულებრივი მოზინადრე — ლიზა ჩხაიძე ცხოვრობს: ის მსოფლიოში ერთადერთი ადამიანია, რომელსაც 50 წლის ასაკში დაუდგინდა დიაგნოზი: მუკოვისციდოზი.

საქმე ის გახლავთ, რომ ეს ბავშვთა დაავადებაა. მსოფლიოში ყოველ 2000 ახალშობილზე მუკოვისციდოზით დაავადებული მხოლოდ ერთი ჩვილი მოდის, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ხანს ცოცხლობს: მუკოვისციდოზით დაავადებული ყველაზე ხანდაზმული პაციენტი, რომელიც მედიცინისთვის არის ცნობილი, 25 წლის ასაკში გარდაიცვალა.

საქართველოში ხანდაზმულ ასაკში ამ დაავადების 7 შემთხვევაა გამოვლენილი. ერთ-ერთს — თელაველ პაციენტს თურმე 52 წლამდე უცოცხლია და ესეც სენსაციია. ლიზა ჩხაიძე კი, უკვე 63 წლისაა...

# ქართული მედიცინის ტრიუმფი და ტრაგედია

ლიანა ჭანკოტაძე

ლიზა ჩხაიძის ფენომენზე მის ექიმს — პროფესორ ვასტროენტეროლოგს ს შტა პაჭკორიას ვესაუბრეთ. ბატონი ხუტას კაბინეტში ქალბატონი ლიზაღ დავეხვდა.

— ბატონო ხუტა, იქნებ მოკლედ განვიმარტოთ, რა დაავადებაა მუკოვისციდოზი და რატომ არის ქალბატონი ლიზას შემთხვევა ნამდვილი სენსაცია?

— მუკოვისციდოზს ფიბროზულ კისტოზსაც უწოდებენ. ის ბავშვობაში გვლინდება: თუ ბავშვს ხშირად აქვს ფილტვების ანთება და ნაწლავის აშლილობა ერთდროულად, ამასთან, ის არის გამხდარი, ფერმკრთალი და ზრდაშიც ჩამორჩება, პედიატრმა მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დასვას ეს დიაგნოზი. მუკოვისციდოზი შედარებით ახალი დაავადებაა: პირველად იგი შვეიცარიელმა პედიატრმა 1935 წელს აღწერა, 1938 წელს კი ამერიკელმა პედიატრმა ქალმა დოროთი ანდერსენმა უწოდა მას მუკოვისციდოზი. ყველა შემთხვევა, როცა ამ სენით დაავადებული ბავშვი 25 წლამდე იცოცხლებს, უკვე სენსაციია. ლიზიკოს მსგავსი შემთხვევა კი მსოფლიოში არსად დაფიქსირებულა.

— ქალბატონ ლიზას მხოლოდ 50 წლის ასაკში რატომ დაუდგინდა ეს დიაგნოზი?

— ლიზიკო პრაქტიკულად მთელი თბილისის თერაპიული და ქირურგიუ-

ლი განყოფილებების „ბინადარი“ ყოფილა და „ქრონიკულ“ — ე.ი. მუდმივ პაციენტად ითვლებოდა. მეც და ყველა ექიმი, ვინც მას იცნობდა, საგონებელში ვიყავით ჩავარდნილი, დიაგნოზს ვერ ვუსვამდით. ჯერ გვეგონა, ნაღვლის ბუშტში კენჭები ჰქონდა, გაუუკეთეთ ოპერაცია, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ კუჭის წყლულზე გაუკეთდა ორი ოპერაცია, ასევე უშედეგოდ. მისი განკურნება ვერანაირად ვერ ხერხდებოდა. როცა სუფსაში მიდიოდა ხოლმე, არც ერთ გამცილებელს არ უნდოდა თავის ვაგონში მისი შეშვება, რადგან ლიზიკოს იმდენჯერ ემართებოდა ასთმური შეტევა, რომ მთელ შემადგენლობას ყოველ სადგურში აჩერებდნენ. წლების განმავლობაში, ხანდახან დღე-ღამეში 10-20 ეოფილინის — ინიექციას ვუკეთებდით ვენაში, შეტევა რომ მოხსნოდა. ღამეებს ათენებდა, გაუსაძლის ყოფაში იყო. ერთხელ პრაქტიკულ მეცადინეობაზე სტუდენტებს ვუხსნიდი, რა დაავადებაა მუკოვისციდოზი და უეცრად შემოვიდა ლიზიკო, თავისი ჩვეული ჩივილებით. რატომღაც სწორედ მაშინ გავიფიქრე, რომ ის შეიძლება, მუკოვისციდოზით ყოფილიყო დაავადებული. ეს მოხდა 1988 წელს. ლიზა უკვე 50 წლის იყო. ამის შესახებ შევატყობინე ცნობილ პედიატრს სოსო კვაჭაძეს, რომელმაც ჩვენი პირველმა აღწერა ეს დაავადება ბავშვთა ასაკში და გამოავლინა კიდევ... ხელახლა გამოვიკვლიეთ ჩვენი ლიზიკო და მსოფლიოში პირველად, 50 წლის

ასაკში პაციენტს დაუდგინდა დიაგნოზი: მუკოვისციდოზი.

— ქალბატონმა ლიზამ გამანდო, რომ სულ 13 ოპერაცია აქვს გაკეთებული და ყველა — უშედეგოდ. როგორღა მოხერხდა მისი განკურნება?

— 1992 წლის 23 ოქტომბერს პროფესორმა სერგო ხუნდაძემ გაუკეთა ლიზას ოპერაცია და ამოაჭრა საძილე არტერიის ჩაკერული კვანძი კისერზე. მოხდა სასწაული: ამ ოპერაციის შედეგად ავადმყოფი გათავისუფლდა ასთმური შეტევებისაგან, აღუდგა ნაწლავების მოქმედება და უკვე ცხრა წელია, რაც, შეიძლება, განკურნებულად ჩაითვალოს. ერთადერთი, რაც დღეს ესაჭიროება, ეს არის გაძლიერებული კვება — ცხიმები, ცილები და ვიტამინები.

— ხომ არ კეთდებოდა ეს ოპერაციები გარკვეული ექსპერიმენტის მიზნით? მოგესხენებათ, არც უნინ და არც ახლა, უფასოდ ოპერაციას არავის უკეთებენ...

— მაშინ ოპერაციები უფასო იყო, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ლიზიკოს მაინც გაუკეთებდნენ, თუნდაც მისი უიმეოთესი სენის გამო და იმის გამოც, რომ ეს იყო მსოფლიოში პირველი ოპერაცია, რომელიც მუკოვისციდოზით დაავადებულ პაციენტს გაუკეთდა და შედეგიც გამოიღო.

— ქალბატონო ლიზა, გვიამბეთ რამე თქვენ შესახებ: ვინ იყვნენ თქვენი მშობლები? სად არის თქვენი





**სახლი? სად არიან თქვენი ნათესავები?**

— მე ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში დავიბადე 1938 წელს. მხოლოდ ოთხი კლასის განათლება მივიღე, რადგან ქვეყანას ავადმყოფი მოვევლინე და ჯანმრთელობამ არ შემიწყო ხელი სწავლაში: გამუდმებით მქონდა თავის ტკივილები, ვიტანჯებოდი ხშირი ხველებით, კუჭნაწლავის ქრონიკული აშლილობით. როცა სუფსაში ვცხოვრობდი, დედა მივლიდა. ჩვენ ღარიბები ვიყავით. მამა ოშში დამეღუპა, ერთი ძმა მყავდა და ისიც ზღვაში დაიხრჩო. ჩემი ერთადერთი პატრონი დედა იყო, მაგრამ ისიც ძალიან მალე გარდაიცვალა — მაშინ 18 წლის ვიყავი. მას შემდეგ ასე მარტოდმარტო ვარ, უპატრონოდ და უსახლკაროდ. რაც თბილისში ვარ, ჩემი ნათესავებიდან აღარავინ მინახავს — საცოდავი არავის უნდა. არც ისინი მაკითხავდნენ და არც მე შემეძლო, ჩემი ქრონიკული ასთმის გამო, მათთან ჩასვლა. უკვე 45 წელია, რაც აღარაფერი ვიცი მათ შესახებ. სუფსას, ჩემს ეზოს და მათ სახეებს მხოლოდ სიზმარშიღა ვნახულობ ხოლმე.

**— თბილისში როდის ჩამოხვედი?**

— ბავშვობაში დასავლეთ საქართველოს საავადმყოფოებში ვიწექი. მე მგონი, არც ერთი არ დარჩენილა, სადაც არ მიმკურნალია. ერთ-ერთი ძლიერი შეტევის დროს ექიმებმა დედაჩემს ურჩიეს: თბილისის ჰავა მოუხდება, თბილისში წაიყვანეთო. დედამ ჩამომიყვანა, თვითონ უკან გაბრუნდა. მერე ჩამოსვლა ველარ შეძლო, მალე გარდაიცვალა... მე საავადმყოფოდან საავადმყოფოში დავდიოდი, სანამ კომუნისტები იყვნენ, საკვები არ მიჭირდა. შეიძლება ითქვას, მშვიერი არასოდეს ვყოფილვარ. მერე სამადლოდ მაჭმევდნენ. ჩვენს საავადმყოფოში ლტოლვილები ცხოვრობენ. თითქმის ყოველდღიურად მიყოფენ თავიანთ ლუკმას. ექიმებსა და ექთანებსაც არ ვავიწყდები. სტუდენტებსაც კი მოაქვთ ხოლმე ჩემთვის ტკბილეული. ეს ხალხი შიმშილისთვის არ მიმეტებს, მაგრამ არ ვიცი, რა მელის მომავალში.

**— როგორც ბატონმა ხუტამ მითხრა, თქვენი დაავადების უნიკალურობისა და თქვენ შესახებ თითქმის მთელ ევროპაში იციან. თქვენ მთელი სამედიცინო საზოგადოება გიცნობთ... ამაზე რას ფიქრობთ?**

— არა აქვს მნიშვნელობა, რითი იქნები გამორჩეული — მთავარია, რომ მე მთელ მსოფლიოში ერთადერთი ვარ. მართალია, ჩემი ავადმყოფობით გავხდი პირველი, მაგრამ მანც მახარებს პირველობა. რამ-

დენიმე წლის წინ თბილისში ჩამოვიდა ფილტვის დაავადების ცნობილი სპეციალისტი, ინსბრუკის უნივერსიტეტის კლინიკის პროფესორი იური სიდოროვი, რომელმაც ნახა ჩემი ავადმყოფობის ისტორია და იმდენად გაოცებული დარჩა, რომ ლონდონში, მსოფლიო ჯანდაცვის კონგრესზე წამოაყენა ჩემი საკითხი, რის შემდეგაც მომინახულეს ცნობილმა მეცნიერებმა: ლეონიდ არჟინმა, გიორგი ავთანდილოვმა და ვლადიმერ კაპრანოვმა. 1999 წელს კი თბილისში ჩამოსულმა შვეიცარიელმა პულმონოლოგმა ერის რუსიმ მნახა. მან მთელი ციურიხის სამედიცინო საზოგადოებას ამცნო ჩემ შესახებ და მიმიწვიეს კიდევ ლონდონში, მსოფლიო ჯანდაცვის კონგრესზე. მგზავრობისთვის საჭირო თანხები მე თვითონ უნდა გადამეხადა. მე ევროპაში კი არა, სუფსაში წასასვლელი ათი ლარიც არ მაქვს.

**— არავის მიმართე დასახმარებლად?**

— ვისაც მივმართე, ყველამ ასეთი პასუხი გამცა: სახელმწიფოს, ის თანხა, რომელიც გესაჭიროებათ, ჯერჯერობით არ გააჩნიაო. მეც დავმორჩილდი ბედს. ამის შემდეგ შეიტყო ჩემ შესახებ მსოფლიოს უდიდესმა ჰემატოლოგმა — ამჟამად 82 წლის პროფესორმა ქალბატონმა, შეილა შერლოკმა და გამომიგზავნა წერილი. მან მიმიწვია თავისთან, რათა შევეკვანე თავის „საოცრებათა წიგნში“, მაგრამ მე ისევ ვერ ვიმოვე მეზავრობისთვის საჭირო თანხა.

**— ქალბატონო ლიზა, როგორც მითხრეს, თქვენი ოცნება გინების რეკორდების წიგნში მოხვედრია. სხვა ოცნება თუ გაქვთ?**

— ვოცნებობ, რომ მქონდეს პატარა სახლი, საკვები და ნორმალური პირობები. ამ უზარმაზარ ქვეყანაში სრულიად მარტო, მხოლოდ ღმერთის ანაბარად ვარ და ისღა დამრჩენია, განვადიდო იგი: დავდივარ ეკლესიებში, ვესწრები წირვებს და ღრმად მწამს, რომ ოდესმე სახლიც მექნება და იქნებ, დაოჯახებაც შევძლო...

ლიზა ჩხაიძე საავადმყოფოში ყველას უყვარს. ის ხალისით ეხმარება ექიმებს — დააქვს წერილები, თვალყურს ადევნებს მთელ განყოფილებას და არაერთხელ გადაურჩენია იგი გაქურდვისაგან. მისი ერთადერთი პრობლემა საკვებია: ბევრი რამ მისთვის ოცნებად ქცეულა და თავადვე იცის, რომ ასრულება არ უწერია — არადა, მისი უნიკალური დაავადების გამო, შესაძლებელი იყო, ქართული მედიცინის მიღწევა მთელი მსოფლიოსთვის გამხდარიყო ცნობილი: ქ-ნი ლიზას განკურნება ხომ, ქართული მედიცინის ტრიუმფად შეიძლება ჩაითვალოს...



რედაქციის ფოტო

ცოცხალი გონების ნიშანი ის არის, რომ საკმარისია ცოტა ნახოს, ცოტა მოისმინოს, რათა შემდეგ დიდხანს იფიქროს, ბევრი გაიგოს და შექმნას.

**ჯორდანო ბრუნო**

თითქმის ყოველთვის და ყველგან, სადაც გონივრული მტკიცება თავდება, იწყება ყვირილი.

**ლეონარდო და ვინჩი**

ფუჭმეტყველება ყოველთვის ხიბლავდა უსაქმურებს.

**ნიკოლაი დობროლიუბოვი**

ფუჭია სიტყვა, რასაც საქმე არ ახლავს თანა,

მაგრამ სადა საქმე, სიტყვა რომ არ სჭირდება?

**ბერძნული ანთოლოგია**

კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარულსა მოყვარულსა.

**შოთა რუსთაველი**

ვინც დროს კიცხავს, გამექცაო, უსამართლოდ ისარგება:

სულ თავის თავს დააბრალოს, დროზე რომ არ ისარგებლა.

**ფრიდრიხ ლოგაუ**

ვერც ცივი მიწა, ღამის სათევი, ვერც დიდებული საწოლის სითბო, ვერც აბრეშუმი, ნუგბარი კერძი და ვერც ძონძებით შემოსილობა ვერ აიძულებს სულით ძლიერებს, გადაუხვიონ ალთქმული გზიდან, არად მიუჩანთ დარდი და შგება — მისდევენ მხოლოდ არჩეულ მიზანს.

**ბჰატიარი**

ერთიანობა კარგია! რომელი გეტყვის, არაო?

მაგრამ გიჟია, ვინც ამბობს, მე ერთი ვარ და კმარა!

**ფრიდრიხ შიოლდერლინი**



თბილისელი ქალებიდან თუ ვინმე ხარგად ატარებს მანქანას, ერთ-ერთი მაკა ასათიანიც არის. მამის ნებიერას, როგორც ჩანს, ბოლო დროს პრობლემები შეექმნა და თბილისური ჭორების ეპიცენტრშიც ეს მშვენიერი ქალბატონი კიდევ ერთხელ მოექცა. მაკა ასათიანს ქმარზე საუბარი არ სურს და, ცხადია, კიდევ უფრო დრამატიკა ინტერესი მის ცხოვრებაში შესაძლო ცვლილებების გამო.



# რა შეიცვალა

## მაკა ასათიანის

### კირად ცხოვრებაში?


#### ლეა ჭანკობაძე

— მაკა, როდის ისწავლე მანქანის მართვა?

— მანქანის მართვა არ ვიცოდი, მაგრამ მაინც ვვძლეოდი საჭესთან, ხან რომელ მანქანას მივუჯდებოდი, ხან რომელს. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, რომელი ჩემი მეგობარი მათხოვებდა თავის ავტომობილს. ვისაც მაგარი გული ჰქონდა, სწორედ ის მაძლევდა თავისი მანქანის მართვის ნებას. აი, ასე „ლეწვა-ლეწვით“ ვისწავლე ტარება. შიში ნამდვილად არ მქონდა. არც სერიოზული ავარია მომსვლია. „ხადნი“ არ ვიცოდი და ძირითადად, უკან დახვევისას ვეხეთქებოდი ხან რას და ხან რას...

— პირველი მანქანა საკუთარი ხელფასით იყიდე თუ გაჩუქეს?

— ჩემმა მეუღლემ მაჩუქა „ფიჯული-08“. ორი წელი მყავდა ეს მანქანა, მოხდა ისე, რომ არ დამიმტვრევია. მანქანის მართვა უკვე ვიცოდი, მართალია, არავის უსწავლებია, მაგრამ ჩემით, თხოვება-თხოვებაში ვისწავლე.



— მართვის მონაგობაც შენით აიღე?

— არა, მომიტანეს...

— მხოლოდ მსუბუქი მანქანების მართვის უფლება გაქვს?

— ვიცი, რომ მოტოციკლეტის მართვის უფლებაც მაქვს. ბავშვობაში ჩემი მეგობრების მოტოციკლეტზე ხშირად დავმჯდარვარ და უნდა გითხრათ, რომ

მოტოციკლეტი დღესაც ძალიან მიყვარს, ვერ ვახერხებ, თორემ დიდი სიამოვნებით ვიქროლებდი ძალიან დიდი სისწრაფით.

— ახლა რა მანქანა გყავს?

— „მერსედეს SLK“.

— რა ფასიანია შენი მანქანა?

— დაახლოებით 20.000 დოლარი ღირს, ზუსტი ფასი არ ვიცი. მამაჩემი თბილისში „მერსედესის“ ფირმის წარმომადგენელია. მამას გამოუგზავნეს, როგორც საჩვენებელი ნიმუში „მერსედესის“ ცენტრში, შემდეგ ეს მანქანა აღმოჩნდა ჩემს ხელში.

— თანხა მამამ გადაიხადა თუ ქმარმა?

— არ ვიცი, სინამდვილეში როგორ იყო. ჩუქებით, ნამდვილად ქმარმა მაჩუქა.

— გიყვარს შენი მანქანა?

— რაც ჩემი მანქანა მყავს, მას შემდეგ სხვისი მანქანის საჭესთან არ დავმჯდარვარ. როცა მეგობრები მთხოვენ: ჩვენ დავლიეთ, საჭესთან შენ დავექო, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ვიკავებ მძღოლის ადგილს, მაგრამ სხვა მანქანას ვეღარ ვეჯივები.



— სისწრაფე თუ გიყვარს?  
 — შეგეშინდებათ, ისე სწრაფად დაველივარ...

— ეი. კარგადაც დაგყავს, რადგან ჩვენს გზებზე ბედავ დიდი სიჩქარით სიარულს...

— ამბობენ, რომ კარგი მძღოლი ვარ და ქალი თუ ზის საჭესთან, არ იგრძნობა: მოგესსენებათ, ქალები მშიშრები არიან. როცა ჩემ წინ მიმავალი მანქანის მოძრაობა არ მომწონს, მაშინვე ვხვდები, რომ მას ქალი მართავს.

— ახალი მანქანა ხშირად არ ფუჭდება, მაგრამ მაინც, დროდადრო, ნებისმიერ ავტომობილს სჭირდება თუნდაც მცირედი შეკეთება. როცა ასეთ პრობლემას აწყდები, ვინ გეხმარება?

— საწვავს მე თვითონ ვასხამ, რაც შეეხება ზეთის დამატებას ან სხვა პროფილაქტიკურ საშუალებებს, მივიღებ „მერსედის“ ცენტრში და იქ მივარებენ ნებისმიერ პრობლემას.

— საზღვარგარეთ როცა იმყოფები, მაშინ თუ საარგებლობ ავტომობილით?

— ყოფილა შემთხვევა, რომ მანქანა „პრაკატი“ ამიყვანია, ჩვეულებრივ როგორც ხდება: მიხვალ და იქირავებ, რამდენი დღით ან — რამდენი საათითაც გინდა. საფრანგეთში როცა ვარ, არანაირი პრობლემა არა მაქვს, რადგან

როგორი უწყობა და უწყსრიგობაც საქართველოშია, ისეთივეა იქაც — შეიძლება, ცოტათი უარესიც: არ მინახავს პარიზში „წითელზე“ გაჩერებული მანქანა, თუ აქვს საშუალება ნებისმიერი მანქანა მიდის, როცა შეუქნიშანი „გაწითლებულია“.

— ქართველ ავტონისპექტორებთან თუ გქონია პრობლემები?

— არა, ალბათ იმიტომ, რომ ქალი ვარ. ქალებს ისინი პატარა-პატარა შეცდომებს აპატიებენ, დიდ შეცდომებს კი მე არ ვუშვებ — არ მიყვარს უზრდელობა, ნამდვილად არ ვარ უზრდელი მძღოლი. თავიდან ამ მანქანის საჭეს რომ მივუჯექი, ყველა ავტონისპექტორი მაჩერებდა: თურმე მანქანა აინტერესებდათ — ჩემს „მერსედესს“ სახურავი ეხდება და როცა გაარკვევდნენ, როგორ ხდებოდა ეს პროცესი, მიშვებდნენ.

— ფულს თუ გთხოვენ ავტონისპექტორები?

— არა, ნამდვილად არა.

— რატომ? მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ ლამაზი ქალი გააჩერეს?

— ალბათ. ამ ბოლო დროს საერთოდ აღარ მაჩერებენ. შეიძლება ითქვას, რომ მე და პოლიცია შეხმატებილებულები ვართ.

— ამან პოლიციელთა ფორმის შეცვლის სურვილი ხომ არ აღგიძრა?

— სიამოვნებით შევცვლიდი პოლიციის ფორმასაც და ჯარისსაც. ბევრ ქვეყანაში მომწონებია პოლიციელების უნიფორმა.

— ოდესმე თავი პოლიციელის ადგილას ხომ არ წარმოგიდგენია?

— ზაფხულში დავეგებოდი მათ ადგილას, რადგან სიცხე მიყვარს და „ზაგარსაც“ მივიღებდი. სიცხეში ნამდვილად ვერ შევძლებდი ქუჩაში დგომას.

— მაკა, როცა „08“ გყავდა, არ გიფუჭდებოდა?

— ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა იმ მანქანას: პირდაპირ რუსთაველზე შუა გზაზე ჯორივით გაჩერდებოდა ხოლმე. საკმარისი იყო, სადმე დიდ მოძრაობაში მოვხვედრილიყავი, რომ

ჩემი „08“ მიმტყუნებდა. გადმოვდიოდი, ავხდიდი კაპოტს. დავიკაპიწებდი ხელებს და ჩავძვებოდი მაზუთში... შემდეგ ვინმე წამომეშველებოდა და გამოვდიოდი მდგომარეობიდან. საბურავის გამოცვლაც ბევრჯერ მიცდია და გამომსვლია კიდეც. ახლა რომ მანქანა მყავს, თითქმის არ ფუჭდება და პრობლემაც შესაბამისად ნაკლები მაქვს.

— მაკა, რა მარკის მანქანები ჰყავთ შენს ქმარსა და მამას?

— მამაჩემს „მერსედესის“ ჯიპი ჰყავს, ჩემს ქმარს „მერსედესი-600“. სხვათა შორის, მამა დედაჩემს დღესაც არ სვამს საჭესთან — ეშინია. მე ვერ მერევა, თავისი ნება რომ იყოს, ალბათ ამიკრძალავდა მანქანის მართვას, რადგან რამდენჯერმე დაშინახა, სწრაფად რომ მივდიოდი და მისაყვედურა კიდეც.

— ნასვამი თუ ჯდები საჭესთან?

— ნამდვილად არა. მანქანა ჩემთვის არის საყოფაცხოვრებო ნივთი, რომელიც ცხოვრებას მიადვილებს. საღამოობით, როცა გასართობად ბარში ან რესტორანში მივდივარ, მანქანას ავტოფარეხში ვტოვებ — იმიტომ, რომ დაღვევაც მიყვარს, გართობაც და მერე საჭესთან ჯდომა მეზარება, მირჩევნია, სახლში მეგობრებმა მიმიყვანონ. ასეთ შემთხვევაში, თავი არ უნდა ვაკონტროლო — რამდენს დავლევ — და არც იმაზე ვიდარდო, რომ მთვრალი არ მიგუჯდეს საჭეს.

— მაკა, რა სიახლეებია შენს შემოქმედებით ცხოვრებაში?

— სულ ახლახან ქალის საცვლების პრეზენტაცია მოვაწყვე. აქამდე ამ ხაზით არ მიბუშავია — მხოლოდ ზედა ტანსაცმელს ვქმნიდი.

— შენს ტანსაცმელს ქართველი მოდელები წარმოადგენენ ხოლმე პოდიუმზე?

— კი. ძირითადად აქაური მოდელები წარმოაჩენენ ხოლმე ჩემს ტანსაცმელს. თუმცა, მოდელი საფრანგეთიდანაც ჩამომიყვანია. ჩემს ჩვენებებს ნახულობს უამრავი ექსპერტი და ბევრი დაინტერესებული ადამიანი სამოდელი ბიზნესიდან. ისინი აღნიშნავენ: საქართველოში კარგი მოდელები გყოლიათ, რომლებიც სათანადოდ წარმოაჩენენ ტანსაცმელს და კარგი პროფესიონალებიც არიანო. მე მიმაჩნია, რომ ყველანაირ „ჰაი კლასის“ (მაღალი დონის) სააგენტოსთან მაქვს ნამუშევარი და ყველა დონის მოდელი გამომიყენებია. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი





გოგონები მათ არაფრით ჩამოუვარდებიან. მე სააგენტო „ნატალისთან“ ვთანამშრომლობ და მიმაჩნია, რომ ამ სააგენტოს კარგი მოდელები ჰყავს. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის.

— თუ არის ჩვენთან ისეთი შრომის ანაზღაურება, რომ მოდელმა ამით იცხოვროს?

— მე ვუხდი სააგენტოს, შემდეგ სააგენტო უხდის მოდელს. საქართველოში სულ ორი-სამი მოქმედი მოდელები ვართ, რომლებიც წელიწადში 2-ჯერ ან 3-ჯერ ვაწყობთ ჩვენებას. ასე რომ, ჩვენი გოგონების შემოსავალი მინიმალურია. უცხოეთში ყოველ მეორე ან მესამე დღეს ეწყობა ჩვენებები და მოდელები დაკავებული არიან. თუმცა, იქაც უამრავი ყოფითი პრობლემა და მოდელები პარალელურად, ან ოფიციალურად, ან ღამის კლუბში მუშაობს. ზოგს ჰგონია, რომ საზღვარგარეთ ყველა მოდელი მილიონერია, მაგრამ ასე არ არის.

— ცხადია, ეს მხოლოდ ენ. ტოპ-მოდელებს ეხებათ, რომლებიც გამორჩეულად კარგად ცხოვრობენ...

— წარმოიდგინეთ, დღეს ტოპ-მოდელის ცნება გაუფასურებულია, თანაც ისინი ძალზედ ცოტანი არიან — სულ რამდენიმე შემორჩა, დანარჩენს ყველას მოდელი ჰქვია. ნაომი კემპბელი წინათ 20.000 დოლარად თუ გამოდიოდა პოდიუმზე, ახლა იძულებულია, სულ რაღაც 300 დოლარად გამოვიდეს, როგორც ყველა სხვა. ეს გამოიწვია იმან, რომ სამოდელო ბაზარი რუსმა, იუგოსლავიელმა და ჩეხმა გოგონებმა დაიპყრეს.



მაკას მეუღლე — მერაბ ჟორდანიას

— მაკა, შენი შეფასებით როგორ იცვამენ თბილისელი ქალები?

— მე არ მიხარია ჩაცმა — მე, რომელსაც გაზიც მაქვს, შუქიც და სხვა ყველაფერიც. მიკვირს, ხალხი ფსიქიკურად რომ არ დაავადდა. მიკვირს, როგორ აქვთ ქართველ ქალებს მაინც ჩაცმის სურვილი... საერთოდ, ჩემი აზრით, ქართველი ქალი არის არანორმალურად გემოვნებიანი. მოდის სამყარო ისეთია, რომ მთავარია სტილი: შეიძლება უბრალო ტანსაცმელი გეცვას — მთავარია, როგორ გაცვია!

— მაკა, ახლა რა ხდება შენს ცხოვრებაში?

— მყავს ორი შვილი. ვართ მშვიდად, წყნარად. უფროსი ვაჟი — კახი „ხუთოსანია“, წარჩინებული მოსწავლეა და სულ მახარებს. უმცროსი — ლევანი, სკოლაში რომ შევა, ალბათ საშინელებებს ჩაიდენს და წინასწარ მისკდება გული... ბიჭები დადიან სპორტზეც, მასწავლებლებთანაც ემზადებიან და ძალიან დატვირთულები არიან.

— მაკა, შენი და შენი ქმრის სიყვარულის ამბავზე ძალიან ბევრი დანერგა. თუ შემოგრჩათ სურვილი, ერთმანეთისთვის რაღაც არაორდინარული გააკეთოთ? ხომ არ გახუნდა თქვენი გრძნობები?

— იცით, რა, საერთოდ არ მინდა ამ თემაზე საუბარი.

— სანამ ადამიანი პოპულარულია, ის თბილისური ქორების ეპიცენტრში დგას. მტკივნეულად აღიქვამთ ხოლმე ქორებს?

— ადრე თუ ჭორე-

ბზე მეცინებოდა, დღეს უკვე ჩემში არანაირ რეაქციას აღარ იწვევს. ადრე მეხალისებოდა და ვიცინოდი, მაგრამ ყოფილა ჭორი, რომელიც არ მომწონებია, რადგან მივმხდარვარ, რომ ამ ჭორმა ჩემს ახლობელს შეიძლება ავნოს — ვთქვათ, მამაჩემს რომ მიუვიდეს ეს ამბავი თუნდაც ჭორად, მის საშინელ გალიზიანებას გამოიწვევს.

— ცნობილ ადამიანებთან დამოკიდებულებაში, მე მგონი, ქართული პრესა მაინც ზომიერია: როცა ჭორი შეურაცხმყოფელი ყოფილა, არ გიცდია პირველწყაროსთვის მიგვეგნო?

— სიბინძურის გავრცელებას თუ ვინმე დააპირებს, გავლიზიანდები. თუ დაიწერა სიბინძურე, თუნდაც ჭორის სახით, ყველაფერს ვიხამ, ალბათ გაზეთს „საფლავეშიც“ ჩავეყვები. ჩემი შვილი უკვე კითხულობს პრესას და არავის ვაპატიებ, რომ ჩემზე სიბინძურე დაწეროს. საქართველო ევროპა და ამერიკა არ არის. იქ დაიწერება და შემდეგ იწყება ჩივილი, სასამართლო პროცესები... საქართველოში ასეთ ცივილიზებულ გზას არ ირჩევენ და პირდაპირ „მარდაბოი“ იწყება ხოლმე. ამიტომ მგონია, რომ შიშის ფაქტორიც მოქმედებს, როცა რაიმე იწერება. ასე რომ, ჯერჯერობით მე არ შემუქრება, რომ ჩემზე გაზეთში რაიმე სიბინძურე დაიწეროს...

— მაკა, ბოლო დროს რაიმე თუ შეიცვალა შენს პირად ცხოვრებაში?

— ჯერჯერობით არაფერი.

— უახლოეს მომავალში აპირებ რაიმეს შეცვლას?

— არ ვიცი.

— ის დიდი სიყვარული, რომელიც თქვენ შორის იყო, აღარ არის?

— ალბათ. არ მინდა ამაზე ლაპარაკი...



**საყოფაცხოვრებო-საოჯახო მომსახურების ფირმა „დიასახლისი მამია“**

**დაგეგმვა და ბინებისა და ოფისების დალაგებაში. ვალაგებთ სწრაფად და იაფად.**

☎ 899 17 33 42;  
71 77 19



**რ**ემი მეგობარი დათო, არეულობის წლებს რომ ვეძახით, სწორედ იმ პერიოდში საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში, ერთ-ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა. მისი სამსახურებრივი მოვალეობა კულტურული ღონისძიებების მოწყობა, ორგანიზება და სხვა ამგვარი საქმეები იყო. აქედან გამომდინარე, კულტურის სფეროში მოღვაწე ხალხთან უხდებოდა ურთიერთობა, უმთავრესად, ახალგაზრდებთან – მომღერლები, მსახიობები, მწერლები დათოს კაბინეტის ხშირი სტუმრები იყვნენ. მწერლები – წიგნის გამოცემას სთხოვდნენ, მხატვრები – გამოფენების მოწყობას, ზოგიც – შემოქმედებითი საღამოს ჩატარებას... დათოც, როგორც შეეძლო, ეხმარებოდა „ამ კულტურულ ადამიანებს“.

ერთ მშვენიერ დღეს, საკმაოდ ლამაზი ახალგაზრდა ქალი ესტუმრა. ქეთი (ასე ერქვა ამ მიმზიდველ არსებას) პოეტი აღმოჩნდა. შესცინეს ერთმანეთს „პოეტესამ“ და „მუზების მფარველმა“. დათომ (ცხადია, პირადი მღვიმის ხელით) ყავა მიართვა ქეთის, ქეთიმ ლექსები წაუკითხა და, ტრაფარეტულად რომ ვთქვათ, ნაცნობობაც შედგა. ქეთიმ გულით დაპატიჟა დათო შინ – მარტო ვცხოვრობ და თუ მეწვევით, ძალიან გამინარღებო. უცნაური სტუმარი გამოდგა პოეტი ქეთი – არც არაფერი უთხოვდა დათოსთვის, არც შეუწუხებია – პირიქით, რამდენიმე ლექსი წაუკითხა, მართალია, წყალწყალა, მაგრამ მაინც ლექსი, მერე კი შინაც მიიპატიჟა.

ძნელია ქალთან თავპატიჟი გამოიღო, თანაც დათოს ვითარებას ისიც ურთულებდა, რომ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ქეთი ფრიად მიმზიდველი, სექსუალური ქალი იყო. თავს ზემოთ გზა აღარ ჰქონდა დათოს – უნდა სწვეოდა უცნაურ სტუმარს. სხვა თუ არაფერი, ლექსებს მაინც მოისმენდა, ლამაზ ბავთეაგან ნათქვამს, იმ დროს, როცა ხალხს ყურები ჰქონდა დახშული ავტომატების კაკანით.

მოსალამოვდა, დათომ თავის პირად მძღოლს უხმო, ჩაჯდა მანქანაში და ქეთის მისამართზე გასწია – რაღა დავამალოთ და, იმ იმედით, რომ იქნებ, ლექსების გარდა, სხვა რამისთვისაც გამოეკრა ხელი... გაეშურა ქეთისთან, მაგრამ თადარიგი მაინც დაიჭირა: როცა ქეთის კორპუსთან მივიდა, თავის მძღოლს, ბონდოს მოელაპარაკა: „2 საათში მომაკითხავ, მე-3 სართულზე ამოხვალ, ამა და ამ ბინაში ვიქნები. თუ წამოსვლა მენდომება და საშუალება არ მექნება, გკითხავ – ბონდო, ბატონმა გოგომ ხომ არ მიკითხა მეთქი? შენ მეტყვი: კი, ვიკითხა და



## ლევან ჩაყახიშვილი სიურპრიზი „მუზების მფარველისთვის“

სასწრაფოდ გიბარებს-თქო. ავდგებით და წამოვალთ. თუ დარჩენა მენდომება, მაშინ გკითხავ: „ბონდო, ბატონმა ზურაბმა ხომ არ მიკითხა?“ შენ მეტყვი: „არა, არ უკითხინარ“, თან დააყოლებ – ახლავე მოვალ-ო-თქო. ჩახვალ, შამპანურს, ტკბილეულსა და ყვავილებს ამოიტან, დატოვებ და წახვალ. დილით კი, ჩვეულებრივად, სამსახურში შევხვდებით...“

ქეთი დათოს დანახვაზე სიხარულით ცას ეწია. ჩვენს დროში ხომ იშვიათობაა ჭეშმარიტი ხელოვნებისა და ხელოვანის დამფასებელი ჩინოსანი!.. ქალი მართლაც მარტო ცხოვრობდა ერთოთახიან ბინაში. დასხდნენ. ათიოდე წუთი ისაუბრეს და ქეთიმ ამის მერე გაუშვილა მოწვევის მიზეზი – ისე, უსიტყვოდ, საქმით: შუქი ჩააქრო, სანთლები დაანთო – ასე უფრო რომანტიკულიაო – და ლექსების კითხვა დაიწყო. 2 საათი ისმენდა დათო ქეთის ვაი-ლექსებს. პოეზიის დამფასებელი და მცოდნე კაცია დათო და ასეთი კაცი სთვის კარგ პოეზიას რა ატანა უნდა?! მაგრამ 2 საათი ქეთის უნიჭო ლექსებისთვის ყურის დაგდება ნამეტანი იყო და აი – ააშენა ღმერთმა! – კარზე ზარის ხმა გაისმა. უთუოდ ბონდო იქნებოდა. დათომ იფიქრა, შემველო და მძღოლს დაჯდომა არ აცალა, ისე მიამახა: „ბონდო, ბატონმა გოგომ ხომ არ მიკითხა?“ თან სკამიდან წამომიშრიათა სასურველი პასუხის მოლოდინში... „არა, ბატონო დათო, არ უკითხინართ, ... ბოდიში, რაღაც დამავიწყდა და ახლავე დავბრუნდები“ – ისროლა ბონდომ და კარისკენ გაეშურა. დათო წელმოწვევტილივით დაეშვა სამუხეზა სკამზე.

10 წუთში ამოვიდა ბონდო. დათომ რაც დაავალა (მეორე შემთხვევისთვის...) ყველაფერი ამოიტანა. დათომ (სხვა რა გზა ჰქონდა!) ყვავილები მიართვა მასპინძელს. ამაზე მთლად გადაირია „პოეტესა“: ეს მე, ბატონო დათო-ო?! – დიან, იმ ლამაზი ლექსებისთვის, რასაც ასე დაულაღავად მიკითხავდიო! – მიუგო დათომ, რომელსაც უნდოდა, ცოტა უფრო ლამაზად ეთქვა, მაგრამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

ქეთი სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო. – იცით, მე თქვენთვის სიურპრიზი მაქვს, – უთხრა მან დამინტრიგებელი კილოთი. – პოემა დავწერე, რომელიც ჯერ არავისთვის წამიკითხავს და მინდა, თქვენ გაგაცნოთ. სწორედ თქვენ უნდა იყოთ მისი პირველი მკითხველი, – კმაყოფილი ქეთი წიგნის თაროებისკენ გაემართა, ორი მოზრდილი რვეული გადმოიღო და დათოს მიუბრუნდა. კაცს კინალამ ხელიდან გაუვარდა შამპანურის ფუფერი, განმგმირავი მზერა ესროლა ბონდოს, რომელიც კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რას ერჩოდა „ზახინი“, შემდეგ ქეთის გაუღიმა და სთხოვა: ბონდო, იგივე ჩემი ძმაა, მასაც ჩემსავით უყვარს პოეზია და თუ შეიძლება, მანაც მოისმინოს ჩემთან, ერთად: საცოდავ დათოს ისლა დარჩენოდა, რომ დოვლაპია მძღოლზე მაინც ეძია შური... ასე გუგულებით ისხდნენ გვერდიგვერდ და უსმენდნენ ქეთის, რომელიც თავის დაუსრულებელ პოემას კითხულობდა.

შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა დათომ და ბონდომ თავი დააღწიეს პოეზიის ტყვეობას...



# სისხლიანი გარეგანი და ავტომატის ჯერი



განსასჯელი გიორგი ბლიაძე

## მეზი სანაპა

ეს საშინელი ტრაგედია ბორჯომის რაიონის დაბა ახალდაბაში 1995 წლის 23 ივნისს დატრიალდა. ახალშეუღლებული წყვილი გაბედნიერების აღსანიშნავად მეგობრებისა და ახლობლების თანხლებით თბილისიდან ახალდაბაში ჩავიდა. თუმცა, ქეიფის დღეს ზემის აღსანიშნავად ჰაერში გასროლილ ორ ტყვიას ცოტა ზანში ორი მკვლელობა მოჰყვა. სიძემ – 22 წლის თბილისელმა გიორგი ბლიაძემ, მასთან საქმის გასარჩევად მისულ სამ ახალგაზრდას ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა. მათგან ორი – 30 წლის ზაზა (ვეფხია) კამკამიძე და 34 წლის მალხაზ რიკაძე ადგილზე გარდაიცვალა. მესამე – თენგიზ რიკაძე დაიჭრა, თუმცა მან გაქცევა მოახერხა.

გიორგი ბლიაძე სამართალდამცავებმა მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ – 2000 წლის მაისში დააკავეს. ამ დრომდე იგი იმალებოდა. დაკავებისას ეჭვმიტანილი, როცა მას უკვე ერთი მცირეწლოვანი ვაჟიც ჰყავდა, აივ-ინფიცირებული აღმოჩნდა. სამართალდამცავებზე ამას გაუღენია არ მოუხდენია. მათი თქმით, ჩადენილი დანაშაულებისთვის სასჯელის განსაზღვრის საკითხზე ეჭვმიტანილის ავადმყოფობა ზეგავლენას არ იქონიებს.

დაზარალებულების – გარდაცვლილთა ოჯახების წევრთა ინტერესების დამცველი **ადვოკატი:**

„სათანალო სამედიცინო გამოკვლე-

ით (ცნობები საქმის მასალებში დევს) გიორგი ბლიაძეს აივ-ვირუსი მართლაც აღმოაჩნდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი შიდასი არის დაავადებული – ის უბრალოდ აივ-ინფიცირებულია. თუ ვირუსი დაავადებაში გადაიზარდა, მაშინ ადამიანი ძალზედ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. ვარდა ამისა, ეს არ არის ტუბერკულოზის ან რომელიმე სხვა ადვილად გადადები ინფექციური დაავადების მსგავსი სენი, იგი მხოლოდ სქესობრივი ურთიერთობის შედეგად და ინფიცირებული სისხლის მეშვეობით გადადის მეორე ადამიანზე. თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა პატიმარს გადადები სენი სჭირს, ციხეში მის იზოლაციას ახდენენ. აქედან გამომდინარე, ამ მომენტმა სასჯელის განსაზღვრაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს, რადგან ეს შემამსუბუქებელ გარემოებად ვერ ჩაითვლება“.

განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატის თქმით, პროკურატურამ ძიების დასაწყისში 27 წლის გიორგი ბლიაძეს ოცამდე სხვადასხვა დანაშაულში დასდო ბრალი, თუმცა საბოლოოდ, მხოლოდ ოთხი მუხლი მიუყენა – ორი განზრახ მკვლელობის, განზრახ მკვლელობის მცდელობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებისა და დარცვა-ყაჩაღობის.

გიორგი ბლიაძის სისხლის სამართლის საქმეს უზენაეს სასამართლოში მოსამართლე თამაზ ილიაშვილი განიხილავს. განსასჯელი დარცვა-ყაჩაღობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. რაც შეეხება მკვლელობებს, იგი ფაქტს ადასტურებს, თუმცა აღნიშნავს, რომ დანაშაული მას წინასწარი განზრახვით არ ჩაუღენია.

ახალდაბაში გიორგი ბლიაძე თავის 15 წლის მეუღლესთან – ირინა სვიმონიშვილთან ერთად 1995 წლის 21 ივნისს ჩავიდა. იგი თავისი მამიდის მეუღლის – დათა გუმბაზაშვილის ოჯახში მივიდა. გაზარებულმა მამიდა და ოჯახის სხვა წევრებმა გიორგის ჩამოსვლისა და მისი გაბედნიერების ამბავი სოფელში მცხოვრებ ნათესავებსა და მეზობლებს

უმაღლე აუწყეს. სიძის თხოვნით, ცხვარიც იყიდეს, დაკლეს და სუფრა სახლის აივანზე გაშალეს. გუმბაზაშვილებმა ქეიფზე მეზობლები და ახლობლები მიიწვიეს.

მეორე დღეს მამიდის ოჯახში გიორგის მისმა თბილისელმა მეგობრებმა – მამუკა ხარებავამ და ლევან გომიძემ ჩააკითხეს. თუმცა, რატომღაც, ქეიფის გასაგრძელებლად ყველამ – სტუმრებმაც და მასპინძლებმაც – მეორე ნათესავის – ციალა დგებუაძის ოჯახში გადაინაცვალა.

**გიორგი ცირცვაძე**, განსასჯელის ნათესავი, ახალდაბის მკვიდრი:

„ამის მიზეზი ახალდაბაში მცხოვრები ჩვენი მეზობელი – ზაზა კამკამიძე გახლდათ. მასა და გიორგის ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. დაახლოებით ორი წლის წინ ზაზას გიორგის ძმასთან – ნესტორთან და მამასთან – თამაზთან უჩხუბია – ისე, რომ ერთმანეთს ხელითაც შეხებია. გიორგიმაც მითხრა ერთხელ: ამის გამო ზაზაზე ძალიან გაბრაზებული ვარო. კამკამიძე კი, თავის მხრივ, გიორგის მისამართით იმუქრებოდა: მაგას მამამისზე უარესს ვუზამ, „კალიასკით“ ვატარებო.“

გიორგის ჩამოსვლის მეორე დღეს ზაზა კამკამიძე სოფელში, გზაზე შემთხვევით შეგვხვდა. მე, გიორგი და მისი მეუღლე – ირინა მივდიოდით. ვოვონა წინ გაუშვით. ზაზასა და გიორგის შორის



ირინა სვიმონიშვილი, განსასჯელის მეუღლე



ხანმოკლე, მაგრამ ძალიან უხეში საუბარი გაიმართა. ზაზამ უთხრა: ბიჭო, უნდა გნახო სალაპარაკოდ, უნდა შეგხვდე და სასაფლაოზე მოდიო. გიორგი გაკვირვებული ჩანდა, თუმცა უპასუხა: კი, შეგხვდებით. ასე დაშორდნენ ერთმანეთს. მეც იქვე ვიდექი და ეს ლაპარაკი მესმოდა. გიორგი მომიბრუნდა და მკითხა: რისთვის უნდა ჩემი ნახვაო? ისევ გუჩმაზაშვილებთან დავბრუნდით.

იმავე დღეს ზაზა კამკამიძე გუჩმაზაშვილებთანაც მივიდა. გიორგი საჩქაროდ გადავმალე, რადგანაც კვლავ უსიამოვნო საუბარს ველოდი და ზაზას ვუთხარი: აქ არ არის-მეთქი. ეტყობოდა, რომ მთვრალი იყო, აღარაფერი უთქვამს – ისე წავიდა. სწორედ ამის შემდეგ ვთხოვე გიორგის – მოდი, გავეცალოთ აქაურობას, დგებუაძებთან ვადავიდეთ, შორეული ნათესავია და იქ ნაკლებად გვიპოვიან, არ მინდა ახალდაქორწინებულებს ამ ქეიფის დროს რაიმე უსიამოვნება შევქმნათ-მეთქი.

გუჩმაზაშვილებისგან ცალ-ცალკე, შეუძნელოდ ვადავდიო. ისიც ვიფიქრეთ, რომ გიორგი მეუღლითურთ, თბილისში ვაგვეშვა, მაგრამ ეს საკუთარ თავზე ვერავინ აიღო. შესაძლებელი იყო, ზაზა კამკამიძე მას სადმე გზაშიც დახვედროდა“.

მოწმედ დაკითხული გიორგი ცერცვაძის თქმით, ზაზა კამკამიძე მთელ ახალდაბაში ყაჩაღის სახელით იყო ცნობილი. მისივე მტკიცებით, იგი ადრე „მხედრიონელიც“ გახლდათ, ყოველთვის იარაღით დადიოდა და ამით სოფლის მოსახლეობას შიშის ზარს სცემდა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი ცერცვაძე ამ ინფორმაციას მხოლოდ ახლა, – სასამართლოში აცხადებს. წინასწარი გამოძიებისას დაწერილ ჩვენებაში იგი რადიკალურად განსხვავებულ ფაქტებს აღწერდა: მაშინ გიორგი ცერცვაძე ამბობდა, რომ ყაჩაღი და ნარკომანი, გიორგი ბლიაძე იყო. „გიორგი ბლიაძე, ისევე როგორც მისი ძმა – ნესტორი, სასჯელს რუსთავის ციხეში იხდიდა. მეტსახელად მათ „ბლინიჩიკებს“ ეძახიან. ვიცი, რომ გიორგი ნარკომანია...“ – წერია აღნიშნულ ჩვენებაში.

გიორგი ბლიაძე ადრე ჩადენილი ქურდობისთვის მართლაც გაასამართლეს. მას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცა აწინსტის შედეგად, ციხიდან მალე გამოუშვეს. 1995 წელს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შედგენილი საბრალდებო დასკვნის თანახმად,

ახალდაბაში ჩასულ გიორგი ბლიაძეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – „კალაშნიკოვი“ თავიდანვე ჰქონდა. სამართალდამცავების თქმით, იგი მან დაუდგენელი პიროვნებისგან, დაუდგენელ დროსა და გარემოებაში უკანონოდ შეიძინა. ამავე ინფორმაციით, იმ დღეს, როცა სტუმრები გუჩმაზაშვილებისგან დგებუაძებთან გადავიდნენ, ბლიაძემ იარაღი ჩანთით გადაიტანა. ამას წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ნაწილობრივ გიორგი ცერცვაძეც ადასტურებს. იგი აღნიშნავს, რომ გიორგი ბლიაძეს გზაში ხელში დიდი ჩანთა ეჭირა. იარაღის ტარების ფაქტს გამოძიების პერიოდში არც თავად ბლიაძე უარყოფდა.

გიორგი ცერცვაძისა და სხვა მოწმეების მიერ ზაზა კამკამიძის დახასიათებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან დაზარალებულები. მათი თქმით, განსასჯელის მხარე მოწმეებსა და ფაქტის უშუალო თვითმხილველებზე ზეწოლას ახდენს – აშინებს და ემუქრება, რომ მათ ბლიაძის სასარგებლო ჩვენებები მისცენ სასამართლოს.

მოკლულის – ზაზა კამკამიძის დედის, **აგრაფინა კამკამიძის** თქმით, მისი შვილი ადგილობრივ პოლიციაში მუშაობდა.

„იმ პერიოდში ცეცხლსასროლი იარაღი ისევე, როგორც სხვა მის თანამშრომლებს, ზაზასაც მისცეს. თან დაჰქონდა, მაგრამ როცა პოლიციაში მუშაობას თავი დაანება, იარაღიც ჩააბარა. ამის შემდეგ ზაზამ „ცეხი“ გახსნა და ოჯახს იმით არჩენდა“; – ამბობს გარდაცვლილის დედა. ზაზა კამკამიძე ცოლშვილიანი იყო. მეზობლების თქმით, ადრე იგი „მხედრიონელიც“ გახლდათ, თუმცა აგრაფინა კამკამიძე ამასაც უარყოფს.

ციალა დგებუაძის ოჯახში სტუმრებმა ქეიფი გააგრძელეს და ღამეც გაათენეს.

**ბიორგი ცერცვაძე:**

„ხელში არც ერთს არაფერი გვჭერია, მხოლოდ ირინას ეკავა ქალის პატარა ჩანთა. მეორე სართულზე ვიყავით. დაახლოებით პირველი საათისთვის ვიდაცამ თქვა – კამკამიძე მოვიდაო. მე ოთახში გიორგისთან და მის თბილისელ მეგობრებთან ერთად ვიჯექი. სულ ოთხნი ვიყავით. ზაზა კამკამიძე, მალხაზ რიკაძე-სა და თენგიზ რიკაძესთან ერთად შემოვიდა. რიკაძეებიც ჩვენს მეზობლად, ახალდაბაში ცხოვრობენ.

შემოვიდნენ თუ არა, დასხდნენ და პირდაპირ უხეში ლაპარაკი დაიწყეს,



**აგრაფინა კამკამიძე, მოკლულის დედა**

გიორგის ეუბნებოდნენ – შენ, ბიჭო, ვის რა უნდა უთხრა, ვის რა უნდა გაუკეთო, არ იციო? აგინებდნენ, ბინძური სიტყვებით მიმართავდნენ. როგორც გაირკვა, რიკაძეებმა გიორგის ქურთუკის საყიდლოდ მიცემული ფულის საკითხის გასარკვევად მოაკითხეს: რალაც თანხა ადრე გიორგისთვის მიუციათ, მას, როგორც ჩანს, პირობა ვერ შეუსრულებია. ახლა სთხოვდნენ – ან ფული მოგვეცი, ან ქურთუკიო. გიორგიმ უთხრა: კარგიო, ფულს მოგცემთო, მაგრამ ვიდრე გიორგი ამას იტყვოდა, რიკაძეები მას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მე რამდენჯერმე ფეხზე წამოვდექი, მინდოდა მათთვის მეგრძობინებინა, რომ იქ ამგვარი ლაპარაკის ადგილი არ იყო. ვცადე მათი შეჩერება, მაგრამ ვერაფერს გავხდი.

გიორგიმ კამკამიძეს მიმართა, რა საქმე გაქვს ჩემთანო? მან კი უხეშად უპასუხა: ჯერ ამათთან (რიკაძეებზე მიუთითა) გაარკვიე ყველაფერი და მერე მე გამოძევე ვარეთ, იქ გავარჩიოთ საქმეო.

რალაც მომენტში ყველანი ფეხზე წამოვდექით, კამკამიძემ ხელი ქამრისკენ წაიღო, იარაღის ამოღება უნდოდა. სწორედ ამ დროს გიორგიმ იქვე, კედელზე მიყუდებულ ავტომატს დაავლო ხელი, იარაღი ფეხზე წამოდგარ კამკამიძეს გაუსწორა და გასროლის ხმა გაისმა – ტყვიების ჯერი მიუშვა. ეს ყველაფერი მომენტალურად, ძალიან სწრაფად მოხდა. კამკამიძე ძირს დაეცა, მას ხელში იარაღი ეჭირა. გიორგიმ მერე მალხაზ რიკაძესაც ესროლა, ისიც დაეცა. ბლიაძე და



მისი მეგობრები გარეთ გაცვივდნენ. ოთახიდან ბოლოს მე გავიდა. დაბნეული ვიყავი, მეგონა, მეც დავიჭერი და სხეულს ვისინჯავდი.“

წინასწარი გამოძიებისას გიორგი ცერცვაძე დასძინდა, რომ გიორგი ბლიაძემ ავტომატი აიღო და გადატენა, თუმცა ამჟამად მან ეს ფაქტი უარყო. თავად ბლიაძემ ბრალდებულად დაკითხვის დროს აღნიშნა, რომ კამკამიძე მას მოკვლით ემუქრებოდა, ქურთუკიდან ავტომატი ამოიღო, კვლავ იმუქრებოდა, ივინებოდა, შემდეგ კი იარაღი მიუშვირა. სწორედ ამ მომენტში მან კამკამიძეს ავტომატი გამოსტაცა და თავდაცვის მიზნით თვითონ დაიწყო სროლა.

ზაზა კამკამიძე გულმკერდის, მენჯბარძაყის სახსრისა და ბარძაყის არეში დაიჭრა. მისი სიკვდილის მიზეზი გულმკერდში მიღებული ჭრილობა და ზურვის ტვინის დაზიანება გახდა. მალხაზ რიკაძე მუცელსა და მარცხენა ფეხში დაიჭრა სასიკვდილოდ. ექსპერტიზის დასკვნით, ზაზა კამკამიძეც და მალხაზ რიკაძეც ფეხიზლები იყვნენ.

**თინათინ რიკაძე** (წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებიდან):

„... ოთახში რომ შევედი, გიორგი ბლიაძე დივანზე იჯდა. მის გვერდით სკამებზე უცნობი ახალგაზრდები ისხდნენ, მეორე მხარეს კი, ახალდაბაში მცხოვრები გიორგი (ბაჩა) ცერცვაძე იჯდა. მალხაზ რიკაძემ ბლიაძეს ქურთუკის დაბრუნება მოსთხოვა, ხოლო კამკამიძემ უთხრა, რომ ჯერ რიკაძეებისთვის უნდა გაეცა პასუხი და მერე ეტყოდა, თვითონ რა სურდა. ამ საუბრის დამთავრების შემდეგ, ბლიაძემ დივანზე გადაფარებული ზეწრიდან მოულოდნელად ავტომატი გამოიღო და სამივეს ჯერით გვესროლა. კამკამიძე და მალხაზ რიკაძე იატაკზე დაეცნენ, მე გვერდში დავიჭერი, მაგრამ გაქცევა მინც მოვახერხე. ჩვენ, არც ერთს – არც ზაზა კამკამიძეს, – იარაღი არ გვქონია. გიორგი ბლიაძეს ავტომატი არ გადაუტენია, როგორც ჩანს, წინასწარ ჰქონდა მომზადებული“.

**არჩილ გუჩუაშვილი**, დათა

სასამართლო კოლეგია, თავმჯდომარე – თამაზ ილიაშვილი

გუჩუაშვილის ოჯახის წევრი (წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებიდან):

„... შუადღისას კამკამიძე და რიკაძეები მოვიდნენ და გიორგი ბლიაძესთან შეხვედრა ითხოვეს. მე შევედი ოთახში და ბლიაძეს ვუთხარი, რომ მათ, მისი ნახვა უნდოდათ. ოთახში შესვლისას დავინახე, რომ დივანსა და კედელს შორის მიყუდებული იყო ავტომატი, რომელიც ბლიაძემ მერე დივანზე დადო და „აღილა“ გადააფარა. მე იქიდან გამოვედი და უცებ იარაღის გადატენის ხმა გავიგონე, ეზოში ჩაკედი, მალხაზ და თენგიზ რიკაძეები კამკამიძესთან ერთად ოთახში შევიდნენ. დაახლოებით სამ წუთში იქიდან სროლის ხმა გაისმა. უეცრად ბლიაძე, რომელსაც ხელში ავტომატი ეჭირა, ოთახიდან გამოიჭრა და გაიქცა“.

**ირინა სვიმონიშვილი**, გიორგი

ბლიაძის მეუღლე (წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებიდან):

„... 22 ივნისს გუჩუაშვილების ოჯახიდან დგებუაძეებთან გადავედი. გიორგიმ იქ კოსტიუმში გახვეული ავტომატი მიიტანა. მეორე დღეს – 23 ივნისს მე იმავე ოთახში ვიყავი, სადაც გიორგი და მისი მეგობრები ისხდნენ. საწოლზე „აღილაგადაფარებული“ ავტომატი იღო. ამ დროს ეზოდან ხმა შემომესმა – ვიღაც ამბობდა: კამკამიძე და რიკაძეები მოვიდნენო. გიორგიმ მოსოვა, მეორე ოთახში გავსულიყავი, სადაც იმ ოჯახის დიასახლისი და ორი მცირეწლოვანი ბავშვი იყო. მე იქ ვავიდი. დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ ოთახიდან, სადაც გიორგი იყო, გასროლის ხმა გაისმა. როცა ოთახში შევედი, იატაკზე ორი ვაჟი ესვენა. გიორგი და მისი ამხანაგები იქ აღარ იყვნენ.“

როგორც იმ დღეებში შევიტყვე, ჩემს ქმარს კამკამიძესთან უსიამოვნება ჰქონია და ამიტომაც ერიდებოდა მას“.

დღეს ირინა სვიმონიშვილი თავისი ქმრის მიერ იარაღის ტარების ფაქტს უარყოფს. ის, ისევე, როგორც განსასჯელი და მისი მხარის სხვა წარმომადგენლები, ამბობს, რომ წინასწარი გამოძიების პერიოდში ჩვენებები სამართალდამცავებ-

მა ძალით დააწერინეს. ირინა სვიმონიშვილის თქმით, მისი მეუღლე წლების მანძილზე იმალებოდა, იგი რუსეთში დააკავეს და სწორედ მაშინ შეიტყო ქმრის აივინფიცირების შესახებაც.

განსასჯელის მხარე კატეგორიულად აცხადებს, რომ ზაზა კამკამიძეს იმ დღეს იარაღი ჰქონდა. მათი ვერსიით, ავტომატი ახალდაბაში მცხოვრებმა ორმა მეზობელმა გარდაცვლილის დედას – აგრაფინა კამკამიძეს სახლში მიუტანა, ამ უკანასკნელმა კი იარაღი შვილს სხვა ნივთებთან ერთად ჩასასვენებელში ჩაუდო და გააყოლა. თუმცა, სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით აღნიშნული ვერსია ჯერჯერობით არ დასტურდება.

დამატებითი მოწმის – მამუკა ბიჭიკაშვილის თქმით, კამკამიძესა და რიკაძეებს დგებუაძეების სახლისკენ გზა მან თვითონ მიასწავლა და სწორედ მაშინ დაინახა, რომ ზაზას ხელში იარაღი ეჭირა. ბიჭიკაშვილს წინასწარი გამოძიებისთვის ჩვენება არ მიუცია, მან ეს ინფორმაცია რატომღაც მხოლოდ ახლა – სასამართლოში გაამხილა. აღსანიშნავია, რომ საქმეში არც ერთი ცეცხლსასროლი იარაღი არ დევს. ბლიაძის თქმით, მან ახალდაბიდან წამოღებული ავტომატი ერთი წლის შემდეგ დაკარგა.

ჩადენილი მკვლელობის გარდა, პროკურატურა გიორგი ბლიაძეს 1996 წლის მაისში მომხდარ მარცვა-ყაჩაღობაში ადანაშაულებს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, აღნიშნული წლის პირველ მაისს ბლიაძე და მისი მეგობარი – რევაზ გვარამაძე, ავტომატებით შეიარაღებულები, თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცოლ-ქმარს – ამბერგი ალბექიონსა და სარა კიკოლაშვილს დაესხნენ თავს. ცოლ-ქმარი იმ დროს საკუთარი ავტომანქანი – „ვაზ 21011“-ით მოძრაობდნენ. ბლიაძემ და გვარამაძემ მათ მანქანა მოსტაცეს და 2.200 ლარად ღირებული სხვადასხვა ნივთიც წაართვეს. ნივთები გადაამლეს, მანქანას კი ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს.

გიორგი ბლიაძე ამ ბრალდებას დღესაც და გამოძიების პერიოდშიც კატეგორიულად უარყოფდა. რაც შეეხება რევაზ გვარამაძეს, ჩუღურეთის რაიონის პროკურატურამ მის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შესახებ გამოიტანა დადგენილება: სამედიცინო ცნობის მიხედვით, გვარამაძე ფსიქიკურად არის დაავადებული.





ცნობილია, რომ დასავლეთში, ფსიქოლოგის კონსულტაცია საკმაოდ ძვირად ფასობს. ამის მიუხედავად, ფსიქოთერაპევტთა მომსახურებით, ათიდან ექვსი ადამიანი სარგებლობს. ჩვენთან კი, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების უმეტესი ნაწილი, გასაგები მიზეზების გამო, სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება, ფსიქოლოგს რჩევისათვის ძალიან მცირე ნაწილი მიმართავს.



ნანა ჰიბიშაური

ცხოვრებისეულ ლაბირინთებში გზის გაკვლევა, განსაკუთრებით ქალებს უჭირთ. სწორედ მათ დასახმარებლად შეიქმნა ქალთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი, რომლის მთავარი კონსულტანტიც ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნატა გელოვანია. მისი აზრით, ქართველ ქალებში იძლევი თანდაყოლილი არტისტიზმია, რომ თავისუფლად შეუძლიათ მისი წყალობით საოჯახო თუ სამსახურებრივი პრობლემების გადაწყვეტა. ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაში მყოფთ შეუძლიათ, აბსოლუტურად სხვა ადამიანად გარდაიქმნან და არაორდინარული ქცევით, გარშემომყოფთა ყურადღების ცენტრში მოექცნენ – ეს კი, ერთ-ერთი პირობაა ადამიანებზე ზემოქმედების მოსახდენად. ამის შემდეგ იწყება ფსიქოლოგთან ერთად მუშაობა იმისათვის, რომ ეს ყურადღება სასურველ კალაპოტში მოაქციონ. ბოლოს კი, ადამიანს, რომლის ქცევაც მათი სურვილების არაადეკვატურია, გამოატანინონ გადაწყვეტილება, რომელიც მათთვისაა ხელსაყრელი.

როგორ ვიმოქმედოთ მამაკაცზე, როგორ მივალწიოთ დასახულ მიზანს? – აი კითხვები, რომლითაც ქალები ყველაზე ხშირად მიმართავენ ფსიქოლოგიურ ცენტრს. ამჯერად, ფსიქოლოგი **ნატა გელოვანი** უფასო კონსულტაციებს გვთავაზობს.

— ძირითადად რა მიზნის მიღწევა სურთ ქალებს, რომლებიც დახმარებისთვის მოდიან თქვენთან?

– ჩვენთან ძირითადად შეყვარებული ქალები მოდიან, რომელთაც სასიყვარუ-

**ფსიქოლოგი გვიჩვენებს: ნუ ჰირქანებთ ქალთა ფსიქოლოგებს „კარკარებს“!**

ლო ურთიერთობის ქორწინებით დასრულება სურთ. ისეთი სამსახურის შექმნა, როგორც ჩვენია, ვფიქრობ, დროული იყო. ამ მიმეღე დემოგრაფიული მდგომარეობის ფონზე, სამწუხაროდ, კვლავ განქორწინება სჭარბობს ქორწინებას. აქტუალურია შინაბერებისა და ბერბიჭების პრობლემაც. ეს გამოწვეულია იმით, რომ ვაჟების ნაწილი ომში დაიღუპა, ნაწილი კი – საზღვარგარეთ წავიდა. აქ დარჩენილების უმეტესობა მძიმე მატერიალურ პირობებშია, ამ მიზეზის გამო, უჭირს ოჯახის შექმნაზე ფიქრიც კი. მე, როგორც ფსიქოლოგს, დემოგრაფიული პრობლემაც ამ რაკურსით მაინტერესებს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კი, ეს ნიშნავს იმას, რომ დღეს მამაკაცებს, უმეტეს შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ემინიათ. აი, ამიტომ ამჯობინებენ ისინი ქალებთან ურთიერთობის მსუბუქ, გასართობ ფორმებს. ქალების უმეტესობა კი, პირველი კონცნისთანავე გათხოვებას ესწრაფვის – ე.ი. შეყვარებული ქალის და კაცის მიზნებში თავიდანვე წინააღმდეგობაა. თუ ქალის და კაცის ნაცნობობა და ურთიერთობა დიდხანს გრძელდება და კაცი აჭიანურებს წინადადებას ქორწინების შესახებ,

ეს იმას ნიშნავს, რომ მას უჭირს ცოლქმრული პასუხისმგებლობის აღება და თქვენში მხოლოდ სექსუალურ პარტნიორს ეძებს. თუ თქვენ ასეთი ურთიერთობა არ გაკმაყოფილებთ, შეგიძლიათ გეზი სხვისკენ აიღოთ. მე ვიცნობ უამრავ ქალს, რომელმაც ასეთი კაცების ლოდინში მთელი ცხოვრება გალია. აი, ამიტომ როგორც ფსიქოლოგი გირჩევთ: კაცი, რომელიც სიყვარულს გეფიცებათ და იმის შესახებ სჭირდება, რომ დროა ცოლად წავიყვანოთ – თქვენი ოცნების მამაკაცი არ არის. მაგრამ თუ მაინც გადაწყვეტთ, იბრძოლოთ დასახული მიზნის მისაღწევად და სასურველი მამაკაცის მოსაპოვებლად, აუცილებლად დაგჭირდებათ ფსიქოლოგის კონსულტაცია. ასეთ შემთხვევაში არამც და არამც არ შეიძლება მამაკაცისაგან მოითხოვოთ ის, რაც გსურთ. იმიტომ, რომ ქართველი მამაკაცების უმრავლესობა, ასეთი წინადადების მისაღებად, მით უმეტეს, თუ ამას მოთხოვნის ფორმა ექნება, მზად არ არის. მრავალი ექსპერიმენტით დადგენილია, რომ ზოგიერთ ადამიანზე ნებისმიერი მოთხოვნა, არამართო ფსიქოლოგიურად, არამედ ფიზიკურადაც ახდენს გავლენას. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მივხედოთ მამაკაცი მაშინ, როცა მოთხოვნა ქორწინებას ეხება. ასეთ დროს ქალმა, როგორც ფსიქოლოგმა, ხელახლა უნდა „გამოიკვლიოს“ თავისი რჩეული: ისე უნდა გაახვიოს იდუმალ ქსელში, როგორც ობობა ახვევს ხოლმე თავის მსხვერპლს. არსებობს მრავალი ტესტი და საგანგებოდ შექმნილი ექსტრემალური მდგომარეობა, რომელშიც შესაძლებელია, ჩავაყენოთ მამაკაცი – როგორც დაკვირვების ობიექტი. აი, ამ დროს შეუძლია ფსიქოლოგს თქვენთვის დახმარების გაწევა.

— ალბათ, უფრო პიკანტურ თემებზეც გინდებიათ რჩევების მიცემა, რადგან თქვენ ხომ მომსვლელთა ანონიმურობას იცავთ.

– ხშირ შემთხვევაში აუცილებელია ანონიმურობის დაცვა. ძირითადად, ეს მოთხოვნა აქვთ მათ, ვისაც წარსულში ჰყავდა სექსუალური პარტნიორი. ამის შესახებ კი არ იცის მამაკაცმა, რომელიც ქორწინებას სთავაზობს. როგორ, როდის და ურთიერთობის რა ეტაპზე უნდა გამოტყდეს ქალი თავისი წარსულის შესახებ? – აი შეკითხვა, რომლითაც ხშირად მოგვმართავენ.



ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის ნიენაკიდან:

1. ვეტერინარს მამაკაპურად ბეთალი ჰქვია.
2. ფიწლით ერთ ჯერზე ასაღებ თივას თალამი ეწოდება.
3. გომბეშოს სიცოცხლის რეკორდად 36 წელია დაფიქსირებული.
4. რუსები ამერიკიდან შემოტანილ გაყინულ ქათმის ბარკლებს ბუმის ფეხებს ეძახიან.
5. „ზახრუმა“ სპარსული სიტყვაა და არგადარჩენას ნიშნავს.
6. „სიყვარულიც და სიძულვილიც ცხოვრების უდიდესი სტიმულია,“ – ამბობდა ბისმარკი.



7. ჩერჩილის ბიოგრაფია მისმა ვაჟმა რენდოლფმა დაწერა, ისევე, როგორც თავის დროზე ჩერჩილმა დაწერა მამამისის ბიოგრაფია. P.S. მამის გარდაცვალების შემდეგ რენდოლფმა მხოლოდ 3 წელიწადი იცოცხლა.

8. მოშინაურებული მანკები ძველად თითქმის ყველა ჩინურ ოჯახში ჰყავდათ. ამ ცხოველის დახმარებით ჩინელები კოლოებს ებრძოდნენ. საქმე ის არის, რომ მწერები საშინლად ვერ იტანენ მძაფრ სუნს, რომელიც მანკის სველ ბალანს უდის და ამიტომ ჩინელები თავიანთ ბინადართ ძილის წინ საგულდაგულოდ წუწავდნენ.

9. ამერიკის შეერთებულ შტატებს ყოველ წელიწადს 900-მდე ტორნადო ატყდება თავს.

10. ადგილობრივი ენის სწავლით რუსები ემიგრაციაში ყოფნის დროსაც არ იწუხებენ თავს. ერთხელ მიხაილ ზალოროვის ლატვიელებმა კითხვით მიმართეს: „კაკ ვი ატნოსიტეს ვ ტაძუ, ჩტო რუსკიე ჟივუშნიე ვ ლატვიე, დალჟნი ვიუჩიტ ლატვიშკი იაზიკ?“ – „კაკ ანი მოგუტ ვიუჩიტ ლატვიშკი იაზიკ, კაგდა ანი რუსკი ნე მოგუტ ვიუჩიტ ტოლკომ?!“ – უპასუხა რუსმა იუმორისტმა და შემდეგ ნაღვლიანად დასძინა: – „და იმ ლეგჩე რეველიუციონსიუიუ სიტუაციუ საზდატ, ჩემ პროსტო ვიუჩიტ იაზიკ!“

11. კუზიან ვეშაპს, იმ უცნაური ხმების გამო, რომელსაც იგი გამოსცემს, ოკეანის საოპერო მომღერალს ეძახიან. ეს ვეშაპი დღე-ღამის განმავლობაში 22 საათი „მღერის“.

12. უსაქმოდ მოყვალე კოლეგების თავიდან მოსაშორებლად ჩვენი ჟურნალის დამკაბდონებელს თავის სამუშაო

— **საინტერესოა, რას ურჩევთ ქალებს მსგავს შემთხვევაში ან საერთოდ, თქვენი დაკვირვებით, შეიცვალა თუ არა მიდგომა ქალიშვილობის ინსტიტუტისადმი?**

— შეიცვალა, მაგრამ ნაწილობრივ. ადრე ქალიშვილობა ყოფნა-არყოფნის დონეზე იყო აყვანილი. ე.წ. „შეცდენილი“ გოგონები ან თავს იკლავდნენ, ან გიჟდებოდნენ, გათხოვებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ახლა რა ხდება? 17-18 წლის გოგონებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ისინი ამ საკითხს ძალიან ზერელედ უყურებენ და ამას ხსნიან იმით, რომ შეიცვალა მამაკაცის შეხედულება ამ საკითხზე. „ჩვენი თანატოლი ბიჭები ამბობენ, რომ დღეს ქალიშვილობას ყურადღებას აღარავენ აქცევს და არც ისინი ანიჭებენ ამას გადაწყვეტ მნიშვნელობას“ – ამბობენ ისინი. როგორც ფსიქოლოგმა, შემიძლია განვაცხადო, რომ შესაძლოა, შეიცვალა ცალკეულ ინდივიდთა მიდგომა, მაგრამ არ შეცვლილა საზოგადოების მენტალიტეტი. ამიტომ, გოგონებს ვურჩევდი, იმის მიუხედავად, თუ რას ამბობენ ბიჭები, მაინც მოუფრთხილდნენ ქალწულობას, რადგან პრობლემა სწორედ მაშინ იჩენს თავს, როდესაც საქმე ოჯახში გოგონას შეყვანაზე მიდგება. ასე რომ, ქალიშვილობის პრობლემა დარჩა მამაკაცებში და არა ქალებში. ქალი კი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ელევა საკუთარ თავისუფლებას, რომ დღევანდელი მამაკაცისთვის საცოლე ქალის იდეალთან მიახლოებულ არსებად დარჩეს. მაშინ, როდესაც საქმე ცოლქმრობას ეხება, მამაკაცმა აუცილებლად უნდა იცოდეს ქალის მდგომარეობა, მაგრამ ქალმა ეს ურთიერთობის ისეთ ფაზაში უნდა უთხრას, როდესაც მამაკაცი იმდენად არის შეყვარებული, რომ მისთვის მართლა აღარ აქვს მნიშვნელობა – ქალთან აქვს საქმე თუ ქალიშვილთან. თუ ამ ფაზას ქალი სწორად ვერ განსაზღვრავს, მაშინ მას კაცი საყვარლად გადააქცევს და ნორმალური ცოლქმრული ურთიერთობა მარადიულ ოცნებად დარჩება.

— **ცოლქმრულ ურთიერთობაში კონფლიქტის მიზეზი ალბათ მატერიალური მდგომარეობით გალიზიანებაა...**

— მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს. ცოლ-ქმარი ხშირად ჩხუბობს, მაგრამ



ფსიქოლოგი ნატა გელოვანი

ხომ გახსოვთ გამონათქვამი: „ცოლ-ქმრის ჩხუბი სულელს მართალი ეგონაო“. უბედურება ის არის, რომ ზოგჯერ ცოლ-ქმარსაც მართალი ჰგონია ეს ჩხუბი და მთელი სერიოზულობით ებმება უბრალო საბაბით დაწყებულ კინკლაობაში. ხშირ შემთხვევაში, ჩხუბით დაოსებულებს აღარც კი ახსოვთ, რით დაიწყეს... ბუნებრივად შეწყობილ წყვილებს ასეთი რამ იშვიათად ემართებათ.

— **სასამართლო პროცესებზე ბევრი იმიზეზებს იმას, რომ მათი ურთიერთობა დედამთილმა ან სიდედრმა დაძაბა...**

— ასეთი ჩარევით (ვეგულისხმობ გარე ფაქტორებს), შესაძლებელია ურთიერთობის არა თუ გაუარესება, არამედ სრული კრახი. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს ოიდიპოს კომპლექსი – რომლის დროსაც, ვაჟი დედას ემორჩილება და მეტ ყურადღებასაც უთმობს, ვიდრე მეუღლეს. მოხერხებული დედამთილები, რომლებიც ვერ ელევან შვილზე გავლენის დაკარგვას, ცდილობენ, რძალს „დაუმეგობრდნენ“ და მისთვის სასურველი, მაგრამ ვაჟისთვის არასასიამოვნოდ მოსასმენი რჩევები, რძალს ათქმევიონონ. ამის შემდეგ ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის იძაბება. ამრიგად, დედამთილი მოქმედებს პრინციპით: „დაყვი და იბატონე“. ასეთ შემთხვევაში ქალმა ყურადღება მთლიანად ქმარზე უნდა გადაიტანოს და ანგარიში გაუწიოს მის სურვილებს – დააკვირდეს, რა გაუხარდება, რა ეწყინება... მოკლედ, „თვალეში უნდა უყუროს“. ამ ბრძოლას იგებს ის ქალი, რომელიც მორჩილებაში უფრო მეტ გამძლეობას გამოიჩენს. ცოლის ასეთი მოქმედებით

წყვილი იქცევა „ერთ სულ და ერთ ხორც“ და თავიდან აირიდებს მესამე პირების ზეგავლენას. რაც შეეხება საოჯახო პრობლემების შესახებ ცოლ-ქმრის განმარტობით საუბრებს, ჩემი რჩევაა: ქალმა არასოდეს მოიხსენიოს ქმართან დედამისი აუგად. ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ მამაკაცისთვის ყველაზე უმწიკვლო ურთიერთობად მაინც დედასთან ურთიერთობა რჩება. ნებისმიერ სიტუაციაში, დედა ხელშეუხებელია! აქციეთ ეს სიტყვები დევიზად მაშინ, როდესაც დედამთილთან გაქვთ პრობლემა — და თქვენთვის სასურველი ურთიერთობა თავისთავად ჩამოყალიბდება.

**— ოჯახური უთანხმოების დროს ეჭვიანობაც არანაკლებ როლს ასრულებს. როგორ მოიქცეს ცოლი მაშინ, როდესაც მის ქმარს სხვისკენ უჭირავს თვალი?**

— ასეთ შემთხვევაში, ჩემი რჩევაა, ცოლმა მეტი ყურადღება დაუთმოს თავის გარეგნობას, პირად ჰიგიენას. იაროს მოდელიერებთან, პარიკმახერებთან, მეგობრებთან, კონცერტებზე, წვეულებებზე და საზოგადოების სხვა თავშეყრის ადგილებში. ის, ვინც თავის დარდთან ერთად ჩაიკეტება, მხოლოდ დარდთან ერთად დარჩება.

**— ეს ხომ არ არის მინიშნება იმაზე, რომ ხელოვნურად გამოიწვიოს ქმრის საპასუხო ეჭვიანობა?**

— არა. ქალი თუ ეჭვიანობს და ეცდება, საგანგებოდ აეჭვიანოს ქმარი, მისი მცდელობა კრახით დასრულდება, რადგან მის ქცევაში „ხელოვნურობას“ პირველ რიგში, ქმარი იგრძნობს და დაინახავს. ეს უნდა მოხდეს ბუნებრივად. ფანჯრის გაღებას უნდა ჰკავდეს, რომლის შემდეგაც შენც გარე სამყაროს უერთდები და მისი ნაწილი ხდები. ქალის ქცევის შეცვლა ბუნებრივად გამოიწვევს მეუღლის გაოცებას — რა ხდება? ვინმე ხომ არ დგას ამის უკან? — და ბუნებრივადვე დაანებებს თავს თავის „გასართობს“, რადგანაც მისმა ფიქრმა უკვე გადაინაცვლა ცოლის უჩვეულო საქციელის ახსნის ძიებისაკენ.

**— მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზე რას გავტყვით?**

— ტესტირების დროს, რომელიც ჩემს სტუდენტებთან ჩავატარე, აღმოჩნდა, რომ მათ უმრავლესობას ყველაზე მეტად მშობლებთან ურთიერთობა უჭირს. დააბ-

ული ურთიერთობა იწყება გარდატეხის ასაკიდან. თვითმკვლელობის შემთხვევებიც ხშირად, მშობლებთან გაუგებრობის ნიადაგზე ხდება ხოლმე. მე მიმაჩნია, რომ მშობლებმა უნდა დაუთმონ შვილებს და აგრძნობინონ, რომ ისინი უკვე ღიღები არიან. მათ ანგარიში უნდა გაუწიონ შვილების „ვნებებს“ — რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში. დედაშვილობა ძალიან მტკივნეულია, მაგრამ ყველაზე ფაქიზი ურთიერთობაა. მშობელი მშვიდ მდგომარეობაში უნდა შეეცადოს გაიგოს გაღიზიანების გამომწვევი მიზეზი, რათა შემდგომში, თავიდან აირიდოს შვილთან უთანხმოება.

**— ზოგიერთი ფსიქოლოგი ამტკიცებს, რომ ყოველგვარი დეპრესიის გამომწვევი მიზეზი მარტოობის შეგრძნებაა.**

— მარტოობის პრობლემა, გათხოვილი და გაუთხოვარი ქალების პოზიციიდან, თითქოს სხვადასხვანაირად უნდა გამოიყურებოდეს, მაგრამ მაინც მსგავსია. დღეს მამაკაცები იმდენად ნაკლებად უმსუბუქებენ უღელს ქალს, რომ ოჯახის დიასახლისი ძალიან დაკავებულია და დრო აღარ რჩება მარტოობის განცდაზე საფიქრალად. სინამდვილეში ის მარტოა. მათგან განსხვავებით, გაუთხოვარი ქალები მეტ დროს ანდომებენ ამაზე ფიქრს. მარტოობის პრობლემა აქტუალურია, რადგან, ადამიანებს უჭირთ ურთიერთობა: ყველას თავისი გასაჭირი აქვს და ერთმანეთისთვის არავის სცალია. გამოსავალი ერთია: იმისათვის, რომ მარტოობის შეგრძნება დეპრესიაში არ გადაგეზარდოთ, უნდა „ივარჯიშოთ“ ურთიერთობებში: გაიცანით უცნობები, მიაკითხეთ მეგობრებს — მოკლედ, ეძებთ ადამიანები და ეძებთ მანამდე, სანამ თქვენ გარშემო თქვენთვის სასურველი ადამიანების წრეს არ შექმნით. ნამდვილად არ არსებობს გამოუვალ მივარება. მთავარია, გამოსავალს მივაგნოთ. ამისათვის კი, მხოლოდ ერთი წინაპირობაა შესასრულებელი — სწორად დაისვას მიზანი. ამიტომ ვურჩევ ადამიანებს: იყვნენ რაც შეიძლება ოპტიმისტები, სწორი მიზნები დაისახონ და მოძებნონ პრობლემური მდგომარეობიდან გამოსვლისათვის საუკეთესო საშუალება — და თუ გაუჭირდებათ, მიმართონ ფსიქოლოგს. ოჯახური ურთიერთობების დარეგულირებაში, მათ ძალიან ბევრი სასიკეთო რჩევის მიცემა შეუძლიათ. ■

**ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი**

**ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:**

კაბინეტში გამოკრული აქვს ფურცელი, რომელზეც წერია: „თუ უკვე ამ წარწერას კითხულობ, ე.ი. ღიღი ხანია ოთახში იმყოფები. ნახვამდის!“.

13. მეფისტოფელი ფაუსტს პირველად შავი პუდელის სახით გამოეცხადა.

14. ლევ ტოლსტოის ანა კარენინას პროტოტოპი ალექსანდრ პუშკინის ქალიშვილია.

15. სახაზავს, რომელიც საღურგლო-სამშენებლო საქმეებში სწორი კუთხეების გამოსაყვანად გამოიყენება, გონიო ეწოდება.

16. დაგესილი კალიას ან ჰეპელას მორიელი ზურგზე მოიგდება და ისე მიათრევს სოროში.

17. „ინიციალები ბ.ბ.“ — ასე ეწოდება წიგნს, რომელშიც ბრიჟიტ ბარდო თავის ოთხ ქმარსა და საყვარლებზე მოგვითხრობს. P.S. მის პირველ ქმარს, როჟე ვადიმს, უღამაზესი ქალები, ჯეინ ფონდა და კატრინ დენევი ჰყავდა ცოლად.

18. მეორე მსოფლიო ომში 72 სახელმწიფო (დედამიწის მოსახლეობის 80%) მონაწილეობდა. ომი 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და მისმა საერთო ზარალმა და სამხედრო ზარაობმა 4 ტრილიონი დოლარი შეადგინა.

19. ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში დადგმულ სპექტაკლ „სტალინს“ კოტე მახარაძე სამი წლის განმავლობაში ამზადებდა. ამ ხნის განმავლობაში იგი მოსკოვის არქივებიდან არ გამოსულა.

20. უკრაინელ კაზაკთა სახალხო კრება — რადაზე ბევრი საკითხი მუშტიკრივის საშუალებით წყდებოდა.

21. ასტროლოგიური ეთიკის მიხედვით, ინფორმაციის დამალვა აკრძალულია.


22. საფრანგეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 10 მილიონამდე აუფეთქებული ნაღმი შემორჩენილი.

23. „კარლ ცაისთან“ მატჩში გადამწყვეტი გოლი ვიტალი დარასელიამ მარცხენა ფეხით გაიტანა. ამ მატჩს საქართველოდან ჩასული 48 გულშემატკივარი ესწრებოდა.

24. მოსკოვში, კრემლის მუზეუმში დაცული მეფე-ზარბაზნიდან არავის არასოდეს გაუსროლია.







# „ტირიფებისა“ და „მელიქიფილის გამეზირის“ ავტორს სხენის სიყვარულით აკანკალებს

## ნათია თენიეშვილი

ზურაბ მანგაძე – 70-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სიმღერების ავტორია, რომელსაც ეკუთვნის „მელიქიფილის გამზირი“, „ტირიფები“, „თეთრი ღამე“ და მრავალი სხვა.

ბატონი ზურაბი არქიტექტორია და ამჟამად ისანი-სამგორის რაიონის მთავარ არქიტექტორად მუშაობს. ჰყავს მეუღლე – ნენო მანგაძე, სამი შვილი, ორი შვილიშვილი, უამრავი მეგობარი და... საყვარელი ძაღლი დაღუ. გამოუსწორებელი მეოცნებეა. კითხვაზე – „რა არის თქვენი მთავარი ნაკლი?“ – გვპასუხობს: არ ვარ მომთხოვნი და არ შემიძლია თხოვნაზე უარის თქმა... ბატონი ზურაბს მეუღლე, ქალბატონი ნენო გვიმხელს: „როცა გავიცანი, არც გარეგნობა მომეწონა მისი, არც ჩაცმულობა და არც მის სიმღერებზე გავგიჟებულვარ. მომეწონა მისი შესრულების მანერა: ზურა რომ მღერის, გულით მღერის“.

– დედაჩემს უნდოდა, მუსიკოსი გამოვსულიყავი. მეც კონსერვატორიაში ვაპირებდი ჩაბარებას. მიმანჩია, რომ საკმაოდ ნორმალურად ვუკრავ ფორტეპიანოზე. მე-9 კლასში გადავიფიქრე, ერთ-ერთი ჩემი მეგობრის ძმა სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა და ხშირად დავდიოდით მასთან. არქიტექტორებთან მჭიდრო ურთიერთობამ მიბიძგა, რომ სამხატვრო აკადემიაში, არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩამებარებინა.

– სცენასთან პირველი შეხება როდის გქონდათ?

– აკადემიაში მერაბ კასრაძე, ვალერი კოჩაროვი, მიშა ფოფხაძე გავიცანი. სხვათა შორის, ვალერი კოჩაროვი აქაური „ბითლზ კლუბის“ ერთ-ერთი დამაარსებელია. ლივერპულის საპატიო მოქალაქედაც არის დასახელებული, როგორც ბითლომანი... შევიკრიბეთ და შეიქმნა კოლექტივი. ძირითადად, „ბითლზის“ სიმღერებს ვმღეროდით, რამდენიმე ჩვენი სიმღერაც გვქონდა. ერთხელ ქართლოს კასრაძე მოვიდა – ვნახო ერთი, რას „უბრაზუნებთ“. მოგვისმინა და დაგვარქვა „ოპიზარი“. ასე შეიქმნა ანსამბლი. ჩვენი ხელმძღვანელი ავთო შარვაძე იყო. მე სოლისტი ვიყავი, ვუკრავდი გიტარაზე და თან ვმღეროდი. 2 წლის შემდეგ ნუგზარ ერგემლიძემ ჩააბარა აკადემიაში. მოიტანა თავისი ლექსები, სიმღერები და უფრო მოვმძღვარდით. ვმართავდით კონცერტებს, გამოვდიოდით სახალწლო საღამოებზე. უნდა ვითხრათ, რომ კონსერვატორიის ბიჭებს ვჯობდით კიდევ. ძალიან პოპულარულები გავხდით იმ დროს თბილისში.

– მუსიკას ალბათ დიდი დრო მიჰქონდა. სწავლისთვის თუ იცლიდით?

– ჩვენს ძირითად საქმეს ვაკეთებდით და პარალელურად ვუკრავდით – ლექციების შემდეგ, დილაძე ბევრი დრო გვქონდა. თანაც, ლექტორები და სტუდენტები ვმეგობრობდით. ლადო ალექსი-მესხიშვილი – უდიდესი პიროვნება და არქიტექტორი, ჩემი ლექტორი იყო. სულ ერთად ვიყავით, ბევრ დროს ატარებდა ჩვენთან. არ შეიძლებოდა ამ პიროვნებასთან გქონოდა ურთიერთობა

და არ შეგყვარებოდა ეს ხელოვნება. ასე გაიარა აკადემიაში სწავლის ექვს-მა წელიწადმა.

– აკადემიის დამთავრების შემდეგ რა ხდებოდა?

– დავამთავრეთ და დავიშალეთ. მე სამუშაოდ „თბილქალაქმშენსახპროექტში“ არქიტექტორის თანამდებობაზე გამანაწილეს. მუშაობას მოწყურებულს, რაღაცის შექმნა მინდოდა, მაგრამ ხაზვის გარდა, არაფერს მაკეთებინებდნენ. თურმე ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გინდა...

– სიმღერებს როდის წერთ ხოლმე?

– სამსახურიდან გვიან ვბრუნდები. შეიძლება, სახლში მოვიდე, აბაზანაში ჩაიკეცო და დავიწყო ჩემთვის დაკვრა – სხვა ოთახებში ამას ვერ ვახერხებ: ოჯახის წევრთაგან, ერთს ეძინება, მეორეს სტუმარი ჰყავს, მესამე მეცადინეობს. ის სიმღერები კი, რომლითაც 70-იან წლებში პოპულარული გავხდი, ძირითადად, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დავწერე.

– როგორ მოხვდა თქვენი სიმღერები ანსამბლ „75“-ის რეპერტუარში?

– ვინც კი იმ დროს ესტრადაზე გამოსულა, ყველას ჰქონია შეხება ბატონ რობერტ ბარძიმაშვილთან. მე მას იმ პერიოდში შევხვდი, როდესაც ანსამბლი „75“ ყალიბდებოდა. ძირითადად, ჯაზ-როკს უკრავდნენ. მერე შეიქმნა „ალტერნატივა“ – პირველი როკ-ოპერა მთელ საბჭოთა კავშირში, რომელიც ძალზედ პოპულარული იყო. ერთი წლის შემდეგ ბარძიმაშვილმა ქართული პროგრამის გაკეთება გადაწყვიტა. მივუტანე რამდენიმე სიმღერა, მათ შორის – „ტირიფები“. ამ დროს ანსამბლში უკვე იყო ბესო კალანაძე და ისე მოხდა, რომ ჩემი ყველა სიმღერა მას მოერგო. სადაც არ უნდა წავსულიყავით, ყველგან ისმოდა ნუგზარ ერგემლიძისა და ჩემი სიმღერები. ორისამი სეზონის შემდეგ კი მტრებიც გამოგვიჩინდნენ.

– კონკრეტულად, რას გულისხმობთ?

– ჩვენი – სამხატვრო აკადემიის სტუდენტების სიმღერები გახდა უპოპულარულესი მთელ საქართველოში, პროფესიონალი კომპოზიტორები კი, რაღაცნაირად განზე დარჩნენ – სულ ეს იყო მტრობის მიზეზი...


— „მელიქიშვილის გამზირი“ როდის შეიქმნა და როგორ მოხვდა ზურაბ დოიჯაშვილთან?

— „მელიქიშვილის გამზირი“ მოგვიანებით შეიქმნა, იმ დროს „75“ უკვე დაშლილი იყო. „ორერა“ აპირებდა თბილისური კოლორიტული შოუპროგრამის შექმნას, ზურაბ იაშვილმა მთხოვა, რაიმე სიმღერა მომიტანო. მზად მქონდა „მელიქიშვილის გამზირი“ და მოვასმენინე. მოეწონა, მაგრამ ეტყობა, ვერ „დაიჭირა“. ამ დროს გამოჩნდა ზურა დოიჯაშვილი, რომელიც ანსამბლ „პირამიდაში“ მღეროდა. ქართულ ესტრადაში ძირითადად, წკრიალა ხმები გავრცელებული, ზურას კი ხრინწიანი ხმა ჰქონდა, რომელიც ძალიან მომეწონა და მივუტანე ეს სიმღერა. კარგად იმღერა, თუმცა ჩემთვისაც დავიტოვე შესრულების უფლება და მერე ჩავწერე კიდევ. მაგრამ სიმღერის პოპულარობა, რა თქმა უნდა, ზურას დამსახურებაა — ეს ზურას ჰიტია.

— რაკი თავადაც მღერით, არასოდეს გინანიათ, სხვები-სთვის რომ წეროთ სიმღერებს?

— არასოდეს მინანია, სიმღერები რომ გავეცი. ანსამბლ „75“-ს ანშლაგები ჰქონდა. მერე, ეტყობა, ხალხი შეთხელდა და რობერტ ბარძიმაშვილმა კომერციული სვლა გააკეთა — მე და ნუგზარ ერგემლიძე გამოვიყვანა სცენაზე. ფილარმონიის ფასადზეც უზა-

„პირველად ნენო რუსი მეგონა...“



რმაზარი ასობით დააწერინა — „პროგრამაში მონაწილეობენ ავტორები“. ექვსი თვის განმავლობაში გრძელდებოდა კონცერტები და ყოველდღე დადიოდა ხალხი. ბოლო ორი თვე გამოვიდით მე და ნუგზარი. „ტირიფებსა“ და „თეთრ ღამეს“ ვიწვევდი მე, აგრძელებდა ბესო კალანდაძე და შემდეგ, ღუეცში ვმღეროდი. პირველად მაშინ გამოვედი ფილარმონიის სცენაზე და „მოვიწამლე“ კიდევ სცენით. ხანდახან მაკანკალებს, ისე მინდა სცენაზე გამოსვლა. იქ მიქრება ყოველგვარი შიში. სულ მინდა, სცენაზე ვიყო, მაგრამ ავლაბარი მიხმობს (იციინის): უამრავ ადამიანს სჭირდება ჩემი დახმარება, ასე რომ, ვერ ვახერხებ — ვერ ვიცლი.

— დღეს მოდაშია ძველი სიმღერების გარემიქსება. ბევრი ავტორი ამის წინააღმდეგია, თქვენ?


— „ტირიფების“ რემიქსი გააკეთა „სახემ“. თავიდან, რომ მოვუსმინე, ცოტა შევცბი, მაგრამ საბოლოოდ, მომეწონა.

— ნებათა თუ გთხოვს?

— არა, წინასწარ არ უკითხავთ — რომ მოამზადეს, მერე მომასმენინეს. თუ კიდევ შემომთავაზა ვინმემ ჩემი სიმღერების რემიქსული ვარიანტის შექმნა, წინააღმდეგი არ ვიქნები. კარგია, ძველს რომ ვაცოცხლებთ. სხვათა შორის, ანსამბლ „75“-ის მაშინდელი ყველაზე ნორჩი მომღერალი — ლევან ლაზარიშვილი ცოტა ხანში წარმოვიდგენთ ჩემი სიმღერის („სალამო გაირინდა ზღვასთან“) რემიქსს.

— რა არის, თქვენი აზრით, დღევანდელი ქართული ესტრადის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

— ქართული ესტრადა დღეს თემატურად ძალიან მშრალი და გამოფიტულია — ერთსა და იმავე დაშტამპულ ტექსტსა და რიტმზე ყველა სიმღერა აგებული. ჩანაწერე-



მელიქიშვილთან ერთად

ბის ხარისხი და შესრულება ძალიან კარგია, მაგრამ სიმღერიდან რაღაც ხომ უნდა დაგრჩეს — ან ტექსტი, ან მელოდია. თუმცა, არიან თითზე ჩამოსათვლელი კომპოზიტორები, რომლებიც ნამდვილ სიმღერებს ქმნიან.

— როგორც ვიცი, რამდენიმე წელი საზღვარგარეთ ცხოვრობდით. რით იყავით დაკავებული?

— 1993 წელს წავიდა ოჯახით კვიპროსში. კომერციული საქმიანობა ვცადე, მაგრამ „ქართული“ გაუგებრობა მოხდა და ოჯახით შევრჩი ქვეყანაში, სადაც არც ენა ვიცოდი და არც პატრონი მყავდა. თუმცა, კეთილი ადამიანების თანადგომის წყალობით, ფეხზე მაინც დავდექი: მუშაობა დავიწყე კერძო ფირმაში, არქიტექტორად.

— ტიპურ თბილისელ მამაკაცს, საზღვარგარეთ ალბათ ნოსტალგიაც შეგანუხებდათ?

— საშინელი ნოსტალგია მქონდა. 14 კილო დავიკელი! არავინ იყო გვერდით — არც მეგობარი, არც ნათესავი. შემთხვევით ვგებულობდი აქაურ ამბებს. ჩემი მეგობრის — გოგი დოლიძის დაღუპვის ამბავიც საკმაოდ გვიან შევიტყვე... თუმცა, პატარა „გამონათებებიც“ ყოფილა: დათო ყიფიანი იქაური „ოლიმპიკუსის“ მწვრთნელი იყო, აქედანაც ჩამოდიოდნენ ხოლმე მეგობრები. სწორედ ასეთმა „გამონათებმა“ გადა



# ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-  
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა  
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი  
და არც ამ ტექსტის კითხვებზე გავიჭირდ-  
ებათ პასუხის გაცემა...

## 1. რომელ მუთუთოზე აქვს აღამიანს უფრო მეტი წამწა- ში?



- ა) ზედაზე;
- ბ) ქვედაზე;
- გ) მათი რაოდენობა თანაბარია.

## 2. რომელი ცხოველის ტყავისგან უკეთესადნენ ძირს თხის ტყავისგან შეკერილ მკვლელობურ ქართულ ნუღას?



- ა) ღორის;
- ბ) ხარის;
- გ) ცხვრის.

## 3. რა ენოდება წვეტიანი სა- გნების შიშს?



- ა) რუსოფობია;
- ბ) აიქმოფობია;
- გ) კლასუსტროფობია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მატანინა ალბათ ის წლები, თუმცა, დაგვე-  
მილი პერიოდი მაინც ვერ გავძელი –  
გავწყვიტე კონტრაქტი და წამოვედი.

## — მეუღლე როგორ გა- იცანით?

– ჩემი მეგობრის ოჯახში დავი-  
ნახე ეს ქერა, ლამაზი, ცისფერთვალა,  
თვალელებრივია ქალი. ძალიან მომე-  
წონა, მაგრამ არ ვაგრძნობინე.  
წვეულებიდან რომ წამოვედი, ზოგი-  
ერთი სტუმარი შინ მივიყვანე, მათ  
შორის – ნენოც. მთელი დამე ვფიქრობ-  
დი. დილით წავივი და მის სახლთან  
დავდექი. სამ საათზე მეტი გავატარე  
იქ. ბოლოს და ბოლოს, გამოვიდა და  
შევთავაზე – სადაც გნებავთ, წავიყ-  
ვანთ-მეთქი. უარი მითხრა და ავტო-  
ბუსში ავიდა. გავყვი და სასოფლო-  
სამეურნეო ინსტიტუტს მივადექი... 10  
დღის მანძილზე, რუსი მეგონა. ბოლოს  
რომ ვუთხარი – Я вас в этом году  
видел в Сочи-მეთქი, მიპასუხა: გეყ-  
ოფა, ახლა, ქართველი ვარ და ქართუ-  
ლად მელაპარაკეო... სიმართლე ვით-  
ხრათ, გამიხარდა, ქართველი რომ იყო  
– უკვე მაგრად ვიყავი შებუღი... ნენო  
4 ნოემბერს გავიცანი, 7 ნოემბერს კი  
სიმღერა – „გიორგობისთვე“ მზად  
მქონდა. ოთხი წელი ვხვდებოდი  
ერთმანეთს და მერე დავეკორწინდი.

## — სიყვარული როგორ აუხ- სენით?

– სიყვარული არ ამიხსნია, არ  
მითქვამს – მიყვარხარ-მეთქი, უბრა-  
ლად, ვუმღეროდი: ტელეფონით ვლაპარ-  
აკობდი საათობით. ახლა ნერვები  
მემლევა, ჩემი შვილი დიდხანს რომ  
ლაპარაკობს ხოლმე ტელეფონით, მა-  
გრამ მაშინ, სახლში მივაცილებდი და  
მერე, ან მე ვურეკავდი, ან ის მირეკავ-  
და ხოლმე.


## — ქალის გულისთვის რაიმე სისულელე თუ ჩაგიდენიათ?

– არა, მე თავშეკავებული კაცი  
ვარ. სისულელე არა, მაგრამ ქალებთან  
დაკავშირებით ბევრი სასიამოვნო და  
დაუვიწყარი განცდა მქონია. ერთხელ  
ნენო პრადაში იყო მეგობართან. დაბ-  
რუნებისას, ჯერ მოსკოვში უნდა გადა-  
ფრენილიყო. ჩემი სამსახურის გადა-  
მკიდე, დაკავებული ვიყავი, მაგრამ  
შვილები სიდერს დაუტოვე, ჩავფრინ-  
დი მოსკოვში და ვურეკავ – ჩემს  
ახლობელს რაღაცა საქმე აქვს და ამა  
და ამ ადგილას შეხვდი-მეთქი. ნენოს  
ეგონა, რომ თბილისიდან ვრეკავდი,

ძლივს დავარწმუნე, რომ დათქმულ  
ადგილას მოსულიყო. მეც იქ დავხვდი  
ყვავილებით ხელში. მერე დაბრუნების  
პრობლემა შემექმნა: ნენოს ბილეთი უკვე  
აღებული ჰქონდა, მე შემდეგი რეისით  
უნდა გამოფრენილიყავი, მაგრამ დამ-  
ავიანდა. მთელი კვირის ბილეთები  
გაცივდული იყო. ნენო თბილისშია და  
მელოდება, მე ვეღარ მოვფრინავ. ერთი  
ჩანთა სადეკი რეზინი ჰქონდა ბავშვე-  
ბისთვის წამოღებული და თვითმფრი-  
ნავში ასვლამდე მე დამიტოვა. დიდი  
ხვეწნა-მუდარისა და წვალეების შემ-  
დეგ, „შერემეტიევის“ აეროპორტის  
უფროსმა, საკმაოდ ლამაზმა ქალბატონმა,  
დამატებითი რეისით გამომამზავრა თბი-  
ლისში. ვიცოდი, რომ ამერიკელები მოფ-  
რინავდნენ. ავედი თვითმფრინავში და  
მესმის – ქართულ ხალხურ სიმღე-  
რებს მღერიან. ამერიკელებმა ამ პრო-  
გრამით მერე ოპერის თეატრში გამა-  
რთეს კონცერტი... როგორც იქნა, ჩამ-  
ოფრინდი თბილისში. დამშვიდობები-  
სას რამდენიმე ცალი სადეკი რეზინი  
მომცეს – ბავშვებს წაუღეო. რა იცოდნენ,  
სადეკი რეზინით სავსე მთელი ჩანთა  
რომ მელო გვერდზე?!

## — უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვი?

– მაქვს რამდენიმე ახალი სიმღერა,  
რომელზეც თემურ თათარაშვილთან და  
ეკა კვალაიშვილთან ერთად ვმუშაობ.  
დათო გომართელთან ერთადც ვაპირებ  
სიმღერის შექმნას. „ცისფერი ტრიოს“  
ბიჭები – ჩემი მეგობრები – ახალი  
პროგრამის გაკეთებას აპირებენ. გადა-  
ვხედავთ ჩემს რეპერტუარს და ალბათ  
შევარჩევთ რამეს ამ კონცერტისთვის.



**მარი ჯაჭარიძე**

— ბატონო გოგი, რამდენი წლის ბრძანდებით?

— ვარ ასე, 55-სა და 60-ს შორის...

— ალბათ, თქვენი ასაკის წყალობით, ადამიანებში ნდობას იმსახურებთ და ისინიც ადვილად ტყუვდებიან?

— მე ახალგაზრდობაში დავოსტატდი ამ საქმეში — ხალხი მაშინაც მენდობოდა. შემომხედე, როგორი გამომეტყველება მივიღო!

— ნამდვილად მიაბიტი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ.

— მე რომ ასეთ სახეს მივიღებ, ეს იმობობას პოზიციაა, მსხვერპლს რომ ელის ჩასაფრებული...

— მსხვერპლს როგორ ირჩევთ ხოლმე?

— ხან როგორ, ხან როგორ. ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას გავიცანი ქართველი კაცი. უამრავი ფული ჰქონდა. დავპატიჟე რესტორანში და ათასი დოლარის პურ-მარილი გავაშლევინე. ფული, რა თქმა უნდა, ნახესხები მქონდა... მეორე დღეს მეგობრებთან ერთად დავპატიჟე. ამჯერად, მათ თვალწინ 1.200 დოლარი გადავიხადე. მერე მესამედ — ისევ ათასი. ამჯერად კი გაიქანა ის „მელეხი“ — მე გადავიხადე, მაგრამ ცოცხალი თავით არ დავთანხმდი: ფულის მეტი რა მაქვს, ბიჭო, ქართველებს პატივი თუ არ ვეცი, ოხრად დამრჩეს, რაც გამაჩნია-მეთქი... რესტორნიდან რომ გამოვედით, გადაამეკიდა და ვიღერ თავის სახლში სტუმრად არ მიმიყვანა, არ მომეშვა. ვისაუბრეთ და „გამოუტყდი“, რომ საშუამავლო ფორმა მქონდა და სავაჭრო გარიგებებს ვახორციელებდი, ახლა სიგარეტის დიდი პარტია იყო შემოსული, რომელსაც სამოცდაათი ათასი სჭირდებოდა და თუ გარიგება მოხდებოდა, ჩემს წილად 10 ათასი დამრჩებოდა... სერიოზულად დაინტერესდა, მიითვალ-მოითვალა და დარწმუნდა, რომ თუ ამ თანხას თვითონ ჩადებდა, დაახლოებით ერთ კვირაში 25-30 ათასი დოლარის მოგებას ნახავდა. მეხვეწა და შემუდარა — მე ავიღებ მთლიან პარტიასო. შორს დავიჭირე: არა, უკვე მოლაპარაკებული ვარ, მეიდველი მყავს და ვერ „გადავაგდებ“ მეთქი. მაინც არ მომეშვა. ბოლოს ვუთხარი: ასეთი გარიგებები სუფრასთან არ ხდება და ოფისში მოდი-მეთქი. მეორე დღეს დავტრიალდი, შევარჩიე ერთი კარგად მოწყობილი გასაქირავებელი ოფისი, რამდენიმე დღეში



ვოლტერს უთქვამს, გაჭირვება ყველა მეცნიერებაზე მეტს ქმნისო. მართლაც — გაჭირვებულ კაცს ფულის შოვნის ათასგვარი ხერხი მოუგონია: ზოგი ვაჭრობს, ზოგი ხალხს კპარავს, ზოგი — მთავრობას. ჩემი დღევანდელი რესპონდენტი კი, ფულს თითქოს იოლი, მაგრამ რისკიანი ხერხით შოულობს — ის პროფესიონალი თაღლითია. ვინც ტყუვდება, ატყუებს და კარგა გვარიან თანხასაც იჯიბავს ხოლმეთუმცა, სჯობს, თავად მოვეუსმინოთ:

*„სუსემა“ ონლაინ*  
**ფულის „დახანერა“ და დახანერა...**

ხელშეკრულება გავაფორმე, ერთი თვის ფული — 2.000 დოლარი წინასწარ გადავიხადე, ოთხი ლამაზი გოგო სამსახურში ავიყვანე და დათქმულ დღეს ჩემს „მსხვერპლს“ უფროსის საგარძელში გამოჭიმული დავხვდი. მოვილაპარაკეთ, რომ მეორე დღეს ფული უნდა მოეტანა და „ტავარი“ ენახა. მოვიდა, თან ვილაც კაცი მოიყვანა. ორივე ჩემს მანქანაში გადმოვსვი (მანქანაც ნაქირავები მქონდა). იმ ოჯახსაშენებულს ფული ცელოფანის პარკში ჰქონდა ჩაყრილი. ეგ რა არის-მეთქი? ფულიო, მიპასუხა. — მერე, ფულის ტარება მასე ვის გაუგია-მეთქი?! — დავტუქსე, საბარგული ავხადე და ფულით სავსე ცელოფანის პარკი საგულდაგულოდ ჩაკეტე. მანქანა ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებასთან მივაყენე, მე და „მთავარი გმირი“ შენობაში შევედით, მესამე დარჩა. ვბრაზობდი — ეს რაღას წამოუთრევია, ახლა რა ვქნა-მეთქი?... ბოლოს, მოვიფიქრე — მივაღებთ ერთ-ერთი თანამდებობის პირის კაბინეტს და მდივანს ვუთხარი, თქვენს შეფთან შეხვედრაზე მოლაპარაკებული ვარ-მეთქი. შეგვიშვა. ძველი ნაცნობივით ჩამოვართვი ხელი უცხო კაცს, მოვიკითხე და ვეუბნები — ჩემს მეგობარს ის საქმე აინტერესებს, ჩვენ რომ ვიცით-მეთქი... კაცი გაცივებული

მიყურებს... თქვენ მოილაპარაკეთ, მე ახლავე დაგბრუნდები-მეთქი — და გამოვედი. კიბეზე კისრისტენით დავეშვი. ის ბედოვლათი ისევ მანქანაში გველოდებოდა. ამოვიღე ფურცელი და კალამი, მის დასანახად დავწერე: „არ დათანხმდე, შეევაჭრე და რაც შეიძლება მაგრად დადექი“ — და ეს წერილი თავის მეგობართან გავატანე, თან ავუხსენი, სად და როგორ უნდა მისულიყო. შენობაში შევიდა თუ არა, მანქანა დავტოვე და იმ ტერიტორიიდან „ავორთქლდი“... აი, ასე შემჩა 70.000 დოლარი. ეს იყო ყველაზე დიდი თანხა, რომელიც ასე ერთიანად „დავითრიე“...

— თუ გახსოვთ, პირველად ვინ და როგორ მოატყუეთ?

— პატარ-პატარა ტყუილებს ბავშვობიდან ვამბობდი, მაგრამ პირველი, ასე ვთქვათ, სერიოზული ტყუილი ბებიაჩემს „ვაჭამე“, თხუთმეტი წლის რომ ვიყავი. თანატოლებმა რიკტაფელა (თამაში, როდესაც ოთხკუთხედად დაწყობილ ჯოხებს შორიდან ჯოხი უნდა მოარტყა) ვითამაშეთ ნაძლევეზე. წავაგე. ნაძლევი პურ-მარილზე გვექონდა დადებული. ბებიაჩემს ერთი დიდი ღორი ჰყავდა და სწორედ იმას დავადგი თვალი. ვიცოდი, რომ ბებოს მის დაკვლაზე ვერაფრით დავითანხმებდი და ამიტომ, ხერხს მივმართე:





ბებიას მაზლი ჰყავდა ომში დაკარგული. ქუთაისში ჩავედი და მისი სახელით დეპეშა გამოვგზავნი: „მოვდივარ, თან 5-6 სტუმარი მომყავს და დამხვდით“. ატყდა ერთი ალიაქოთი, მთელი სოფელი შეიყარა. სასწრაფოდ ღორი დაკვალით და დათქმულ დღეს, ზღაპრული პურმარილი გაიშალა. ხალხი სტუმრის მოლოდინით რომ გადაიღალა, მამაჩემს ვუთხარი — კაცო, იქნებ შეაგვიანდა, სტუმრებს ნულარ ვალოდინებთ, დავსხდეთ და ისიც შემოგვესწრება-მეთქი... მე და ჩემი მეგობრებიც შემოვუსხედით სუფრას და კარგადაც ვიქვიფეთ. ბებიჩემის მაზლი კი, დღემდე გზაშია...

**— ჩაფიქრებულ საქმეს ბოლომდე რომ მიიყვანო, მერე სინდისის ქენჯნას არ განცდიო ხოლმე?**

— მსგავსი არაფერი მაწუხებს: მოსატყუებელი უნდა მოატყუო, გასაღლეტი უნდა გაღლიტო: თუ კაი ბიჭია, ნუ მოტყუვდება!.. ალალ და მშრომელ ადამიანს არაფერს ვერჩი — იმას „ვაწერ“, ვისაც არმად აქვს ფული ნაშოვნის და მისი მოვლაც არ იცის.

**— თქვენ თვითონ თუ მოუტყუებინართ ვინმეს?**

— (იციინის) კი. მაგრამ „მაჭამა“ ერთმა, თანაც — ქალმა. გარეგნულად, მართლა მაგარი ქალი იყო. თვალი დავადგი და ყველანაირ ხერხს ვხმარობდი, რომ მისი გული მომეგო. ხანდახან

მეჩვენებოდა, რომ უკვე დავიმორჩილე, მაგრამ უცებ აღმოჩნდებოდა, რომ ჩვენ შორის იმაზე დიდი მანძილი იყო, ვიდრე თავიდან. თავგზა ამებნა, მთელი არსებით მხოლოდ მისი გულის მონადირებას ვცდილობდი, სხვა ყველაფერი დამავიწყდა. ერთი აბდალი გავაცურე — 20.000 ლოლარი ავაღლიტე, ჩემს სატროფოს ძვირფასი საჩუქარი ვუყიდე და პაემანზე მის მოსვლას გულის ფანცქალით ველოდი. მოვიდა, მაგრამ რაღაც, გუნებაზე ვერ იყო. რესტორანში დავპატიჟე, სუფრასთან

ის ძვირფასი საჩუქარიც გადავეცი, ხასიათზე მაინც ვერ მოვიყვანე. დავიწყე ათასგვარი ამბის მოყოლა, რომ გამემხ-

ბოდა ჩემს თავს, მაგრამ რა — არ ვიცოდი. მხოლოდ ერთ რამეს მივხვდი უცებ — რომ სადღაც ტყეში ვიყავი. თენდებოდა. ძლივს გამოვავენი გზას. მანქანების ხმაურზე მივხვდი, რომ გზიდან შორს არ ვიყავი: ხმაურს გამოვყევი და ტრასაზე გამოვედი. თურმე მარაბდის ტყეში ვყოფილვარ. ფონიჭალიდან ერთ მანქანას გამოვყევი, ჯიბეები მოვიჩხრიკე, მძღოლისთვის ფული რომ გადამეხადა და ხელში რაღაც ქაღალდი მომხვდა. გავშალე და წავიკითხე: „ვაი, შენს პატრონს!..“ ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა: ქალმა ფულიც „დამაწერა“, გამაბრიყვა კიდევ და როგორც მერე გავიგე, ჩემი მანქანაც მიისაკუთრა. აი, ასე მომატყუა „სუსტმა“ არსებამ. ამის შემდეგ ვცდილობ, გრძნობას აღარასოდეს ავყვე. ღმერთმა შეარგოს — ხომ ვიყავი ღირსი?

**— ჩანაფიქრი ყოველთვის მოგყავთ ხოლმე სისრულეში?**

— არა, არის მომენტი, როცა მსხვერპლი ანკესზე არ ეგება. ყოფილა შემთხვევა, როცა მე თვითონ გადამიფიქრებია... ერთი პერიოდი, ტურისტულ საგზურებზე „ჩალიჩობდი“: ხალხს სამ-

**პირველი, ასე ვთქვათ, სერიოზული ტყუილი ბებიჩემს „ვაჭამე“, თხუთმეტი წლის რომ ვიყავი. ბებიას მაზლი ჰყავდა ომში დაკარგული. ქუთაისში ჩავედი და მისი სახელით დეპეშა გამოვგზავნი: „მოვდივარ, თან 5-6 სტუმარი მომყავს და დამხვდით“. ატყდა ერთი ალიაქოთი, მთელი სოფელი შეიყარა.**

იარულებინა. ბოლოს ის ამბავიც მოვუყევი, რომელმაც მისთვის ძვირფასი საჩუქრის ყიდვის საშუალება მომცა. გადაირია: ის კაცი, ვინც შენ მოატყუე, ჩემი ძმაა და სწორედ ამიტომ არ ვარ ხასიათზე, ასეთი ამბავი რომ შეემთხვაო... უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი, ბოდიშები ვუხადე, სახლამდე მივაცილე და მალე მეც, მთელი თანხით ვეახელი. საჩუქარში გადახდილი სამი ათასი ლოლარიც კი ვისესხე, რომ ფული სრულად დამებრუნებინა. გაუხარდა, გადამკოცნა, ვისკი გამიხსნა, თვითონაც დალია, მეც დამალევიანა. მერე რა მოხდა, არ ვიცი... დილაბნელზე სიცივემ გამაღვიძა. შევიშმუშნე, მივხვდი, რაღაც ხდე-

უშაოდ საზღვარგარეთ გავზავნას ვპირდებოდი, ავიღებდი ფულს და „მოვტყეობოდი“... მომიყვანეს ერთი კაცი, ამერიკაში უნდოდა წასვლა. 10.000 ლოლარს იხდიდა, წინასწარ კი, 3.000 უნდა ამელო. ფული რომ უნდა მოეტანა, იმ დღეს მთხოვა: მეშინია, გზაში არ დამეკარგოს და სახლში წამომყევი, ჩავითვლი და გამოგატანო. წავყევი. სახლში მისი ოჯახი — მუულე და 6 შვილი დამხვდა, უმცროსი სულ რამდენიმე თვის იყო. შემებრაღა. ფული კი წამოვიღე, მაგრამ ორი დღის მერე დავიბარე და ვუთხარი: საელჩოში საქმე გამიფუჭდა და ვეღარ ვაკეთებ-მეთქი. ფული უკლებლივ დაკუბრუნე. კაცური კაცი ყოფილხარ — შენს ადგილზე სხვა დაიმალეობდა და

„გადამავდებდაო“. სიმართლე გითხრათ, შემერცხვა...

**— ე.ი. სინდისთან მწყრალად მაინც არ ყოფილხართ.**

— გააჩნია, რა შემთხვევაში. ერთ ამბავს მოგიყვებით და თავად განსაჯეთ, იყო ის კაცი გასაბითურებელი თუ არა. საბჭოთა პერიოდში რამდენიმე წელი მოსკოვში ვცხოვრობდი. საქართველოდან ჩემთან ბევრი სტუმარი ჩამოდიოდა. ყველას ხელგაშლილი ვხვდებოდი და პატივისცემას არ ვაკლებდი. ერთხელ ახლობელი მეწვია, თან გორის მილიციის უფროსი ახლდა. სასტუმროში ნომერი ჰქონდათ, მაგრამ მთელი კვირა ჩემთან იყვნენ. რესტორანი და ქალები არ მომიკლია ჩემი სტუმრებისთვის, საკმაოდ გულუხვად დავასაჩუქრე კიდეც. გამოგზავრების წინა დღეს ჩემი მეგობრებიც შევეკრიბე და რესტორან „როსიაში“ კარგი პურმარილი გავშალე. რესტორანში ჩემი მანქანით წავდილით მე, ჩემი მეგობარი და ეს ჩემი ცოდვით სავსე გორის მილიციის უფროსი (გვარს არ დავასახელებ). გზაში მეკითხება, როგორ შოულობ იმდენ ფულს, ასე ხელგაშლილად რომ შეგიძლია ხარჯო?.. ნაძლეებს ვიგებ-მეთქი, ვუპასუხე. როგორ? — როგორ და, თუ გინდა, 1.000 მანეთზე დავნაძლევედეთ, რომ ორ საათში საჯლომზე ძირმაგარას ამოვიყვან-მეთქი. გულიანად იცინა და დამთანხმდა. იმ დღესაც ვქეიფობდით რესტორანში. ისე მოვასერხე, რომ სუფრის ოთხ წევრთან ათას-ათას მანეთზე

დანაძლევედი — გორის მილიციის უფროსს შარვალს ჩავასხდევინებ და მის საჯლომზე ოთხივეს ხელს მოვასმევინებ-მეთქი. გავიდა ორი საათი. ჩემი მსხვერპლი საპირფარეოში გავიდა, გასარებული მობრუნდა და მეუბნება: შენ თუ ასე იგებ ნაძლეებს, გაკოტრებულხარ და ეგ არისო, — არავითარი ძირმაგარა არ ამომივიდა, ასე რომ, 1.000 მანეთი მე მოვიგეო. მე ნაძლეუს არასოდეს ვაგებ — ნამდვილად მატყუებ-მეთქი... თუ გინდა, მოწმეები

ნირი კი წაუხდა, მაგრამ მოგებული ფული ჯიბეს უთბობდა და წყენასაც, ასე თუ ისე, ავიწყებდა...

**— როგორც მივხვდი, იმისთვის, რომ გარკვეული თანხა ჩაიჯიბოთ, რაღაც პერიოდი გჭირდებათ. უცებ თუ დაგჭირდათ ფული, მაშინ როგორ იქცევით სოლმე?**

— ერთხელ ათი ლარის მეტი არ მელო ჯიბეში, მე კი, თუ ჯიბე სავსე არ

**1.000 მანეთის მოგების სურვილმა შარვალი ჩაახდევინა: წაიკუზა და — აბა, ნახეთ, ძირმაგარა თუ მაქვსო. ყველამ სათითაოდ მოსინჯა მისი საჯლომი გულდასმით და ოთხივემ აღიარა, რომ ნამდვილად არ ჰქონდა**

წამოიყვანე და გიჩვენებ, რომ ძირმაგარა არა მაქვსო. წაიყვანე ის ოთხი მოწმე, შევედი საპირფარეოში. 1.000 მანეთის მოგების სურვილმა შარვალი ჩაახდევინა: წაიკუზა და — აბა, ნახეთ, ძირმაგარა თუ მაქვსო. ყველამ სათითაოდ მოსინჯა მისი საჯლომი გულდასმით და ოთხივემ აღიარა, რომ ნამდვილად არ ჰქონდა არავითარი ძირმაგარა. მილიციის უფროსმა ხენეშა-ხენეშით აიწია საცვალის და შარვალიც, მოგებული 1.000 მანეთი მიიღო, მე კი — მოგებული 4.000... ბოლოს, რომ გაირკვა, რაშიც იყო საქმე, ცოტა

მაქვს, ავად ვხდები. ჩავიცივი შავი შარვალი, ცისფერი პერანგი, მანქანა დავკოქე და კახეთისკენ ავიღე გეზი. შუა ტრასაზე მანქანა გვერდზე გადავყენე და პოლიციელივით მივეყუდე საბარგულს. ჭრელი ჯოხი მქონდა, ჯიბეზე კი, ინსპექტორის „ბირკის“ მაგივრად, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა დავიმაგრე... იმ დღეს 200 ლარი ვიშოვე...

**— ყოველთვის მარტო მუშაობთ?**

— კი. არ მჭირდება არც მოწმეები და არც მეწილეები.

**— პასუხისგებაში თუ ყოფილხართ მიცემული?**

— ჯერ არა. ვფიქრობ, არც ვიქნები. მე წერილმანი თაღლითი ვარ. მთავრობის ღონეზე ჯერ ვერ ვქაჩავ. ჯერ „ისინი“ დაიჭირონ და მერე, თუ გინდა — მეც.

**— მე რომ ბევრი ფული მქონდეს, დასატყუებლად რა ხერხს მოიგონებდით?**

— გოგო, შენ ისე აკვარკვალე თვალებს უთოფო ყაჩაღივით, აქეთ თუ წამართმევ რამეს... გუშინ არ იყო, შენი მოტყუება რომ ვცადე და არ გამომივიდა? ოღონდ, ეს ამბავი მარტო მე და შენ ვიცოდეთ...

ჩემს რესპონდენტს დიდსულოვნად შევპირდი, რომ ჩემი არშემდგარი „გაცურებით“ დაწყებული ჩვენი ვაცნობის ამბავი მკითხველისთვის საიდუმლოდ დარჩებოდა და რადგან პირობა მივეცი, ვასრულებ კიდეც.

**„შრომანის“ თმის მოვლის ინსტიტუტი**  
**თმის გვენის შეჩერება და გახშირება**

10 ლდიანი ბამაჩანსალბაელი მასაჟის კურსი, თაჟის კანის მკვებაჟი კრემები, ლოსიონი და მენარაჟული შამპუნი; ჩანსალბება თმის ძირმბი; იკურნება კანის ქაჟილი, ღაჟიშლობა, ქირტლი.

აბრეიშე ზთაჟაგობთ:

1. გამწმენდ რძეს და კრემს სახისა და სხეულისათვის: აქრობს ჩირქოჟან და ალერგიულ გამონაჟარს, ასწორებს და იცავს კანს დანაოჭებისაგან და გათმიანებისაგან, აუფერულებს ჭორფლს და ღაქებს.
2. ჭარბთმიანობის მკურნალობას მრავალკომპონენტიანი მცენარეული ექსტრაქტის თმის ბუდეებში შემელვის ორიგინალური საფირმო მეთოდით.
3. გახლომას და ორგანიზმის გაწმენდას წიღებისგან, უდიეგოდ, მხოლოდ მცენარეული ნაკრების საშუალებით.
4. ხველების დამამშვიდებელ მცენარეულ წვეთებს (აჯანსალბებს ფილგებს, ასუფთაჟებს ბრონქებს, აძლიერებს ორგანიზმის იმუნიტეტს გრიჟისა და გაცივებისადმი).
5. ღრძილების სამკურნალო მცენარეულ საჟებს (ანთება, ღაწეჟა, მტკიჟანი და სისხლმღენი ღრძილები).
6. გილისა და წილის მოსაცილებელ მცენარეულ ლოსიონს.

გეშუაობ ყოველღე, 10-18 სთ-მღე, კვირის გარდა  
 მის: ჭავჭავაძის 5, ვაკის ლეჩოზინატი, „მშენიერების ცენტრი“ —  
 „შრომანის“ კაბინეტი. ☎ 25 00 74





უკვდავია ერი, რომლის მინა-წყალს უამრავი ვაჟბატი სიცოცხლის ფასად იცავს. რამდენი საჯიშე ბიჭი შეწერა საქართველოს, რამდენმა ანაცვალა თავი მამულს... კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე წავიდა ამ ქვეყნიდან... კიდევ ერთი ლამაზი ბიჭი ვეღარ მოესწრო გაზაფხულს და ატმის ყვავილობას.

«**ბეჭიბი დასოგით, ბიჭებო!**»

**ნათია ტყეშელაშვილი**

ირაკლი მზეჭაბუკის ძე ამირეჯიბი 1963 წლის 29 აპრილს დაიბადა. საოცრად ლამაზი ყოფილა... ისეთი ლამაზი, რომ გარშემო ყველას აოცებდა თურმე...

მამა პატარაობიდანვე სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებაზე ესაუბრებოდა. ირაკლის ძვალსა და რბილში გაუფხვდა ქვეყნის სიყვარული. ამას ხელს უწყობდა ის გენიცი, რომელიც დედისა და მამის მხრიდან მოსდგამდა. მისი წინაპრები სამშობლოსთვის თავდადებული ვაჟკაცები ყოფილან.

ირაკლი არა მარტო ვკარით იყო ამირეჯიბი, არამედ სულშიც რაღაც ამირეჯიბულს ატარებდა (სიტყვა „ამირეჯიბი“ არაბული წარმოშობისაა და საქართველოს მეფის კარზე მთავარ მრჩეველსა და წესრიგის მეთვალყურეს ეწოდებოდა).

ჭაბუკმა ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა მშობლიური ლიტერატურის სიყვარული. სწორედ ამიტომ, მთელი თავისი სიცოცხლე წიგნების კითხვაში გაატარა.

ბიჭს უნდოდა, თავისი ქვეყნის ისტორია ზედმიწევნით კარგად ესწავლა და მისაღები გამოცდები სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩაბარა. დადგა ნანატრი სტუდენტობა... დღე დღეს მისდევდა, წამი წამს... მაგრამ...

„მოუსვენარი გენი არ მასვენებს. სულ რაღაც ახალი მინდა. თითქმის ყველა ჩემი წამოწყება პირველ გამარჯვებამდე მიმყავს. მერე კი, ინტერესი მეკარება, შეგრძნება ძველდება და ისევ ახლისაკენ მაგდებს სისხლი“ (ერთ-ერთი წერილიდან).

ოთხმოციან წლებში ირაკლი ამირე-

ჯიბი საკუთარი სურვილით, სადესანტო ნაწილში წავიდა სამხედრო სამსახურის მოსახდელად. ეს იყო ფათერაკებისკენ სწრაფვა და საკუთარ თავში რისკის უნარის წვრთნა. ახლობლისთვის გამოგზავნილ წერილში აღწერილი აქვს ის განცდა, რომელიც ათი კილომეტრის სიმაღლეზე დიდი სიჩქარით მოძრავი რეაქტიული თვითმფრინავიდან გადახტომისას მიიღო. ირაკლიმ შიშის გრძნობა საკუთარ თავში იმდენად დათრგუნა, რომ საერთოდ თუ ჰქონდა, მეგობრები ვერც კი ამჩნევდნენ. ერთს უთქვამს: „ირაკლის ისე არ ეშინია ტყვიის, რომ მგონი, სიცოცხლე არაფრად უღირს“. ირაკლის დღიურში კი ვკითხულობთ: „მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომლებიც რისკზე არა იმიტომ მიდიან, რომ სიცოცხლე არ უყვართ, რისკი მათ უფრო აყვარებს ყველაზე მშვენიერს – სიცოცხლეს!“

აფხაზეთის ომი დაიწყო. ყველაფერი აირია. მაშინ ირაკლი მოსკოვში მუშაობდა. შინ ჯდომა დანაშაულად ჩათვალა და არც დაფიქრებულა, ისე ჩამოვიდა თბილისში და ყველას უთხრა, რომ ომში მიდიოდა. წავიდა კიდევ...

პირველად უამრავი ჭრილობით დაბრუნდა. სხეულში ნაღმის თორმეტი ნამსხვრევი ჰქონდა. მხოლოდ სამი ცალი ამოიღო და ისევ ომის ქარცეცხლში დაბრუნდა. სამწუხაროდ, ეს დაბრუნება საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

ძლიერი აფეთქების ხმა... ყველა ჩაღრმავებულ ადგილს აფარებს თავს... ისმის ავტომატების სროლის ხმა... დროდადრო ძლიერი აფეთქებები... ბიჭები საბრძოლო პოზიციებს იკავებენ... მათ შორისაა მჯალაი, ლამაზი, ფოცხვერივით სწრაფი ირაკლი

ამირეჯიბი. იგი მანქანას ეფარება და სწრაფად ისვრის ხან ერთ, ხან – მეორე მხარეს.

– რაციით გადაეცოთ, დაგვეხმარონ! – ეს მისი ხმაა.

– რაცია არ გვაქვს, ირაკლი!

– ტყვიები დაზოგეთ, ბიჭებო! აქ ალბათ დიდხანს მოგვიწევს გამაგრებას!

ისმის ძლიერი აფეთქების ხმა... ირაკლი აფეთქებული მანქანისკენ გარბის. იქ უკვე სამი მებრძოლია დაღუპული და ერთი ქალი – დაჭრილი. ტყვიები ახლა მანქანის მიმართულებით ცვივა.

– ირაკლი, მანქანა არ დატოვო!!!

სროლა თანდათან ძლიერდება...

ირაკლის ტყვიების ზუზუნში, დაჭრილი ქალი მოჰყავს.

უცებ, სროლებისა და ძლიერი აფეთქების ფონზე არემარეს შეაზანზარებს მისი ხმა: „მომარტყეს!“

ირაკლი სულ სისხლშია ამოსვრილი. მიწაზე წვეს და ცას დაუინებოთ უყურებს. ცოტა ხნის მერე კი პირს აღებს და მთელი სხეულით უკანასკნელად ამოისუნთქავს...

„თუ კაცს სიკვდილი უწერია, სახლშიც მოკვდება. მე იღბლიანი კაცი ვარ. ტყვია და მაგისტრანა რაღაცები ვერ მომიერევა. მე ჩემი სიკვდილით მოვკვდები“, – წერდა ირაკლი.

**ჭაბუკი ამირეჯიბი:**

– ომში წასვლა ჩემმა შეიღმა თვითონ გადაწყვიტა და წავიდა კიდევ. ოთხი ბიჭი მყავს. ერთი აღარ არის... ოთხივე იბრძოდა აფხაზეთის ომში. ოთხივე თვლიდა, რომ ეს იყო მათი მოდემის მოვალეობა. კიდევ რომ დაიწყო ომი და კიდევ რომ წავიდნენ საომრად – მე ვერ დავუშლი, რადგან, ვიმეორებ: სამშობლოს სჭირდება ოფელი და სისხლი!

„დღეს უკანასკნელად გადმოვხტი პარაშუტით და ამით დავამთავრე ჩემი საჰაერო-სადესანტო სამსახური. უცნაური გრძნობა მაქვს, გეგონება, რაღაც ძალიან ძვირფასი დავკარგე. ალბათ, უბრალოდ მივეწვიე ცასა და დედამიწას შორის დაკიდებას. მოკლედ, ამ ცხოვრებაში არაფერია მარადიული, ყველაფერი წარმავალია. ნორმალური ცხოვრების ნაღვლიანი სურვილი მჭამს და დაძაბული ყალფზე ვდგავარ ჩემი პრობლემების „თაიგულთან“.

**ჭაბუკი ამირეჯიბი:**

– როცა ირაკლი დაიღუპა, მე მაშინ პარლამენტის დეპუტატი ვიყავი. ტრიბუნლიდან სახალხოდ ვიქვი: ქართველებო, ჩემი შეილის სიკვდილით არაფერი მომხ-

დარა — მოხდა ის, რომ ჩვენმა გვარმა მორიგი სისხლის უღუფა გაიღო სამშობლოსთვის. ეს ჩემი მოდემისთვის უცხო არ არის.

**„ხომ გრძნობ გაზაფხულს? ალბათ გესმის, შუადღისას სახურავიდან როგორ წვეთავს გამდნარი თოვლი... და ეს თეთრი მდუმარება, როგორ იცვლება გაზაფხულის ჩუმი ჩურჩულით... გაზაფხულისა, მთელი ორი წელიწადი და ვინ იცის, მთელი სიცოცხლე ასე რომ ველი“.**

ირაკლი ამირეჯიბი 1992 წლის 17 ნოემბერს გმირულად დაიღუპა ტამიშთან. გაზაფხული ჯერ კიდევ ძალიან შორს იყო, მისი სანატრელი გაზაფხული... ტამიშთან კოკისპირულად წვიმდა... შემოდგომის ბურუსს სულ მალე თოვლი უნდა მოჰყოლოდა...

ორ დღეში ირაკლის ნეშტი შტაბში გადასვენეს. ოჩამჩირიდან ქართველებთან ერთად, აფხაზი მოსახლეობაც მოდიოდა, მისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად. საოცარია ის, რომ მოსახლეობის გარდა, გამოსამშვიდობებლად თეთრი ღროშით ხელდამშვენებული აფხაზი მეომრებიც მივიდნენ და მიცვალებულთან შესვლა ითხოვეს. ნახეს ირაკლი... მის თანამებრძოლებს კი, დიდი გულისტკივილით მიუსამძიმრეს.

ირაკლის მოთხრობიდან: **„ბიჭი ძალიან ცუდად იყო: მიხვდა, კედლები ტოვებდა გოგონას, რომელიც გულის ქვეშ ახალ სიცოცხლეს ატარებდა. გრძობდა, მისი ცრემლები როგორ უსველებდა ხელს. უცებ თვლებზე სითბო და სინათლე იგრძნო. ძალის-ძალად გაახილა თვალები. გოგონას ტკივილიანი სახე დაინახა. ლოყაზე ათინათი ეფინა. გრძნობდა ათინათი — აქ, ამ ოთახში, რაღაც დიდი ტკივილი ბუდობდა. დღეს მთელი დღე იხეტიალა, ითამაშა თავის ტყუპისცალკებთან. ძალიან რომ დაიღალა, ამ ღია ფანჯარაში შემოფრინდა, ჯერ მწოლიარეს მიუაღერსა, მერე გოგონას შეეფინა ლოყაზე. მზის ეს ნამცეცი ისე უხლებოდა გოგონას, რომ ბიჭს გაეღიმა: სანამ ათინათი აქ იქნება, მეც ვიქნებიო — წაიჩურჩულა“.**

**ჭაბუკა ამირეჯიბი:**

— სამძიმარზე მოსულ თანამებრძოლებსა და მეგობრებს მე ვაწყნარებდი. დარდს ვეღარ გავუძელი და მეორე დღეს ინსულტი დამემართა, რის მერეც სხეულის მარცხენა მხარე წამერთვა... აგერ უკვე ცხრა წელი გავიდა ირაკლის დაღუპვიდან. ამხელა დრომ გაიარა და დღესაც მის

გახსენებაზე ცრემლებს ვერ ვიკავებ...

როცა პარლამენტის წევრები ჭაბუკ ამირეჯიბის დაბადების დღეს ულოცავდნენ, სწორედ იმ დროს „მხედრიონის“ ბიჭები სიცოცხლეს სწირავდნენ, იმისათვის, რომ ირაკლი ამირეჯიბის ნეშტი მინც გამოეხსნათ გააფთრებული გადამთიელის კლანჭებიდან.

**„არსებობენ ადამიანები, რომელთაც შესწევთ ძალა, მოერიონ ცუდ თვისებებს. ცუდი თვისება, რომელიც ჩვენში ცხოვრობს, ჩვენი ხასიათის განუყოფელი ნაწილია. ადამიანში არაფერია ზედმეტი, ყველაფრის გამოყენება შეიძლება“ (ი.ა.).**

ირაკლი ამირეჯიბის წმინდა ქართული სისხლი უჩქევდა ძარღვებში. თავისი გვარის კაცს თავი არასოდეს არავისთვის დაუხრია...

მხოლოდ ერთხელ დახარა — ისიც იმიტომ, რომ მანქანიდან დაჭრილი გადმოეყვანა. ტყვიაც სწორედ მაშინ მოხვდა...

**მანანა ამირეჯიბი, ირაკლის და:**

— ჩემი ძმა ზედმიწევნით სრულად ატარებდა თავისი ჯიშისა და ჯილაგის ავკარგს. მისი ზოდიაქო აპრილ-მაისს მოიცავდა და ხასიათითა და შესახედაობითაც ამ თვეებს ჰგავდა. ყველაფერი მოსინჯა, რაც კი თავში მოუვიდა... აპრილი და მაისი ტყუილად როდი ვახსენებ. ირაკლიმ სილამაზის საოცარი განცდა იცოდა. სულით დედას ენათესავებოდა. ბავშვივით გულახდილი იყო მასთან და მისი სიფაქიზეც, დედისადმი მიწერილი ბარათებიდან კარგად ჩანს:

**„დელი, გუშინ შველი დავიჭირეთ. ვერ წარმოიღვენ, რა მშვენიერება იყო. თბილი, პატარა, უმწეო. შაქარი ვაჭამეთ და გავუშვი. ძალიან ნაცნობი თვალები ჰქონდა, შიში არ უჩანდა, მხოლოდ გაკვირვება და ცნობისმოყვარეობა, სხვა არაფერი. ვიღაცას ჰგავდა, დიდხანს ვიფიქრე და ვერ მოვიგონე — მესხიერებამ მიღალატა, როგორც ჩანს“.**

რა საინტერესოა, ვინ მოაგონა შვლის ნუკრამ. იქნებ მიამსგავსა კიდევ ვინმეს, მაგრამ უბრალოდ წერილში არ ჩაწერა...

29 წლის მთასავით ბიჭი უსპეტაკესი სულის მატარებელი იყო, ყველაფერს სხვაგვარად ხედავდა და აღიქვამდა. **„მარტო გარეგნობა აინტერესებთ ჩემი... სული, სულია მთავარი“ — შეუჩივლია ერთხელ დედისთვის...**

— ზაზა, რატომ არ გაცვია ჯავშანქილები? — უკითხავს სიკვდილის დღეს მეგობრისთვის. ვიღაცას ვათხოვეო —

უპასუხია ზაზას. მაშინვე გაუხდია თავისი და ისე გაჰყოლია ჟურნალისტებს ფრონტის ხაზზე...

მეგობრები ამბობდნენ, სიცოცხლეს გამხმარი ფოთოლივით ექცეოდაო. არ არის მართალი — სიცოცხლე ძალიან უყვარდა, თავისი, ჯერაც არდაბადებული შვილებიც კი: შესანიშნავი ზღაპრები ხომ მათთვის დაწერა, მაგრამ აღარაფერი დასცალდა ირაკლის.

ამბობდნენ, ტანკში არასოდეს ჯდებოდაო — საომარი მოქმედების დროს ტანკზე იჯდა, რის გამოც, როცა მანქანა აფეთქდებოდა, ირაკლის ათიოდე მეტრზე გადატყორცნიდა ხოლმე, დამტვრეული იყო, მაგრამ ცოცხალი.

**„დელი, ჩემო ძვირფასო!**

**გარეთ ჯერ ისევ ცივა, თუმც, თოვლმა დნობა დაიწყო, მზეც გამოჩნდა და მეც იმედი გამიჩნდა. აღარ მეგონა, გაზაფხული თუ მოვიდოდა ოდესმე. თბილისში ალბათ გაზაფხულდა უკვე და ყველაფერი იფურჩქნება... როგორი სიამოვნებით გავივლიდი ჩემს ქუჩაზე... არასოდეს მეგონა, რომ ასეთი ოცნება მექნებოდა. ცხოვრება საკვირველი რამეა. თბილისის გასხენებაზე, ყელში რაღაც ბურთი მიჩნირება და სანამ თავს ძალას არ დავატან, თვალზე ცრემლი მაღვას“.** (სამხედრო სამსახურში ყოფნისას გამოგზავნილი წერილიდან).

ირაკლი ამირეჯიბი მოუშუშებელი ჭრილობაა. მისი სპეტაკი სისხლი აფხაზეთის მიწას არასოდეს შეაშრება: ის ხომ აფხაზეთში სიმართლისა და სიკეთისთვის იბრძოდა. უკვე ცხრა წელი გავიდა, რაც ტამიშთან ახლოს წვიმიან ნოემბერში ირაკლის სიცოცხლე მტრის ტყვიამ შეწყვიტა.

**„დიდხანს ვცხოვრობდით მე და მარტოობა ერთად, არ იყო ისეთი ძალა, რომელიც ჩვენ დაგვაშორებდა, სანამ ერთ უცნაურ დღეს მარტოობამ არ მითხრა: აღარ მინდა ამქვეყნად დარჩენა, წავალ, გადავიკარგებიო. მარტოობა წავიდა და... მეც უკან გავეყვი“.**

გაჰყვა და გაუჩინარდა...

ირაკლი ამირეჯიბი სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. მასზე დაწერილია უამრავი ლექსი, რომელიც ქართველმა პოეტებმა უდრიოდ წასული ირაკლი ამირეჯიბის ნათელ სულს მიუძღვნეს.

იმ ადვილას, სადაც შემოდგომით ირაკლი დაეცა, გაზაფხულზე ულამაზესი შრომანები ამოსულა...



მას ათასგვარი ნინააღმდეგობრივი მოვლენით სავსე ისტორია აქვს. მას თაყვანსაც სცემდნენ და სძულდათ ყიდევ, მასზე წერდნენ მეცნიერულ ტრაქტატებს, ადიდებდნენ პოეტები და აღმერთებდნენ წარჩინებული ქალები. ბოლოს და ბოლოს კი, ის ჩვეულებრივ, ძალზედ პოპულარულ პროდუქტად დამკვიდრდა.

ძალიან დიდი ხნის – დაახლოებით სამი ათასი წლის წინ პერუს ტერიტორიაზე მცხოვრები ინდიელები კარტოფილს მიირთმევდნენ. ველურ პირობებში მოყვანილ კარტოფილს მომწარო გემო დაჰკრავდა და ზოგიერთ მომწამლავ ნივთიერებასაც შეიცავდა, ამიტომ ინდიელები ბოლქვებს უჩვეულო მეთოდით ინახავდნენ: მათ ღია ცის ქვეშ მიმოფანტავდნენ, სადაც კარტოფილს ხან აწვიმდა, ხან მზე აცხუნებდა, ღამე კი იყინებოდა. ძალიანად რომ დარბილდებოდა, ქალები შიმველი ფეხებით თელავდნენ და ამგვარად აცლიდნენ კანს. ღილებულ პროდუქტს „ჩუნიო“ ერქვა.

ინდიელთა ამ საკვების გასინჯვის შემდეგ, XVI საუკუნეში კონკისტადორებმა კარტოფილი ევროპაში ჩაიტანეს. დიდი ხნის მანძილზე მას „პერუს მიწის თხილს“ უწოდებდნენ და ეგზოტიკური მცენარის სახით ესპანეთისა და პორტუგალიის ბოტანიკურ ბაღში გამოჰყავდათ, იტალიელები კი მიწის სოკოსთან – ტრიუფელთან მსგავსების გამო, „ტარტუფოლის“ ეძახდნენ.

კარტოფილი, ურომლისოდაც ამჟამად ბევრს არსებობა ვერც წარმოუდგენია, ადამიანთა ყოფაში საკმაოდ ძნელად მკვიდრდებოდა. ბევრს მის დასახელებაში ესმოდა გერმანული გამოთქმა „კრაფტ ტოიფელს“, რაც „ემშაჰის ძალას“ ნიშნავს. მის საეჭვო სახელს ზოგჯერ ბოლქვის

# უისი უდიდესი კარტოფილი



უჩვეულო ფორმაც უწყობდა ხელს. ცრურწმენები კარტოფილის შესახებ დღესაც არსებობს. მაგალითად, ბევრს ჰგონია, რომ კარტოფილი ასუქებს, მაგრამ ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მართალია, კარტოფილის სახამებელი შაქრად იშლება, მაგრამ ეს დაშლა თანდათანობით ხდება, რაც არ ქმნის შაქრის სიჭარბეს, რისგანაც სხეულში ცხიმის დაგროვება ხდება ხოლმე. ამიტომაც კარტოფილი, ისევე, როგორც დიეტური პური, ყველაზე ნაკლებად უწყობს ხელს გასუქებას და ქოლესტერინის დონის მომატებას. სწორედ ეს არის ახალი თაობის დიეტოლოგთა კარტოფილის სასარგებლოდ მეტყველი მთავარი არგუმენტი. პოპ-ვარსკვლავ მაღონას ცნობილი დიეტა, რომელმაც ქალს ორსულობის დროს დაგროვილი

ჭარბი წონის დაკლებაში შეუწყობდა ხელი, სწორედ კარტოფილის წვნიანს, მოხარშულ კარტოფილსა და ბოსტნეულს ეყრდნობოდა.


კარტოფილი სასარგებლო ნივთიერებების მთელ კონას შეიცავს. ც ვიტამინის შემცველობით ის მწვანე ხახვს, ყურძენსა და წითელ მოცხარს სჯობნის. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ნივთიერებაც, რომელიც განსაკუთრებით, დიდი ქალაქების მცხოვრებლებს ესაჭიროებათ, – ეს არის პიროდოქსინი, რომელიც ანეიტრალებს ორგანიზმში მოხვედრილ ტოქსინებს და აბრკოლებს კარიესის წარმოქმნას. კარტოფილი კალიუმის მთავარი წყაროც არის, რომელზეც მოთხოვნა გონებრივი დატვირთვის დროს იზრდება.

აუცილებელია კარტოფილის

იგალის საფეხბურთო კლუბი	ბაკსის საჭედი	იოდის ნაკლებობა იწვევს ... ჯირკვლის პათოლოგიას			ადამიანის სხეული	მეფის მხლებლები	პირველი კოსმონავტი
	ჩააგაგაგა	ააიიისეხი	მანი	აგას	ბაი	გაი	ნ
სახელმწიფო სამს. ამერიკაში	შრომა	ცხენის ბალანი კისურზე	სამთაწი ნარდში	კაპიტან გრანტის გემი (ქ. ე. ნის მიხედვით)	ანტონიო ბანდერასის მშობლიური ქალაქი		ა. გოლსკო „ინცინერ“ კიპერბოლო



# დასოება






სწორად შენახვა, რათა ის, დროთა განმავლობაში, არ გამოიფიტოს მრავალგვარი ვიტამინისგან. ზამთრისთვის შენახვის წინ აუცილებელია ერთი-ორი კვირის მანძილზე კარტოფილის კარგად განიავება და გაშრობა. იგი საუკეთესოდ ინახება ხის ყუთებში +3,+5 გრადუს ტემპერატურაზე. თუ კარტოფილმა მოტკბო გემო შეიძინა, ამის გამოსწორება შეიძლება: დამტკიცებულია, რომ სახამებლის დაშლის პროცესი, რომელიც სიტკბოს ანიჭებს კარტოფილს, შექცევადია და კარტოფილისთვის უწინდელი გემოს დასაბრუნებლად საჭიროა, მოვათავსოთ +15,+17 გრადუს ტემპერატურასა და მომატებული ტენიანობის პირობებში, ამასთან, დროდადრო ბოლქვებს წყალიც უნდა მოვასხუროთ.

მსოფლიოში ყველაზე მეტ კარ-

ტოფილს ირლანდიელები მოიხმარენ. მისგან ისინი ამზადებენ ღვეზელს, ბლინს, კატლეტს, მრავალგვარ სალათსა და, რა თქმა უნდა, წვნიანს. გამაჯანსაღებელი და მადის მომგვრელი თვისებების გამო, კარტოფილის წვნიანს „ჰიპოკრატეს წვნიანს“ უწოდებენ, მაგრამ ყველაზე მარგებელი არა მოხარშული ან შემწვარი, არამედ ნაცარში ან გაზქურაში, თავისსავე კანში „გამომცხვარი“ კარტოფილია. სწორედ ამ სახით ინარჩუნებს ის თავის საუკეთესო თვისებებს.

კარტოფილის გამოყენების შესაძლებლობები მხოლოდ კულინარიული სფეროთი არ შემოიფარგლება. მაგალითად, ჯოაკინო როსინის მოღვაწეობის პერიოდში იტალიელი მელომანები დაწუნებულ მუსიკოსებს დამპალი კარტოფილის ბოლქვებს ესროდნენ... ამ პროდუქტის საშუალებით ახამებენ თერთულს, მისი ყვავილის მეშვეობით კი, ზაფრანის მსგავსად, ნაჭრის ყვითლად შეღებვაა შესაძლებელი. ეს ბოსტნეული ხალხურ კოსმეტიკაშიც ფართოდ დამკვიდრდა. მაგალითად, სახის მშრალი კანისთვის საუკეთესოა კარტოფილის ნიღაბი. თავისივე კანში „გამომცხვარი“ კარტოფილი უნდა შეურიოთ ერთ ჩაის კოვზ მჟავე რძეს ან არაჟანს, წაისვით სახეზე და გაიჩეროთ ოცი წუთის განმავლობაში...

ამგვარად, კარტოფილის საუცხოო თვისებათა აღიარებას კაცობრიობამ საკმაოდ დიდი დრო მონაღომა, სამაგიეროდ, ახლა მას სიყვარულით და რუღუნებით ეკიდებიან. მაგალითად, რუმინეთში, შუა მინდორში დგას კარტოფილის უბრალო ბოლქვის ძეგლი, ბელგიის დედაქალაქში კი კარტოფილის მუზეუმიც კი ფუნქციონირებს, რომლის გახსნა თვით იოჰან სებასტიან ბახის მიერ დაწერილი მუსიკალური პიესის თანხლებით მიმდინარეობდა...



დასახლებული პუნქტი	ყაზალი	ნაყინშერეული რძიანი ყავა	სუღელა, ღვეჯგრაფი	ვაჭის სარი	ვიწროყელიანი მინის ჭურჭელი წყლანათვის	
( მ დ ე ნ ი )	ნ ს ი	ნ ი	ნ ს ი	ნ ს ი	ნ ს ი	
„პაწლეგის“ პერსონაჟი ქალი	კედლის ნათურა	„სწავლარბს ... გიგინა“	საიღუმლო მოწყობილობა მექანიზმში	უნარი, ვაგია	კვახი ანუ ...	მხახობი ალმურ ...



სალომე მომიტაშვილი

როგორ გვინათ, საიდან შემო-  
 კქონდათ ხორბალი საქართველო-  
 ში, თუნდაც საუკუნის წინათ?  
 არსაიდან, ჩემო ბატონო, პირი-  
 ქით – გაგვექონდა კიდეც საზღ-  
 ვარგარეთ. „აბრეშუმის“ გზას  
 მარტოოდენ ძვირფასი აბრეშუმი  
 როდი მიჰყვებოდა შორეულ ქვეყ-  
 ნებში. თუნდაც ის ფაქტი რად  
 ღირს, რომ ხორბლის ცნობილი 17  
 სახეობიდან, საქართველოს ტერიტო-  
 რიაზე დამოწმებულია 12, ხოლო  
 ისეთი ენდემური ჯიშები, რო-  
 გორიც მაზა და ზანდურია,  
 დღევანდლამდე ყოფილა შემორ-  
 ჩენილი. თუმცა თურქული და  
 იტალიური ფქვილის „ტყვეო-  
 ბაში“ მოქცეულ ჩვენს ბიზნეს-  
 მენებს ნაკლებად ედარდებათ,  
 უგემურ გაფუებულ პურს მივი-  
 რთმევთ თუ არომატულ და  
 უგემრიელეს ზანდურის შოთ-  
 ლავაშს...

ბუნებრივია, ქვეყანაში, რო-  
 მელიც ხორბლის კულტურის  
 ერთ-ერთ მსოფლიო კერად  
 ითვლება, არაერთი ტრადიცი-  
 ული ადათ-წესი ფიქსირდება,  
 ოდითგან რომ უკავშირდება  
 ხვნას, თესვასა თუ მკას.

ამჯერად ყანის მკის „დღე-  
 სასწაულებს“ გაგვაცნობს ეთ-  
 ნოლოგი **ანზორ ვივიანი**.

– სიამოვნებით მოგიხსენებ  
 ხორბლის აღების ქართლ-კახური  
 წესების შესახებ. როცა მკათათვე-  
 ში მკა გახურდებოდა, ქალი და კაცი  
 სამკალში გადიოდა. ბავშვებიც კი  
 მონაწილეობდნენ საერთო ფერხუ-  
 ლში, ერთი თავთავიც კი არ დარ-  
 ჩებოდათ მინდორში...

– რაიმე განსაკუთრებული  
 რიტუალი თუ სრულდებოდა?

– „ჯვარიმამლობა“ ერქვა ერთ-  
 ერთს. შილდაში, საბუეში, ჭიკანში,  
 ენისელში დღესაც ახსოვთ ეს საზე-  
 იმო რიტუალი. მომკიდნენ ყანას  
 და სანამ ლეწვას დაიწყებდნენ,  
 ყოველი მომკელი შინ ყანის ჯვარს მი-  
 იტანდა, დიასახლისი მოწიწებით  
 დაასვენებდა ამ ჯვარს და ამ  
 დღისთვის ნაზარდი მამალი გამო-  
 ჰყავდა. მას „ჯვრის მამალი“ ერქ-  
 ვა და მთელი წელი გამორჩეულად  
 უკლიდნენ.

შეიკრიბებოდნენ მომკელები თა-

# « ჯვრის მამლებს » აღარ კლავენ მომკელები... »



ვინათი „ჯვრის მამლებით“, არცთუ  
 ისე იშვიათად, ცხვარიც იკვლევო-  
 და და იწყებოდა „ჯვარიმამლობის“  
 დღესასწაული... სვამდნენ ღვთის  
 სამადლობელს, ერთმანეთს ხვა-  
 ბარაქას უსურვებდნენ...

– რამდენადაც ვიცი, მამა-  
 ლი არა მარტო მკის დღესა-  
 სწაულში ფიგურირებს...

– ასეა, ეთნოგრაფიული მასა-  
 ლებიდან (სადაც მამალი მეურნეო-  
 ბის მრავალ დარგს უკავშირდება)  
 დასტურდება, რომ მამლის კულტი  
 წარმართული რწმენა-წარმოდგენე-  
 ბიდან მოდის.

– წელიდან ახსენეთ, რომ  
 ქალებიც მონაწილეობდნენ მკა-  
 ში...

– და არა მარტო მკაში. მიწათ-  
 მოქმედებაში ქალის შრომა წამყ-  
 ვანიც კი იყო. თუნდაც ის პერიო-  
 დი ავიღოთ, როცა სარწყავი სისტე-  
 მები არ არსებობდა. კახეთში  
 გვაღვივანობის დროს გუთნით წყ-

ლის მოხვნა სცოდნიათ. გამოდიოდ-  
 ნენ თურმე ქალები, აუბამდნენ გუ-  
 თანს უღელს, თავად შეებმებოდნენ  
 უღელში და შევიდოდნენ მდინარე-  
 ში.

– ალბათ ხალხურ შემო-  
 ქმედებაშიც არის ასახული  
 ეს წეს-ჩვეულებები...

– ერთი ლექსი გამახსენდა,  
 ზუსტად წყლის გუთნით ხვნას  
 რომ ეხება. ნახეთ, რა საინტერესო  
 ფინალია:

... მიიხრის მისთვის ავღარი,  
 ეს საქმე ქვეყნის ფასია,  
 მიიხრდნენ დატალუღები,  
 შექუჩდნენ ბექის თავშის.  
 დეკანოზმ ქადა დაეჭრა,  
 მეტვინემ არაყ ასმია,  
 სამი ჩამოწვეს სანთელი  
 უფლისად ვედრინაშის.  
 ეხვეწებიოდნენ უფალსა,  
 გაგვხვიე წვიმის წყალშია...

– სხვაგანაც თუ ფიქ-  
 სირდება წყლის მოხვნის  
 წესი?

– ეს წესი ძირითადად, ბარ-  
 ისა და ზეგანის სოფლებში  
 ჰქონიათ.

ერთი ასეთი მაგიური ქმედ-  
 ბის შესახებაც შევიტყვე, რო-  
 მელიც ისევ ყანის მკას უკავ-  
 შირდება. თურმე სოფელ ჯუგაანში,  
 ყანის მომკელი საშუაოდ რომ მიდ-  
 იოდა, ფეხშიძე ქალი თუ დაინახ-  
 ავდა, ადვილი შესაძლებელი იყო, შუა  
 მკისას ხელი გასივებოდა და  
 აღარაფერი უშველიდა, თუ იმ ფეხ-  
 ძიძმესთან არ მივიდოდა. ქალიც  
 გასივებულ ხელზე სამჯერ დაად-  
 გამდა ფეხს და ხელიც დაცხრებო-  
 ღა...

ეს კი ნამდვილად მიწათმოქმედ-  
 ბის ადრეული ხანიდან მომდინარე  
 გადმონაშთია...

დღეს კახეთში ისევ თესვენ ხორ-  
 ბალს, უფრო ცოტას თესვენ ქართლ-  
 ში... მაგრამ რად გინდა. ქართულ  
 ხორბალს „ფასი აღარა აქვს“,  
 როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ,  
 უცხოურმა ფქვილმა წააღება  
 (ეკონომიკური ტერმინით – „გაა-  
 ჯერა“) ჩვენი ბაზარი...

... ვინ იცის, იქნებ ეს იმის ბრალ-  
 იცაა, „ჯვრის მამლებს“ რომ აღარ  
 კლავენ მომკელები. ■

### ელენე სალარიძე

სამშობლოში დაბრუნებულ საგანძურში, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა 23 წლის შემდეგ უკლებლივ ჩამოიტანა პარიზიდან, გამორჩეული ადგილი უკავია „ვეფხისტყაოსნის“ ორ ხელნაწერს. ეს ხელნაწერები ამჟამად საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.

თამაძე შეიძლება ითქვას, რომ არათუ საკუთრივ თითოეული წიგნი, არამედ ამ წიგნებში უხვად „მიმოფანტული“ თითოეული მინიატურაც კი ხელოვნების იშვიათი ნიმუშია.

თუმცა, მივყვით თავიდან.

მამუკა თავაქარაშვილი იმერეთის მეფის ალექსანდრეს მდივანი ყოფილა, დახვეწილი კალიგრაფი და მელექსე.

1634 წელს ქართველთა ურთიერთ-შებრძოლებისას მამუკა ოდიშის მთავრის ლევან მეორე დადიანის ტყვე ხდება. ოდიშის მთავარმა კარგად უწყობდა თავაქარაშვილის ოსტატობის ამბავი და მისი ბრძანებით მწიგნობარმა ორ თვეზე ოდნავ მეტხანში კიდევაც გადაწერა და კიდევაც დაასურათა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

— რითია გამორჩეული თავაქარაშვილის ნამუშევარი? — ამ კითხვით მივმართეთ ხელოვნებათმცოდნე ნანა ბილიშვიანს.

— თუნდაც იმით, რომ ეს საშუალო ფორმატის (27 X 19 სმ) წიგნი შემკულია 39 მინიატურით. ერთ-ერთ მათგანში თვით რუსთაველია შემოყვანილი, როცა ის „უკარნახებს მწერალს თავის პოემას“.

— საიდან ვიგებთ, რომ ეს თავაქარაშვილის ხელნერაა?



# საგანძურში გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“

— თვით ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნიდან“, რომლის დასასრულს კვითხულობთ ასეთ ანდერძს: „დიდება სრულმყოფელსა ღმერთსა, ყოველთა შემწემფარველთა. ვიწყე ეს ვეფხისტყაოსანი თიბათვესა ცამეტსა, სრულყვავ თვრამეტსა აკვიტოსა... თუ რამ აკლდეს, ნურავინ დამწყველით, ტყვეობაშიდ ვსწერდი. შიგნით ოცდაცხრა რვეული არის, ფურცელი ორასოცდა თორმეტი“.

— როგორ დაახასიათებდით თავაქარაშვილის „კალიგრაფობა-მხატვრობას“?

— ნაწერი მხედრულია, ასოები დიდი და დეკორაციულად გადაბმულია ურთიერთს. რაც შეეხება მინიატურებს, მეცნიერთა ერთი ნაწილი იმასაც ამტკიცებს, რომ იგი გადაწერს არ ეკუთვნის (თუმცა მე ამ აზრს არ ვიზიარებ). მაგრამ ვისი ხელიც არ უნდა იყოს, მინიატურები გამორჩეულია იმით, რომ მათში არ იგრძნობა ირანული მხატვრობის გავლენა, რაც ასე თვალში საცემია „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ხელნაწერებში. ამასთანავე, ილუსტრაციები ახლოს არის

ბეგთაბეგ თანიაშვილის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი გვერდი



მინიატურა მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნიდან“ (რუსთაველი უკარნახებს მწერალს თავის პოემას)

ხალხურ ხელოვნებასთან.

— რაში გამოიხატება ეს?

— თუნდაც იმაში, რომ ოსტატმა არ იცის სივრცობრივი ასახვა. ტარიელისა და ნესტანის ქორწილის სცენა აყირავებულია, ბანქოს ფიგურების გამოსახულების მსგავსად. ეს შეფერილი გრაფიკული ნახატები იმ პერიოდის ქართულ სინამდვილეს ხელისგულივით წარმოაჩენს. ვხედავთ, რა ეცვათ ჩვენს წინაპრებს, როგორ ნივთებს იყენებდნენ...

— საგანძურში „ვეფხისტყაოსნის“ მომდევნო პერიოდის კიდევ ერთი ხელნაწერიც ყოფილა...

— ეს მართლაც სამეფო ხელნაწერია. საგანგებოდ მდიდრულად მორთული წიგნი, რომელიც გიორგი XI-ის კარზე მოღვაწე კალიგრაფსა და კლიტორატორს თანიაშვილს, ბეგთაბეგ მდივანს შეუსრულებია 1680 წელს მეთვის დაკვეთით.

წიგნი ზომითაც სამეფოა (44,5 X 30 სმ)... და არა მარტო ზომით. ყოველი გვერდი ოქროსზოლიან ფერად ჩარჩოვებულია ჩასმული. ჩარჩოები კი მთლიანად ორნამენტით არის დაფარული. ეს არის სხვადასხვა ფორმის რტოები ფოთლებითა და ყვავილებით, ზოგან წეროვანია, ზოგან ლომები, ირმები და კურდღლები. ზოგან მთელი სცენებია, ზოგან კიდევ ცალკეული ფიგურები. დეკორაციულ-ორნამენტული რიტმი გამოკვეთილია.

— ვინ ითვლება ამ ე.წ. საპარადო მორთულობის ავტორად?


— საპარადო მორთულობანი ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია. იგი გადამწერს არ უნდა ეკუთვნოდეს, რის შესახებაც ხელნაწერში ჩართული ანდერძიც გვაუწყებს. მაგრამ, რაც მთავარია, ამ ნამუშევარს ქართულად ნათლავენ სპეციალისტები...

ხელნაწერში ბეგთაბეგი ხოტბას ასხამს მეფე გიორგი XI-ს, რომელმაც „წარბიგო მრავალი წარსაგებელი, ვითარცა საცნაურ ჰყოფენ თუალნი მხიარულთანი ხელოვნებასა ამის წიგნისასა და ენება, რაითამცა ფრიად კეთილ-შეგნიერ ყოფილიყო...“ ბეგთაბეგი იმაზეც წუხს, რომ მისი ხელნაწერი მთლად ისეთი ვერაა, პოემას რომ შეეფერება, მაგრამ ეს მშვენიერი მხედრულით ნაწერი (ნაწერი კი არა — დახატული) სტრიქონები დღესაც ალაფრთოვანებს მნახველს.





საჩხერის  
ძალოსანთა  
სპორტსკოლის  
დარბაზში



# გზა მიწისქვეშით დანგრეული დარბაზიდან მსოფლიო ჩემპიონის კვარცხლბეკად

ლევან ჯავახიშვილი

ბავშვობა

8 ნოემბერს თურქეთის ქალაქ ანტალიაში, ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში გიორგი ასანიძემ გაიმარჯვა და მოკრივე გიორგი კანდელაკის შემდეგ, მეორე სპორტსმენი გახდა, ვინც დამოუკიდებელი საქართველოს სახელით შესწავდა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულს.

1991 წლის 29 აპრილს დასავლეთ საქართველოში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომლის ეპიცენტრი საჩხერის რაიონში იყო. ძალოსანთა სპორტსკოლის დარბაზში, ის იყო, პატარა ბიჭებმა ვარჯიში დაასრულეს და დარბაზიდან გამოვიდნენ, რომ უმძლავრესმა ბიჭებმა მიწასთან გაასწორა შენობა. 17 წლის გიორგი ასანიძემ მეგობრებთან ერთად, ფეხად გამოასწორო.

დიდ სპორტსმენებს შორის ძალზედ ბევრია ხელმოკლე ოჯახის შვილი, რომელმაც კარგად იცის გაჭირვებული ცხოვრების ფასი. გიორგი ასანიძეც მათ შორისაა, ვისაც ღუხჭირი ბავშვობა და სიჭაბუკე აქვს გამოვლილი: ის რვაშვილიანი ოჯახის ნაბოლარა შვილია, რომელმაც მრავალსაათიანი, ზოგჯერ მშვიდ კუჭზე ჩატარებული ვარჯიშით, ტრავმებით, მარცხის სიმწარითა და წარმატების სიხარულით საუსვ წინააღმდეგობრივი გზა განვლო პერიფერიის სპორტული დარბაზის ფიცარნაგაიდან პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი ძალოსნის მწვერვალამდე.

გიორგი ასანიძე 1973 წლის 30 აგვისტოს დაიბადა. პატარა გოლიათი 5 კილოგრამს იწონიდა, იმთავითვე ღონიერი ბავშვი იყო. წამოიჩინა თუ არა, ძმამ – თომამ, კრივზე მიიყვანა, მაგრამ იქ დიდხანს არ დაუდგა გული: ჩხუბი და მუშტების ქნევა არ მოსწონდა – ვერც სხვას იმეტებდა გასალახად და არც ის ეჭამნიკებოდა, სხვებს რომ დაეღურებინათ მისთვის თვალები. გიორგის უფროსი დეიდაშვილი – გიზო გაბრიჭიძე ძალოსანი იყო. სწორედ მან გაუწია მეგზურობა მეოთხეკლასელ გიორგის ძალოსნობის სექციისში. გიზომ ჯერ თავად ასწავლა ძალოსნობის ანა-ბანა და მერე ჩინებულ სპეციალისტს – გოგი თოდაძეს გადაბარა, რომელმაც არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღუზარდა საქართველოს.

გამოცდილი მწვრთნელი უმაღლე მხვდა, რომ ნამდვილ ტალანტთან ჰქონდა საქმე და მისთვის ვარჯიშის ინდივიდუალური გეგმა შეიმუშავა. მწვრთნელის გამორჩეულ ყურადღებას ახალგაზრდა სპორტსმენის დიდი წარმატება მოჰყვა: ყრმობის წლებში საქართველოს მასშტაბით რისი მოგებაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი მოიგო პატარა გიორგიმ.

**გოგუცა ასანიძე**, გიორგის დედა: – შრომისმოყვარე, მუყაითი და ინტერესიანი ბავშვი იყო, სწავლითაც კარგად სწავლობდა. მიწისძვრამ სახლი დაგვინგრა და 17 წლისა იყო, საკუ-

თარი ხელით რომ ააშენა მორბილი ქოხი. იმ ქოხშივე დავაუკაცდა ჩემი ვია. ჩემი 2 ბიჭი აფხაზეთში იბრძოდა და იმ დროს ვია იყო ოჯახში ერთადერთი კაცი – დედა ენაცვალის, გაუძლო ამ ტვირთს. რა დასამალია და, გაჭირვება დღეს რაღა დასადრახია – მთელ ქვეყანას უჭირს და ჩვენ, მიწისძვრით დანგრეულ ოჯახს, მით უმეტეს, გვიჭირდა. ძალიან ხშირად, ცარიელი პურიითა და ტყეშილით დანაყრებული ან სულაც მშვიერი წასულა ვარჯიშზე... საბედნიეროდ, დარბაზი ჩვენს სახლთან ახლოს იყო, თორემ ვზის ფულს ვინ მისცემდა?! მოკლედ, ყველაფერი აკლდა ჩემს ვიას, მაგრამ რწმენა არასდროს დაუკარგავს. ამან გააძლგინა, ამან მიიყვანა დიდ სპორტში – რწმენამ გაამარჯვებინა.

გოგი თოდაძემ, რაც იცოდა, ყველაფერი ასწავლა გიორგი ასანიძეს, მაგრამ ბიჭი უკვე ისეთ მწვერვალს ეპოტინებოდა, იქ მეგზურობას ვეღარ გაუწევდა ბატონი გოგი და ალაღად უთხრა ნიჭიერ შეგირდს: რაც ვიცოდი, ყველაფერი უკვე გასწავლე, რაც მქონდა – გადმოგეცი, აწი სხვა მწვრთნელი გჭირდება – ჩემზე გამოცდილი, რომელიც დიდ გამარჯვებას მოგაპოვებინებს... გოგი თოდაძის ეს ნათქვამი დღესაც სიტყვასიტყვით ახსოვს გიორგის. ბავშვობის მწვრთნელმა გიორგი, ვანო გრიჭუროვს მიაბარა – გამოცდილ მწვრთნელს, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის – კახი კახიაშვილის

აღმზრდელს, რომელიც ჯერ არ იყო წასული უცხოეთში.

**დიდი გამარჯვება და დიდი მარცხი**

გიორგი ასანიძე თბილისში ჩამოიყვანა ვანო გრიჭოროვა, ძალოსნობის ფედერაცია, რითიც შეეძლო, შეეწია. ფედერაციის პრეზიდენტი **რამაზ გურბენიძე** ივონებს: „ნიჭი და შრომისმოყვარეობა რომ არ აკლია კაცს, ის ბევრს მიაღწევს. ამიტომაც არ გამკვირვებია მისი წარმატებები. თბილისში რომ ჩამოვიდა, ახალი მოშუშებული ჰქონდა ტრავმა. ცოტა ხანში ვარჯიში დაიწყო და მალე, ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, მეორე წელს კი ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ნათელი იყო, რომ აწი ვაი ასანიძეს წინ ველარაფერი დაუდგებოდა – ნიჭს, შრომისმოყვარეობას და მტკიცე ხასიათს ვერაფერი დააკავებს“.

ღიას, 1995 წლის მაისში გიორგი ასანიძემ მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო პოლონეთში, მაგრამ ვაი, ასეთ ჩემპიონობას – კინაღამ სპორტული კარიერის ფასად დაუჯდა ეს გამარჯვება. სწორედ ამ ჩემპიონატზე, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ სპორტსმენთა ორგანიზმში სტიმულატორის (დოპინგის) აღმოჩენი ახალი აპარატურა გამოიყენა. ექსპერიმენტმა ყველას თავზარი დასცა: ჩემპიონატის თითქმის ყველა მონაწილეს სისხლში აკრძალული პრეპარატები აღმოაჩნდა. თავად მსოფლიოს ძალოსნობის „მაშობიც“ კი გაოგნებულნი იყვნენ – არ ელოდნენ ასეთ თავზარდამცემ შედეგს, მაგრამ უკან დასახევი გზა თავად მოიჭრეს, დამნაშავენი უნდა დასჯილიყვნენ: სპორტული მასმედია, საზოგადოება და თითო-ორი უღობივოდ მოასპარევე სპორტსმენი პასუხს ითხოვდა. ძალოსნობის ფედერაციამ უმკაცრესი გადაწყვეტილება

**გიორგი ასანიძე და კახი კახიაშვილი**



მიიღო: 43 ახალგაზრდა, დიდი სპორტის კარიბჭესთან მდგომ ძალოსანს საბუღალბო დისკვალიფიკაცია მიუსჯა.

იმ 43 დასჯილს შორის ქართველი ვაი ასანიძეც იყო: „კაცის მკვლელებს 10 და 12 წლიან პატიმრობას უსჯიან, მე კი „პატიზნენი“ მომისაჯეს – აბა, ეს სამართალია?!“ – ხუმრობს ამ ამბის გახსენებაზე გიორგი, მაგრამ მაშინ სახუმაროდ ნამდვილად არ ჰქონდა საქმე: ბავშვობიდან ნალოლიაევი ოცნების კოშკი ენგრეოდა.

**რამაზ გურბენიძე:**

– სტიმულატორის გარეშე ნორმალური ორგანიზმი ვერ გაუძლებს იმ დატვირთვას, რაც თანამედროვე ძალოსნებს აქვთ. რა თქმა უნდა, სირაქლემას პოზაა, როცა ვამბობთ, რომ უღობივოდ ვინმემ ევროპისა თუ მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. თავზარდამცემი იყო ეს ამბავი ჩვენთვის. ყველაზე მეტად, ვაი განიცდიდა მომზდარს, მაგრამ მაინც არ გატყდა – ვარჯიში ერთი დღითაც არ შეუწყვეტია.

გიორგი ასანიძის ადგილას ბევრი ხელს ჩაიქნედა, სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს. ლოგიკურად იქნებოდა – იმედი თითქოს გადაწურული იყო, მაგრამ მას რაღაც აუხსნელი რწმენა ჰქონდა და თავისნაირი ფანატიკოსი – ვანო გრიჭოროვიც უმაგრებდა ზურგს – ამხნევებდა, აიძულებდა, უწონებდა იმას, რომ გიორგი კვლავ ისე შეუპოვრად განაგრძობდა ვარჯიშს, თითქოს ხვალ-ხვდ მსოფლიო ჩემპიონატზე სასპარეზოდ უნდა გასულიყო...

**თია კობუა,** გიორგი ასანიძის მეუღლე:

– დისკვალიფიცირებული რომ იყო, სწორედ მაშინ შევუღლდით. ზოგი ჭირი მრგებელიაო, ისე გამოვიდა: მხოლოდ მაშინ მოიცალა საკუთარი თავისთვის ვაიმ. ძალიან ვანიცდიდა, მაგრამ გულისტ-

კივილს არავის უმხელდა – შრომაში, ვარჯიშში იკლავდა ბოლმას. იმ პერიოდში წავიდა ვანო გრიჭოროვი პოლონეთში საბუშაოდ, იქიდან ურეკავდა, ამხნევებდა, ეუბნებოდა – ვარჯიშს თავი არ დაანებო... ყველაზე მეტად, მაინც კახი კახიაშვილი დაუდგა ამ გაჭირვებისას გვერდით. თავადაც სპორტსმენს, კარგად ესმოდა ვაის ტკივილი. კახიმ და ვანომ გადაატანინეს ის მძიმე დღეები. კახი ყოველი დარეკვისას უმჯობრებდა: ვაი, რაღაც შეიცვლება, დისკვალიფიკაციას მოგიხსნიან, არ შეიძლება 43 კაცი ერთად გაწირონო. თუ კარგად არ იცნობდი, ვერ მიხვდებოდი, რამხელა დარდს ატარებდა ვაი გულით. მერე ხელფასიც მოუხსნეს. ჯერ რას შოულობდა სპორტით და ისიც აღარ გვქონდა. ისევ კახი შეგვეწია – ფულსაც უგზავნიდა საბერძნეთიდან. ასე, კახის დახმარებითა და სასწაულის მოლოდინით ვაგვქონდა თავი.

სასწაულს ელოდა გიორგი ასანიძე და მოხდა კიდევ ეს სასწაული: 1997 წლის მიწურულს ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ, 43 ახალგაზრდა ძალოსანი შეიწყალა და დისკვალიფიკაცია მოუხსნა. გიორგი ასანიძეს 2 წელი გაუცდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ცხოვრების მიზანი დაუბრუნდა. გაათქვებული ენერგიით დაიწყო ვარჯიში და რამდენიმე თვეში – 1998 წლის აპრილში ევროპის ჩემპიონიც გახდა! იქვე, სლოვაკეთში მსოფლიო რეკორდიც დაამყარა ატაცში. იმავე წელს საქართველოს საუკეთესო სპორტსმენადაც დაასახელეს.

**ეს უკაცი ნორმალურიია?**

სიღნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე გიორგი ასანიძე საჩემპიონოდ გაემგზავრა. მისი მთავარი კონკურენტი, ალბანელი ბერძენი – პიროს ღიმასი იყო. ორივემ წარმატებით გადალახა წინასწარი ზღუდეები, მათ გერმანელი მარკ ჰუსტერი შეუერთდა და ამ სამეულმა განაგრძო ოქროს მედლისთვის ბრძოლა. ასანიძე დაწინაურდა, ის 2,5 კგ-ს უგებდა ჰუსტერს, მრისხანე ღიმასს კი 5 კგ-ს. აქცენტი ღიმასზე ჰქონდა გადატანილი, რადგან მას წინა 2 ოლიმპიადა ჰქონდა მოგებული და სიღნეიმიც გამარჯვების პრეტენზიას აცხადებდა. აკრაში, ბოლო ცდაზე, გიორგი 215 კგ-ს შეეჭვია. თუ ამ წონას დაძლევა, ჩემპიონი ხდებოდა, რადგან ვერც ღიმასი, ვერც, მით უმეტეს, ჰუსტერი ვერ დაეწეოდა – ბერძენს 211,5 კგ-ზე მეტი ჯერ არასდროს არ აეკრა. ქართველი ვაბანკზე წავიდა – 215 კგ! უარეს შემთხვევაში, „ბრინჯაო“ მაინც მისი იყო... ასეც



მოხდა! რეკორდული წონა ვერ ასწია – ხელის ერთი გაშლად დააკლდა ჩემპიონობამდე. დიმასსა და ჰუსტერს რეკორდისთვის აღარც უწვავლიათ – მათ 210 კგ ასწიეს და ორივემ გაასწრო ასანიძეს: დიმასმა მესამედ მოიგო ოლიმპიადა, ჰუსტერს ვერცხლის მედალი ერგო, ასანიძე კი „ბრინჯაოს“ დასჯერდა.

რა მოხდებოდა, ასანიძე 215 კგ-ს კი არა, უფრო მცირე წონას რომ შესჭიდებოდა და დაეძლია იგი? რატომ გარისკა, რატომ გაუშვა ჩემპიონობის შანსი ხელიდან? ხომ არ იჩქარა 215 კგ რომ შეუკვთა? „არა, ასე იყო საჭირო და ამიტომაც 215 კილოს შევეჭიდე, – სინანულით მიეყვება გიორგი. – სხვა სხვის ომში ბრძენიარ, – ნათქვამია. ეს ახლა გაირკვა, რომ სჯობდა, ნაკლები ამეწია – ვთქვათ, 212,5 – და ჩემპიონობის მეტი შანსი მექნებოდა, მაგრამ მაშინ მე და ვანო გრიჭუროვი სხვაგვარად ვხედავდით. ახლა ამაზე აღარც ღირს ლაპარაკი. გადაბრუნებული ურემივითაა ეგ საქმე და რას მოგვიტანს არითმეტიკის წაღმა-უკუღმა ტრიალი? 215 კილო რომ დამეძლია, ყველაფერი თავის ადგილზე იქნებოდა, მაგრამ სპორტი სპორტია – რა მოხდა? – წაგაგე, თანაც ისეთ დიდ ძალოსნებთან, როგორებიც დიმასი და ჰუსტერი არიან“.

ღიახ, ერთი ღონიერი აკვრა, ერთი ხელის გაშლა დააკლდა გიორგი ასანიძეს ოლიმპიურ ოქროს მედალამდე და

ამის მიზეზი პატარა საიდუმლოც არის. თურმე რაც მოიგო, ისიც არ უნდა მოეგო ასანიძეს – თუკი ძალოსნობაში კანონზომიერება არსებობს: 16 წლისა იყო გიორგი, როცა ხელის მძიმე ტრავმა მიიღო, რომელიც წლების მანძილზე აწუხებდა. ახლა კი გაიკეთა ოპერაცია და შეება იგრძნო, მაგრამ საკვირველი ის იყო, ეს ბიჭი აქამდე საერთოდ როგორ ახერხებდა, თუნდაც საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებას. ამ უცნაურობაში დღემდე ვერც გიორგის ბიძაშვილი და ბავშვობის დროინდელი მწვრთნელი გიზო გაბრიჭიძე გარკვეულა.

**ბიზო გაბრიჭიძე:**

– როცა აკვრისას ძალოსანი შტანგას მკერდზე დაიდებს, მთელი სიმძიმე მკერდზეა და სიმძიმის ცენტრი კი ქუსლებზე გადადის, ამიტომ ძალოსანს უძლიერესი მუხლი უნდა ჰქონდეს, რომ გაუძლოს დიდ წონას და მერე თანაბრად გაანაწილოს მთელ სხეულზე. ასეთ შემთხვევაში კი, ხელებს ნაკლები დატვირთვა აქვს – მთავარია, შტანგა შეიმავრო ხელით, მაგრამ თვით აკვრისას მკერდისა და ხელის ერთდროული მოძრაობით ხდება შტანგის საბოლოოდ აწევა. ამ დროს გიორგის სიმძიმის გადატანა ნაწილობრივ, მარცხენა ხელზე უწევს, რადგან ტრავმირებული მარჯვენის გამო, აკვრისას მკერდს ვერ მიაღებენ ისე, როგორც საჭიროა. წარმოიდგინეთ, გიორგის რა ძალა აქვს იმ ნატეკნ ხელშიც, რომ ამდენს მიაღწია – ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები მოიგო. ძალოსნობის წეს-კანონის თანახმად, გიორგის ძალოსნობაში არაფერი უნდა ესაქმებოდეს...

**ოჯახი**

ცხოვრებამ თავიდანვე დამოუკიდებლობას შეაჩვია გიორგი ასანიძე. სხვისი მოიძევე არასდროს ყოფილა, სატეკივარს თავადვე დაიამებდა და იქით გაუმართავდა ხოლმე ხელს გაჭირვებულს.

**ბობუცა ასანიძე:**

– ჯიუტი არ არის, მაგრამ რასაც იტყვის, აუცილებლად აისრულებს. არც თავნებაა, თუმცა, ჭკუას სხვას არ დაეკითხება, თავად ჭრის და თავადვე კერავს... ცოლი ისე შეირთო, ბაბუურშიც არ ვიყავი. საჩხერეში, ახალი სახლი უკვე ამუშავებული ვქონდა, როცა თბილისიდან ჩამოვიდა და ვიდაც ვოვო მომაყენა კარზე. გამაცნო – ეს თეა არისო. მომესმა, თეა „დედას“ მეძახდა. ვინ არის ვეა, ეს უცხო ქალი, ასე გულანად რომ მეძახის დედან-მეთქი? – შევეკითხე. მერეღა მითხრა – დედა, ცოლი მოვიყვანეო... მუყაითი

შვილი მყავს და არც მიკვირს, მისი გამარჯვების ამბავს რომ ვეგებულობ. გიორგის შტანგის მეტი არაფერი ახსოვდა, არც სიგარეტისკენ გაუხედავს, არც სასმელს მისძალეობა. მიზანდასახული იყო მუდამ. 8-9 წლისა იქნებოდა, როცა ბიძამისი ბიჭიკო ეუბნებოდა – დაანებე, ბიძია, მაგ შტანგას თავი, სად გინახავს რეინეულობით ამუშავებული კაციო?! არ ეპუებოდა ვეა. თავდაჯერებული ეუბნებოდა: პატარა მაცალე, ბიჭიკო ბიძია, აი, ყურნალისტები რომ „გამწერენ“ გაზეთში – ვეა ასანიძე ჩემპიონი გახდაო, – მერე ვილაპარაკოთო... ისე ავიხდეთ ყველა სიკეთე, როგორც ჩემს გიორგის აუცხადდა ეს ყველაფერი.

ცოლი 3 კვირის შერთული ჰყავდა, როცა 8 თვით გაემგზავრა ხანგრძლივ შეკრებაზე პოლონეთში. თავლობის თვე ძალოსნობის დარბაზში გაატარებინა ვანო გრიჭუროვმა... სხვა დროსაც, შეჯიბრებებზე წასულს, ხშირად გაჰყოლია ოჯახის დარდი. შვილები – მარიამი და კახი, ხშირად ვერც ცნობდნენ საკუთარ მამას. „დედიკო, ვინ არის ეს ბიძია?“ – ხშირად უკითხავს მარიამს თეასთვის, როცა ხანგრძლივი შეკრებიდან დაბრუნებული გიორგი შვილს ჩაიკრავდა გულში...


ახლა, როცა ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის ცხოვრების ძირითადი მომენტების შესახებ ვიამბეთ, თავად **გიორგი ასანიძესაც** ვაგვსაუბროთ.


– გიორგი, გილოცავთ მსოფლიო ჩემპიონობას. რას იტყვით, როგორი სატარებელია ეს ტიტული?

– დიდი მადლობა. ტვირთად მძიმე სატარებელია, მაგრამ სასიამოვნო ტვირთია. ისე, მძიმე ტვირთის ტარება ჩემი საქმეა – ძალოსანი ვარ და ამასაც იოლად გაუძლებ (იცინის). სიმართლე ვითხრათ, ჯერ ისევე ეიფორიაში ვარ.

– ახლა პიროს დიმასმა სხვა წონაში გადაინაცვლა და ანტალიაში მასთან ჭიდილი აღარ მოგიწიათ. ამან, ალბათ, გაგიიოლათ გამარჯვება...

– მსოფლიო ძალოსნობაში სულ 3 კაცი შესწავლა სამეზის ოლიმპიურ ჩემპიონობას: ნაიმ სულეიმან ოღლუ, კახი კახიანიშვილი და პიროს დიმასი. აბა, რა გასაკვირია, რომ დიმასი ყველა ძალოსნისათვის მუდამ უმთავრესი კონკურენტი იყო ჩემს წონაში? თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ანტალიაში მასთან ჭიდილის შემთხვევაში, მე წაგაგებდი: გავითვალისწინე სიდნეის ოლიმპიადაზე დაშვებული შეცდომები, მზად ვიყავი დიმასთან საბძოლველადაც. რა ჩემი ბრალია, რომ





სიდნეის პედეგალზე: მარკ ჰუსტერი, პიროს დიმასი და გიორგი ასანიძე

წონა შეიცვალა და ნებით შეყო თავი „ლომის ხასაში“ — კახი კახიაშვილის წონაში გადავიდა!.. ისე კი, რა თქმა უნდა, დიმასის არყოფნა, შეღავათიც იყო ჩემს წონაში მოსაპარეზე ყველა ძაღლისნისთვის.

— ალბათ, თქვენი გამარჯვების პირველი მოზარე ვანო გრიჭოროვია...

— რასაკვირველია, ეს ოქროს მედალი თანაბრად გვეკუთვნის მე და ვანო გრიჭოროვს. წარსულსაც თავი დავანებოთ და ამ ჩემპიონატისთვის თითქმის 2 თვე პოლონეთში, ბატონ ვანოსთან ვემზადებოდი. მსოფლიო ჩემპიონატის მოგება დავისახეთ ორივემ მიზნად და კიდეც მივაღწიეთ ამას.

— გიორგი, სიდნეის მსგავსად, ვერც ანტალიაში დაძლიე 215 კილოგრამი, არადა, მაშინ შეუძვეთე ეს წონა, როცა უკვე მსოფლიო ჩემპიონი იყავი. რატომ გაისარჯე ტყუილად?

— რატომ ტყუილად? მართალია, უკვე მსოფლიო ჩემპიონი ვიყავი, მაგრამ რომელ სპორტსმენს არ უნდა, უფრო მაღალი მწვერვალი დაიპყროს? 215 კილოს თუ დავძლიედი, აკვრამი მსოფლიო რეკორდს დავამყარებდი. სამწუხაროდ, ვერ აწვიე, მაგრამ ეგ არაფერი — არსად გამეცქევა...

— პირველმა ვინ მოგილოცათ მსოფლიო ჩემპიონობა?

— ჯერ შტანგა არ მქონდა ფიცარნაზე დადებული, რომ კახი კახიაშვილმა დამირეკა საბერძნეთიდან, მერე სპორტულმა ჟურნალისტმა ირაკლი თავაძემ დამირეკა, მომილოცა და ინტერვიუ მივეცი. გამისარდა, რომ ჟურნალისტები ასე ოპერატიულად შემომხმანინენ. მერე თბილისიდან მეგობრებმა, ოჯახის წევრებმაც დამირეკეს.

— გიორგი, ბავშვობაში რა პროფესიაზე ოცნებობდი?

— ექიმი მინდოდა გამოვსულიყავი. ბავშვობაში ყველას ეშინია ექიმისა — მეც თეთრ ხალათს ჩავიცვამდი და უბან-

ში თანატოლებს დავერეოდი ხოლმე — ექიმი ვარ, ნემსი უნდა გაგიკეთოთ-მეთქი...

— გამოდის, ეგ ოცნება ვერ აისრულე. კიდეც რომელი ოცნება დაგჩნა აუხდენელი?

— რატომღაც, აკვიატებული მქონდა: რომ გავიზრდები, 10 მილიონი დოლარი მინდა მქონდეს-მეთქი — არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად 10 მილიონს „მოვითხოვდი“. მოდიოთ, ამ ოცნებას აუხდენელს ნუ ვუწოდებთ — ცხოვრება წინ არის, ყველაფერი ხდება...

— ყველაზე დიდ ძაღლსად ვის მიიჩნევთ?

— წელანაც მოგახსენეთ — მსოფლიოს 3 უდიდესი ძაღლსანი ჰყავს — ნაიმ სულეიმან ოღლუ, კახი კახიაშვილი და პიროს დიმასი. ამ სამიდან ჩემთვის ყველაზე დიდი — კახია!

— ოდესმე მარცხის გამო თუ გიტირია?

— კი, ადრე, რამდენჯერმე მიტირია — ბავშვობასა და სიჭაბუკეში. ახლა აღარ შემიფერის.

— მარცხის დროს როგორ ამჟღავნებ ხოლმე მწვავე რეაქციას?

— ქართული ხასიათი მაქვს: როცა ძალიან ვბრაზდები — ვივინები, ოღონდ მეტოქეს კი არ ვავინებ — ისე, უმისამართოდ ვივინები...

— გამოორჩეულად, რომელი დღესასწაულის მოსვლა გახარებს ხოლმე?

— აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისა! 6 წელია, უცხოეთში მიწვევს სააღდგომოდ ყოფნა — მუდამ ევროპის ჩემპიონატის წინა პერიოდი ემთხვევა აღდგომის დღესასწაულს და იმ დროს შეკრებებზე ვარ. გული მწყდება ყოველთვის, რომ იმ დროს ჩემიანებთან ერთად არა ვარ.

## მთნფთია ულრი გახდა

სამხრეთამერიკული გაზეთების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცნობილი კოლუმბიელი ავტომობილელი სუან-პაბლო მონტოია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ულრი გახდა ბოგოტაში და ამ მხრივ ისეთ ცნობილ ადამიანებს ამოუდგა გვერდში, როგორებიც არიან: მოჰამედ ალი, რონალდო, მაიკლ ლუგლასი, დენი გლოვერი და ჯერი ჰოლიუელი. მონტოიას კოლუმბიელი ბავშვების მწვავე პრობლემების გადაწყვეტა დაეკისრება. „ჩემთვის დიდი პატივია სამშობლოს სამსახურში ყოფნა, — განაცხადა მონტოიამ. — მომიშვილე ბავშვების დახმარება ჩემი მოკრძალებული წვლილი იქნება ამ საქმეში. ბავშვებზე ზრუნვა ჩვენი მოვალეობაა — ეს ხომ ჩვენი მომავალია“.



## გუსტავოსონი სპორტიდან წაუდია

შვედმა ჩოგბურთელმა მაგნუს გუსტავოსონმა სტოკჰოლმში გამართული მეორე წრის მატჩის ჩატარების შემდეგ, საკუთარი სპორტული კარიერის დასასრულის შესახებ განაცხადა. ამჟამად 34 წლის მაგნუსი მსოფლიო საჩოგბურთო რეიტინგში 69-ე ადგილზეა. ერთ დროს მსოფლიოს ათეულში მყოფმა შვედმა ჩოგბურთელმა თავისი ბოლო გამარჯვება შარშან ამსტერდამში მოიპოვა. მთელი კარიერის მანძილზე გუსტავოსონს მაღალი რანგის 14 ტურნირი აქვს მოგებული.



# დიგა წაუიდა... ვინ გახდება ახალი „მეფე“?

GRACIAS DIEGO POR TODO TU FUTBOL

როგორც ცნობილია, ბუენოს-აირესის „ბომბონერას“ სტადიონზე დიეგო მარადონა ოფიციალურად გამოემშვიდობა დიდ ფეხბურთს. მსოფლიოს მრავალ კუთხეში, ტელეეკრანებთან მჯდომი ათეულობით მილიონი ადამიანის თვალწინ დიეგო ცრემლებს ვერ იკავებდა და „ბომბონერაზე“ შეკრებილ თაყვანისმცემლებს, მთელ არგენტინელ ხალხს გულწრფელ მადლობას უხდიდა იმ დიდი სიყვარულისთვის, რომელსაც იგი თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე და კრიტიკულ მომენტებშიც ყოველთვის გრძნობდა. ვუყურებდით ამ ტანმორჩილი, ჩამრგვალებული, ემოციური კაცის ქვითინს და თვალწინ გვიდგებოდა მთელი მისი სახელოვანი ბიოგრაფია – აღმაფრენითა და დაცემით, სკანდალებითა და, რა თქმა უნდა, იმ დიდი საფეხბურთო სპექტაკლებით საესე, რომელიც დიეგომ სამასწოროდ დაუტოვა თავის მილიონობით თაყვანისმცემელსა და საერთოდ, დიდი ფეხბურთის ისტორიას.

მოუწესრიგებელი და ბავშვით გულჩვილი, ლოველასი და, ამავე დროს, ცოლშვილის დიდი მოსიყვარულე, ნარკომანი და სკანდალისტი... ამ და კიდევ, უამრავი



დიეგოს ქალიშვილები – ჯანინა და ლალმა მიაცილებენ

სხვა წინააღმდეგობრივი ეპითეტით ამკობდნენ დიეგოს პერსონას, მაგრამ არსებობს ერთი განსაზღვრება, რომელიც მთლიანად ჩრდილავს არგენტინელი სუპერვარსკვლავის ყველა დანარჩენ თვისებას: „ფეხბურთის მეფე“. ამ სიტყვის წინაშე ყოველთვის უსახური იქნება დიეგოს ოპონენტთა ნებისმიერი შეფასება.

როდესაც სამოცდაათიან წლებში ასევე „ფეხბურთის მეფედ“ წოდებული პელე, დიდ სპორტს გამოემშვიდობა, ყველა ელოდა ისეთი ვარსკვლავის გამოჩენას, რომელიც ღირსეულად დაიკავებდა „გათავისუფლებულ ტახტს“. ღირსეული მემკვიდრე – დიეგო არმანდო მარადონა მალე გამოჩნდა... „მე მივიღივარ, მაგრამ ფეხბურთი გაგრძელდება...“ – განაცხადა თავისი გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ მარადონამ. დიას. „მეფე“ წავიდა და „საფეხბურთო მონარქის ტახტი“ კვლავ

თავისუფალია... მაშ, ველოდოთ ახალი „მეფის“ გამოჩენას.

P.S. დიეგოსადმი დიდი პატივისცემის ნიშნად, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ამიერიდან ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში 10 ნომრიანი მაისურით აღარავინ ითამაშებს. ■



**მარადონა და მათეუსი – მსოფლიოს ორი ჩემპიონი. მოედანზე ყოველთვის მეტოქეები იყვნენ, მის გარეთ კი – გულითადი მეგობრები**



იუზენ სერენდონი იმ მსახიობთა რიგს არ მიეკუთვნება,

რომლებიც ჰოლივუდის ვარსკვლავის ტიტულის მოსაპოვებლად, ათასგვარ ხრიკს მიმართავენ. ფული და პოპულარობა სიუზენს მუდამ თან სდევს, მაგრამ მის საძიებლად თავად რომ გაეშუროს, საამისოდ მსახიობს ძალზედ დიდი სტიმული სჭირდება. 50 წელს გადაცილებული ლამაზმანით ჰოლივუდის გაოცება რთულია, მაგრამ საოცარი ის არის, რომ სერენდონი ყოველწლიურად სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს რეჟისორებში: იმ დროს, როცა ბევრი სხვა მსახიობი, უმეტეს დროს წარსული დიდების მოგონებებს უთმობს, სიუზენი სამუშაოს ვერ აუდის და გამუდმებით არჩევანის წინაშეა.

ვინც სიუზენ სერენდონს კინოკარიერის დასაწყისში იცნობდა, ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ იგი 1980-იანი წლების წამყვანი ამერიკელი მსახიობი გახდებოდა. სიუზენი მსახიობობას არც აპირებდა, ის სამართლიანობისთვის ბრძოლითა და მსოფლიოში მშვიდობის დამყარების პრობლემებით იყო გატაცებული.

სიუზენ ტომალინგი 1946 წელს ჭემ-მარიტი კათოლიკეების ოჯახში დაიბადა და 9 და-ძმას შორის უფროსი იყო. გოგონა საეკლესიო სკოლაში სწავლობდა, ღვთის მოშიშობითა და კარგი ქცევით გამოირჩეოდა. უფროს კლასებში ჩვეულებრივ სკოლაში გადავიდა და ბევრი ახალი რამ აღმოაჩინა: მიუხედავად იმისა, რომ მისი თანაკლასელი გოგონები მოკლე კაბებს იცვამდნენ, რელიგიურობით არ გამოირჩეოდნენ და მშობლებსაც ხშირად ატყუებდნენ, მათ ღვთის რისხვა არასოდეს დასტეხიათ თავს. ერთ-ერთი მორიგი აღსარების დროს ის მოძღვარს გამოუტყდა, რომ ღმერთმა მის თვალში ხიბლი დაკარგა. სულ მალე კი შინ მოკლე კაბით, მაღალყელიანი ჩექმითა და გახვრეტილი ცხვირით გამოცხადდა. „ღმერთი უარესი ქმედებისთვისაც კი არავის სჯის“ – უთხრა გოგონამ გაოგნებულ დედას. გამოსაშვებ კლასში



**მის**  
**მოსახელთაზლად**  
**ნაჟისორები**  
**ნივში**  
**ღებია...**

ის ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო აქციებში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს. სკოლის დირექტორმა უწინასწარმეტყველა, რომ ის სიცოცხლეს ციხეში დაასრულებდა. მიუხედავად ამისა, სიუზენმა სკოლა ბრწყინვალედ დაამთავრა და ვაშინგტონის კათოლიკურ უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა, სადაც დრამას, ინგლისურს, ფილოსოფიას და სამხედრო სტრატეგიასაც კი სწავლობდა. 1969 წელს სამსახიობო ფაკულტეტის თანა-

ტოლ სტუდენტს კრის სერენდონს გაჰყვა ცოლად. ერთხელ, სიუზენი ქმარს რეჟისორ ჯონ ევილდსენის ფილმის – „ჯოს“ სინჯებზე გაჰყვა. დიდი წინააღმდეგობის შემდეგ ქმარმა სიუზენი დაიყოლია და შემოთავაზებულ სცენაში საპასუხო რეპლიკები წააკითხა. გაღიზიანებულმა ქალმა იმდენად დამაჯერებლად წარმოთქვა სახლიდან გაქცეული გოგონას სიტყვები, რომ რეჟისორმა იგი უყოყმანოდ





ჯულია რობერტსთან ერთად ფილმში „დედინაცვალი“ – 1998 წ.



ბრუკ შილდსთან ერთად ფილმში „შესანიშნავი ბავშვი“ – 1978 წ.



„კლიენტი“ – 1994 წ.



ჯინა დევისთან ერთად ფილმში „ტელმა და ლუიზა“ – 1991 წ.

დაამტკიცა როლზე. 1970 წელს გამოსული ფილმი ძალიან პოპულარული გახდა, სიუჟენმა კი უამრავი მიწვევა მიიღო. მართალია, ზოგ წინადადებას სერენდონი დათანხმდა, მაგრამ რეგულარული გადაღებების დროსაც კი, უწინდებურად არ მიიხვედნა მსახიობობას სერიოზულ საქმედ. 1975 წელს ორმა ფილმმა სრულიად შეცვალა კინოს მხარე სიუჟენის არასერიოზული მიდგომა: ერთ ფილმში მისი პარტნიორი რობერტ რედფორდი იყო, მეორეში კი, სიუჟენი თამაშობდა ქალს, რომელსაც ტრანსვესტიტი მოხიბლავს. „მანამდე როლზე მუშაობისას, მხოლოდ ჩემს ბუნებრივ მონაცემებს ვიყენებდი, იმ ფილმების გადაღებისას კი, მივხვდი, რომ მუშაობა იყო საჭირო, – იხსენებს მსახიობი. – ყველაზე ძნელი, თანდაყოლილი სიზარმაცისა და შიშის დაძლევა აღმოჩნდა. ამ დროს მთავარია, ზურგი კი არ შეაქციო შიშს, არამედ ღრმად ჩასწვდე მის არსს, მიხვდე, რას უფროთხი და დაძლიო შიში“.

მიუხედავად ამისა, სიუჟენს მოშიშშილე ბავშვების პრობლემა და მშვიდობის დაცვის კომიტეტში მუშაობა ბევრად უფრო იზიდავდა. ერთ-ერთი „ცხელი წერტილიდან“ დაბრუნებულმა სიუჟენმა, ქმარს განქორწინება მოსთხოვა. იმ დროისთვის ის სრულად შეპყრობილი იყო ფემინიზმის იდეებით. „ქორწინება, – განუცხადა მან ქმარს, – ღმერთის სახელით მოვინიღი კიდევ ერთი

ტყუილი, ქალის დამონებისა და სიცრუის დაკანონების საშუალებაა“. ეს მამაკაცებთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტას როდი ნიშნავდა. სიუჟენის მიერ მოხიბლულთა სიაში არიან კევინ კოსტნერი, რიჩარდ გირი და ქალზე 14 წლით უმცროსი შონ პენიც კი. მაგრამ ერთადერთი მამაკაცი, რომლის გამოც სიუჟენი თავისი პრინციპების დათმობასაც დათანხმდა, ფრანგი რეჟისორი ლუი მალი გახდა. სერენდონმა მის ორ ფილმში – PRETTY BABY და ATLANTIC CITY – მიიღო მონაწილეობა. ლუიმ სიუჟენს ქალურობის გამჟღავნება, მოხდენილად ჩაცმა და სიყვარულით ტკობა ასწავლა და... სხვა ქალზე დაქორწინდა. ტკივილის დასაძლევად სერენდონმა, მოშიშშილე ბავშვების დახმარების მისიით, ნიკარაგუას მიაშურა და ეს ნაბიჯი კინალამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა, რადგან იქ მუცლის ტიფით დაავადდა. ექიმების დასკვნით, ის ვერასოდეს გააჩენდა ბავშვს. მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ალბერტო ნეგრინოს ფილმის – „მუსოლინი: ღუჩეს დაღმასვლა და დაცემა“ ის იტალიელი მამაკაცის – ვინმე ამურიზგან დაორსულდა.

სახელგანთქმულ მსახიობთა წრეში სიუჟენი, ბოლოს და ბოლოს, 1987 წელს მოხვდა, როცა მიშელ პფაიფერთან, შერთან და ჯეკ ნიკოლსონთან ერთად მონაწილეობა მიიღო ფილმში „ისტეიკელი ალქაჯები“. ერთი წლის შემდეგ, კომედია „დარპემის ხარის“ გადაღებაზე, მან ტიმ რობინსი გაიცნო. ისინი მალე დაახლოვდნენ – მსგავსი გემოვნება და პოლიტიკური შეხედულებები აღმოაჩნდათ. ურთიერთობას მხოლოდ ერთი რამ აფუჭებდა: ტიმი ქალს გამუდმებით ადარებდა თავის მშობლებს, რომლებიც მსავით, ადამიანის უფლებებისთვის აქტიური მებრძოლები იყვნენ.

სიუჟენი, რომელიც ტიმზე 12 წლით იყო უფროსი, თავის ახლო მეგობარს, ჯულია რობერტსს შესწიოდა: „ის თავიდანვე დაუინებით ცდილობდა ჩემში ღედამისის გაგრძელების დანახვას...“ დიდი წვალების ფასად დაუმტკიცა სიუჟენმა ტიმს, რომ ის არა მარტო მხურვალე მებრძოლი იყო, არამედ ქალიც, რომელიც მის-

გან ბევრს მოელის...

ამჟამად მათ ორი ვაჟი ჰყავთ და მიუხედავად იმისა, რომ სიუზენი გათხოვებას აღარ აპირებდა, დიდი ხანია ერთად ცხოვრობენ. „ჩვენ შორის სექსუალური, ინტელექტუალური და ემოციური კავშირია. დღეს ტიმი ბევრად უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე მაშინ, როცა ერთმანეთს შევხვდით, თუმცა, ზოგჯერ მისი ჭამის მანერაც კი მაღიზიანებს, მაგრამ ესეც ჩვენი სიყვარულის ნაწილია“, – ამბობს სერენდონი. „ერთ-ერთი მიზეზი, რომ აქამდე არ დავექორწინდი, არის სურვილი, გამუდმებით ახალი თვალით ვუცქიროთ ერთმანეთს!“



ტიმ რობინსი და სიუზენ სერენდონი მსახიობის წინა ქორწინებაში შექმნილ ქალიშვილთან და საერთო ორ ვაჟიშვილთან ერთად

1996 წელს ტიმა, როგორც რეჟისორმა გადაიღო ფილმი „მიცვალებული მოდის“. ამ სურათში შექმნილი სახისთვის სერენდონმა, რომელიც წინათ ოთხჯერ იყო წარდგენილი „ოსკარზე“, ბოლოს და ბოლოს, მიიღო საწუკარი პრიზი.

და მაინც, სიუზენისთვის ბევრად მნიშვნელოვანია სახლი და ოჯახი, მას არ დავიწყებია, თუ რას ნიშნავს „ჩვეულებრივი ადამიანი“. როგორც დიასახლისი, სიუზენი სამუშაოსაც თავისებური პრინციპით არჩევს: „ყოველთვის, როცა ფილმში მონაწილეობას ვაპირებ, ვუხსნი შეილებს, რატომ გვიწევს მთელი ზაფხულით სახლიდან გამგზავრება. თუ საუბრისას საკუთარ თავს ენთუზიაზმს ვერ ვამჩნევ, ე.ი. ეს ფილმი არ მჭირდება. სახლიდან ჩემს გამოსაყვანად ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზია საჭირო. ქვეყანაზე ძალზედ ცოტა რამ მოიძებნება, რამაც ჩემს ოჯახზე მეტად შეიძლება დამაინტერესოს“.

სიუზენ სერენდონი მკაცრი და მიუკერძოებელი შემფასებელია. აი, რას ამბობს იგი კინოს საზოგადოებრივ დანიშნულებაზე: „ყოველ ფილმს გარკვეული წვლილი შეაქვს ჩვენს კულტურაში, აყალიბებს მოზარდი თაობის შეხედულებებს ცხოვრებაზე. ფილმი ადამიანებზე ზემოქმედების საშუალებაა და ამიტომ, პოლიტიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ყველა ფილმი უნდა გამოხატა-

ვდეს რაღაც მსოფლმხედველობას, მოქალაქეობრივ პოზიციას – თუნდაც ეს კომედია იყოს“.

2002 წელს ეკრანებზე გამოვა 3 ფილმი სიუზენ სერენდონის მონაწილეობით. ერთ-ერთ მათგანში სიუზენი ჰოლივუდის კიდევ ერთ უბერებელ ვარსკვლავთან – გოლდი ჰოუნთან ერთად მოველინება მაყურებელს.

„მე მომავალს შევცქერი და ნაკლებად მაინტერესებს წარსული. ყოველდღე ვიბრძვი, რომ სკოლაში მიმავალ ჩემს შეილებს საუბრე შევაჩერო ხელში“... მსახიობი ძველებურად ცდილობს, ერთმანეთს შეუთავსოს სამი საყვარელი საქმე – ბავშვების აღზრდა, მსოფლიოში სამართლიანობისთვის ბრძოლა (ცოტა ხნის წინ სიუზენი, უკვე მერამდენედ, პოლიციაში იმისთვის მოხვდა, რომ სამართალდამცავების მიერ ქუჩის მოვაჭრის მკვლელობის საპროტესტო აქციაში მიიღო მონაწილეობა) და კინოში გადაღება. სიუზენის თქმით, „მსახიობის პროფესია – ეს გამოწვევაა. არადა, შეუძლებელია, ყოველთვის „მთელი 100%-ით“ კარგად შეასრულო როლი“. ალბათ სწორედ მისი მებრძოლი სული იზიდავს რეჟისორებს, რადგან ისინი რიგში დგანან იმისთვის, რომ თავიანთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, სიუზენ სერენდონის ოჯახისგან მოწყვეტა მოახერხონ...

# ტესტი ერუდიციაზე

1. რომელ ბილიკზე ახანებან ცურვაში საერთაშორისო შეჯიბრების დროს ფავორიტს?



- ა) პირველზე;
- ბ) მეოთხეზე;
- გ) ამას კენჭისყრა განსაზღვრავს.

2. რა იყო სავალდებულო ღონდონში ჩასული საგოთა ტურისტისთვის?



- ა) კარლ მარქსის საფლავის მონახულება;
- ბ) საბჭოთა პრესისთან წაღება;
- გ) ინგლისურის ცოდნა.

3. რომელი მსახიობი ახრულვდა მონაწილე მანანას როლს მხ/ფ-ში „მანანა“?



- ა) ნანული სარაჯიშვილი;
- ბ) სოფიკო ჭიაურელი;
- გ) მარინა კახიანი.

4. რა ვადით ირჩევენ საქართველოში პრეზიდენტს?



- ა) სამი წლით;
- ბ) ოთხი წლით;
- გ) ხუთი წლით.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



დასაწყისი იხ. გზა № 44-45

როგორც იქნა, ავიდა საღორიანზე. სასურველ სახლსაც მიაღწა. კიბე აირბინა და ზარი დარეკა. კარს უკან ფრთხილი ნაბიჯების ხმა მოესმა. ვიღაც, საჭვრეტიდან დიდხანს ათვალიერებდა, შემდეგ კარი გაიღო.

— რეზო?! შენა ხარ?! აქ საიდან გაჩნდი?!

— შენთან ჩამოვედი, კოლა.

— შემოდი, კარში რას დგახარ!

ერთმანეთს გადაეხვივნენ. მასპინძელი ოთახში შეუძღვა.

— როგორ ხარ? მამიდაჩემი როგორ არის? ხომ არ აბრაზებ ხოლმე? რამდენი წელია, არ მინახიხარ? სამი, არა?

ოთახში, ორი ახალგაზრდა სუფრასთან იჯდა. ერთს შავი წვერი ჰქონდა, მეორეს კი დიდი დიდი აჩნდა ლოყაზე. მაგიდაზე უამრავი ბოთლი იდგა, ზოგი სავსე, ზოგიც ცარიელი, საჭმელი კი ბევრი არაფერი ელაგა.

— გაიცანით, ჩემი მამიდაშვილია. ჭკვიანი ბიჭია, სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. ბავშვობიდანვე საჭესთან ზის, ველოსიპედით ორ თვალზე ატარებს მანქანას.

დადიანს და წვერიანს ხმა არ ამოუღიათ, ზანტად აათვალიერ-ჩაათვალიერეს რეზო.

დალიეს...

— კოლა, სალაპარაკო მაქვს შენთან. სამზარეულოში გავიდნენ.

— კოლა, კაცი დავჭერი... არ ვიცი, შეიძლება მოვკალი კიდეც. შენთან რომ დავიმალე, ხელს ხომ არ შეგიშლი?

კოლას თვალები გაუფართოვდა.

— კაცი დაჭერი?! შენ?! რატომ?

— დამცინოდა... — მწარედ ჩაიცინა რეზომ.

— კარგიც გიქნია! ყოჩაღ! თავზე არავინ არ უნდა დაისვა, თორემ ერთხელ თუ წახარე თავი, ისე გადაგთელავენ, რომ არავის შეებრალები! კარგი ქენი, რომ ჩამოხვედი. ერთი საქმეა... მძღოლი გვჭირდება, წამოგვყვები?

— კი!

— ძალიან კარგი! ხვალ უკვე ფული გვექნება.

— ეგენი ვინ არიან?

— თავისი საქმის კარგი მცოდნეები.

ღამე იყო. ბნელი ღამე, ვარსკვლავებიც კი არ ჩანდა. მხოლოდ ძრავის ლულუნი არღვევდა სიჩუმეს. საოცარია, მაგრამ სწორედ ის ღელავდა სხვებზე ნაკლებად. თვითონაც გაოცებული იყო



ნუგზ ბაშელი

# საჩინოება

თავისი სიმშვიდით. მიდიოდა საქმეზე, რომლის გამკეთებლებიც მუდამ ეჯავრებოდა. ახლა კი... ახლა მისთვის სულერთი იყო...

— აქ გააჩერე. მაგარი ბაითია, არა? ბანკის პრეზიდენტიცაა. მილიონერია მაგ ვირიშვილი. მალე გამოვალთ. დაგველოდე. ძრავა არ გამოერთო.

მალე დაბრუნდნენ. გულცივად გადახედა ორ ჩემოდანს, ფაცხაფუცხით რომ შემოიბრუნეს სალონში და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა.

ერთ ქუჩაზე ავტობუსსაქციის მანქანა შენიშნეს. ინსპექტორმა რამდენიმე ნაბიჯი წინ გადმოდგა და ჯოხი მოიმარჯვა. აშკარა იყო, გაჩერებას უპირებდა.

ახლა კი აუბეგრდა გული, აუკანკალდა მუხლები.

— არ გაუჩერო!

ბევრი არაფერი ახსოვს: სად იარა და როგორ იარა. როცა მანქანა გააჩერა, ყურებში ისევ საბურავების წივილი ესმოდა.

— გადავრჩით! — შევებით ამოისუნთქა კოლამ.

მანქანიდან გადმოვიდნენ. რეზოს სველი პერანგი ზურგზე მიჰკვროდა. ნიავმა დაქროლა. შეაფრჟოლა.

შინ ავიდნენ. რეზო საწოლზე გაიშხლართა. ცოტა ხანში ჩათვლიდა კიდეც. მკერდზე რაღაცის შეხებამ გამოაღვიძა. თვალი გაახილა. საწოლთან კოლა იდგა.

— ეს შენ.

მკერდზე ქაღალდის საკმაოდ სქელი შეკვრა ელო...

ფული იყო. ბევრი ფული...

ოთახში თავბრუდამხვევი ბოლი იდგა. „პლანს“ ეწოდნენ.

კოლას კალთაში ქერათმიანი ლამაზმანი ეჯდა და დიდი მონღოლებით აბოლებდა ცხვირ-პირში. გოგონაც სიამოვნებით ისრუტავდა კვამლს, მიბნედილი თვალებით იცქირებოდა და ვნებიანად კისკისებდა.

— მოწიე, — კოლამ რეზოსაც მიაწოდა მოსაწიევი.

— არ მინდა, — გასვლა დააპირა.

ლამაზმანი წამოხტა და მიუახლოვდა.

— გავიგე, მანქანას ატარებ კარგად, ველოსიპედით ორ თვალზე დაგყავს. არ მასწავლი? — გოგონა ზედ ტანზე აეჭმასნა. არასდროს უგრძნია ქალის ტანი ასე ახლოს. სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა.

— გასწავლი, — ძლივს ამოღერდა. სახეზე ოდნავ შესამჩნევმა სიწითლემ გადაურბინა.

— რამდენს ეწევიან, სულის მოთქმა აღარ შეიძლება! მეორე ოთახში გავიდეთ, — ქალი არ ეშვებოდა.

გავიდნენ.

— რა სიბნელეა!

– სინათლეს ავანთებ, – უაზროდ წაიბურტუნა რეზომ.

– არა, არ გინდა. არ გიყვარს სიბნელე?

გოგონა კვლავ აეტმასნა. თბილი, რბილი იყო მისი სხეული. ქალის სუნთქვა ლოყაზე ელამუნებოდა. რა საამო სუნი ასდიოდა მის თმას.

ბაგეზე გოგონას ცხელი ტუჩების შეხება იგრძნო. ხელ-ფეხი მოეკვითა. საწოლზე რომ არ ჩამომსხდარიყვნენ, ალბათ, წაიქცეოდა. ქალმა პერანგის ღილეუბი გაუხსნა, ხელი ილლიის ქვეშ შეუცურა, თან ვნებით კოცნიდა. მას კი... მას ხელის განძრევაც ვერ მოეხერხებინა, კუნძივით ეგლო და კიდურები გაჰყინვოდა.

– რა მოგივიდა? – ხმაში სიცივე შეეპარა გოგოს.

ხმის ამოდებაც ვერ მოახერხა.

ქალი წამოდგა, ტანსაცმელი გაისწორა და სასტუმრო ოთახში გავიდა. რეზო კი კვლავ გაოგნებული იწვა.

– როგორი მამიდაშვილი მყავს? – ორაზროვნად ჰკითხა კოლამ ქერათმიანს.

– არა უშავს... ჯერ პატარაა... დილაობით რძეს თუ ასმევე?

კვლავ დაცინვა!.. კვლავ აბუჩად აგდება!..

გველნაკებნივით წამოხტა, სასტუმრო ოთახში გამოვარდა, ქერათმიანს ეცა და წიხლი პირდაპირ მუცელში ჩაარტყა. გოგონა კედელს მიენარცხა, ამოიგმინა და ჩაიკეცა. რეზო სიბრაზისგან სულ კანკალებდა, მივარდა წაქცეულს და საწოლ ოთახში გაათრია.

რადაც ველურმა სისასტიკემ სისხლი სულ აუმღვრია... კვლავ დაარტყა. ამჯერად სახეში ჩასცხო მუშტი. ქალი საწოლზე დაეცა და კვნესა აღმოხდა. ტუჩიდან სისხლი წასკდა... სისხლის დანახვამ სულ გადარია. გოგონას საკინძე ჩამოაგლიჯა... არასდროს ენახა მსგავსი სილამაზე და ამ სილამაზის განდგურება მოუნდა რატომღაც... დაიხარა და ბუბუზე უკბინა. ქალის წივილმა შეძრა იქაურობა. ამან უფრო გაადიზინა. პირზე ხელი ააფარა და ტანსაცმელი სულ შემოაგლიჯა.

– მოკლავს!

– თავი გაანებე, თვითონ იცის თავისი საქმე! – კოლას ხმა იყო...

წამოდგა. შარვალი ჩაიცვა. სინათლე აანთო.

საწოლის კუთხეში დედიშობილა გოგონა საცოდავად მიკრუნჩხულიყო,

განძრევის თავიც აღარ ჰქონდა. ტუჩიდან და ბუბუხთავიდან სისხლი სდიოდა, თვალეში კი შიში ჩასდგომოდა.

ძლიერ შეეცოდა... შეეცოდა და შერცხვა კედელზე... საშინლად შერცხვა! იმ წუთში ისიც რომ ვინმეს გაელახა, ალბათ, შეებას იგრძნობდა.

მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში საკუთარი სახე დაინახა. მიუახლოვდა და მთელი ძალით დაჰკრა მუშტი. იატაკზე ნამსხვრევების წკრიალი გაისმა. მუშტიდან სისხლი წამოუვიდა.

ოთახში კოლა შემოვიდა.

– შენ რა, სულ გაგიჟდი?! ხალხი გინდა შეყარო?! აჰა, მოწიე, დამშვიდდები, – ხელში ტარიანი შეაჩეჩა.

რამდენიმე ღრმა ნაფაზი ზედიზედ დაარტყა. თავბრუ დაეხვა, შუბლი გაეყინა, სხეულში სასიამოვნო მოთენთილობა იგრძნო. სავარძელში ჩაჯდა და თვალეები დახუჭა.

კოლამ იატაკზე დაყრილი კაბის ნაფლეუები შეათვალიერა და გოცები-სგან დაუსტვინა. შემდეგ გავიდა. როცა დაბრუნდა, ხელში პერანგი და გახეხილი ჯინსის შარვალი ეჭირა. ქერათმიანს მიუახლოვდა.

– ჩაიცვი, შენი წასვლის დროა.

გოგონამ ჩაიცვა.

– წადი, პირი დაიბანე.

კოლამ კარი გააღო, სადარბაზოში გავიდა და ქერათმიანს დაელოდა. ისიც მალე გამოვიდა.

– აბა, შენ იცი, სისულელე არაფერი ჩაიღინო, ხომ გამიგე?!

შეშინებულმა გოგონამ თავი დაუქნია.

– ისე, ძალიან გიხდება ჩემი ტანსაცმელი, შენი იყოს. შარვალი ცოტა მოკლე გაქვს, მაგრამ არაფერია. ეტყობა, მამაჩემმა ცუდად იმუშავა, მაღალი ვერ გამაკეთა, – ლოყაზე ხელი მოუთათუნა, – ტაქსის ფული გაქვს?

ქალმა თავი გააქნია.

კოლამ ათლარიანი მიაწოდა.

– წადი.

თვითონ საფეხურზე ჩამოჯდა და სივარეტი გააბოლა. თვალეზე ცრემლი აუბრწყინდა... შეეცოდა... ან, იქნებ, სივარეტის ბოლმა დასწვა თვალეები...

წამლის გაკეთებაც ისწავლა...

ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ ისიც, გამოცდილი ნარკომანივით, მკლავზე ცხვირსახოცს წაიჭერდა, მუშტს რამდენჯერმე მომუჭავდა და დაბერილ ვენაში ნემსს გაიყრდა.

ნემსის გაკეთების პატარაობიდანვე

ემინოდა. ახლაც კი, ნემსის დანახვაზე რადაც შიშის მაგვარი გაჰკრავდა ხოლმე გულში, მაგრამ მაინც იკეთებდა... არა, წამლის მონა არასდროს გამხდარა, არც არასდროს ურბენია წამლის საშოვნელად, წამლის გაკეთების დაუოკებელ სურვილსაც არასდროს შეუპყრია. ისე, ხანდახან იკეთებდა... როცა ვინმე შესთავაზებდა.

ტახტზე იწვა. წამალი ჰქონდა გაკეთებული. გონება დაბინდოდა და სხეულში სასიამოვნო მოთენთილობას გრძნობდა. უაზროდ იცქირებოდა, არაფერზე არ ფიქრობდა, მხოლოდ, ხანდახან თუ გაიცინებდა. რატომ? თვითონაც არ იცოდა, რატომ. ისე, არაფრისთვის... რაც ქუთაისში ჩამოვიდა, იგი არავის უნახავს გაკინებულს. თვითონაც გადაავიწყდა, უკანასკნელად როდის იმხიარულა, ან უმხიარულია კი ოდესმე? ვეღარ იტანდა მოცინარი სახეების დანახვას. შურდა, ალბათ, მათი... შურდა!.. როცა ვინმეს მხიარულს დაინახავდა, გიჟური სურვილი იპყრობდა – თავში ჩაერტყა მისთვის რადაც... ახლა აღარ უკვირდა, რატომ ეპყრობოდნენ ასე სკოლასა და აკადემიაში. ალბათ, მის ამხანაგებსაც ასეთივე სურვილი უჩნდებოდათ, როცა იგი „ხუთიანებს“ ღებულობდა, ისინი კი ორებს.

ლამაზებს ვეღარ იტანდა კედელზე, განსაკუთრებით ლამაზ გოგონებს... ალბათ, იმიტომ, რომ თვითონ იყო ულამაზო...

კარი გაიღო. კოლა შემოვიდა და ქერათმიანი გოგონა შემოჰყვია.

ქერათმიანი გოგონა...

გული მტკივნეულად შეეკუმშა. ეცნო მისი ლამაზი სახე. გონება უცებ დაეწმინდა, მოაგონდა გახეთქილი ტუჩი, დასისხლიანებული ბუბუები... მოაგონდა და შუბლი ცივმა ოფლმა დაუნმა.

გოგონა კი... გოგონა უღიმოდა.

თვალეებს არ უჯერებდა, იგი ნამდვილად იღიმებოდა!.. ნუთუ დასცინოდა?! არა, გოგონა დარცხვნილი, შემრიგებლური ღიმილით უცქერდა...

კოლა რადაცას ლაპარაკობდა, მგონი ხუმრობდა, ყოველ შემთხვევაში, მის საუბარზე ქალი იცინოდა. აშკარა იყო, კოლა მათ შერიგებას ლამობდა.

შემდეგ კოლა გავიდა. ქალიშვილი ტახტზე ჩამოუჯდა. კვლავ იგრძნო მისი სხეულის სინაზე. ქერათმიანმა ალერსიანი ხმით გაუბა საუბარი, თან თვალეებს ვნებიანად უნაბავდა.

თანდათან სიბრაზე ეპარებოდა. ალბათ, გაცილებით მშვიდად იგრძნობდა თავს, გოგონას თვალეებში სიძულვილი რომ დაენახა. აკი, იმსახურებდა კედელ ამა!



მან ხომ იგი გალახა. სასტიკად გალახა...

გოგონა კი ფინია ძაღლივით ელაქუცებოდა...

სიბრაზე თანდათან უძლიერდებოდა. კვლავ ნაცნობმა სურვილმა წამოუარა — დაეისხსლიანებინა მისი ლამაზი ფიზიონომია, მაგრამ თავი შეიკავა...

გამოეღვიძა. თავი, როგორც ყოველთვის, ტყვიასავით ჰქონდა დამძიმებული. გვერდით ქერათმიანს ეძინა.

უსიამო გრძნობამ შეიპყრო. აღარ მოეჩვენა მისი სახე ისე ლამაზი, როგორც გუშინ, აღარც მისი მკერდი ჩანდა ისე მიმზიდველი, მისი სხეულის სუნიც აღარ ჰგვრიდა სიამოვნებას, პირიქით, გულსაც კი ურევდა.

უხეშად გადააბიჯა მძინარეს და აივანზე გავიდა. დილის გრილმა ნიავმა სახეზე მიუალერსა. საათს დახედა. ექვსი იყო.

ეზოში ახალგაზრდა ქალი ძაღლს დაასეირნებდა, უზარმაზარ ძაღლს, თან ეფერებოდა და რაღაცას ელაპარაკებოდა. ძაღლს სისხლისფერი ენა გადმოეგდო და უწონო დრუნჩიდან ღორბლი სდიოდა.

შესცივდა. უკანვე შევიდა. ტანზე ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა. ახალი ნაწვიმარი იყო. ხეებს ხასხასა მწვანე ფერი ედო. ადამიანები კანტიკუნტად მოჩანდნენ. მანქანები იშვიათად თუ არღვევდნენ მყუდროებას.

საამო დილამ გუნება გამოუკეთა. თავის ტკივილმაც გადაურა. სუფთა და გრილი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ქუჩას გაუყვია.

შენობები თანდათან გამეჩხერდა, ბოლოს, სულ გაქრა და მათი ადგილი შრი-ალა ტყემ დაიკავა.

ეკლესიის გუმბათს მოჰკრა თვალი, იქითკენ წავიდა. სასაფლაოზე აღმოჩნდა. არავინ არღვევდა იდუმალ მყუდროებას. აი, ისევ მოუკლელი საფლავები, ისევ ბალახით დაფარული ქვები, ქვებზე კი — ნაღვლიანი სახეები.

მშობლიური ქალაქის სასაფლაო მოაგონდა, იქაური ტაძარი. დედა მოაგონდა კიდევ. დედა...

გული ნაღველით აევსო...

ტაძარი სასაფლაოს ცენტრში იდგა. შესასვლელთან მათხოვრები ჩამწკრივებულიყვნენ. „ამ დილაადრიან აქ საიდან განდნენ?“ — გაუელვა თავში. ყველას ჩამოურიგა სურდა.

ტაძარში ბინდი იწვა. მხოლოდ ვიწრო სარკმლებიდან შემოჭრილ შუქს გაეკვეთა სიბნელი ალაგ-ალაგ. ნაცნობი

სუნი ეცა, სანთელ-საკმეველის სუნი. როგორ უყვარდა ეს სუნი... ეს სუნი და მორწმუნეთა გალობა...

მზერა ხატზე გადაიტანა. ნაცნობი და მშობლიური ეჩვენა ღვთისმშობლის სახე... დედა მოაგონდა ისევ. „საცოდავი დედა... ვინ იცის, იქნებ ცოცხალიც აღარ არის“ — ცრემლები ყელში მოაწვა. თავი ძლივს შეიკავა, რომ არ აქვითინებულიყო. ნელ-ნელა მუხლებზე დაეშვა, თვითონაც არ იცოდა, რატომ და თავი დახარა.

— საბრალო გოგონა, ჯერ თექვსმეტისაც არ არის. საქმროს მიუტოვებია. ჯვრის დაწერას აპირებდნენ თურმე ამ

ასეთი უცოდველი, ბავშვური სახე.

„და ეს მიატოვეს?! როგორ შეიძლე-ბოდა ასეთი არსების მიტოვება?!“

გოგონა წამოდგა. გასასვლელისკენ გაემართა. ასწლეთილი ტანი ჰქონდა, მაღალი მკერდი და წვრილი წელი, სწორი, გრძელი ფეხები. ნელა მიდიოდა, არა, კი არ მიდიოდა, მიცურავდა. შიშველ ფეხებს ფრთხილად ადგამდა ქვის იატაკზე. „ეს მიატოვეს და... გაგიჟდა...“

ოთახში კვლავ მოსაწვევის დამათრობელი ბოლი იდგა. მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა კონსერვის ქილები, ბოთლები, სიგ-



ეკლესიაში, ის კი არ მოსულა. მას შემდეგ შეიშალა, საწყალი. თითქმის ყოველდღე აქ დადის. მშობლებიც არა ჰყავს, ერთი ბებია შემორჩა, მაგრამ ის თვითონაა მისახედი... — უქნიდან მოესმა. მოიხედა. მოსუცი ქალები ლაპარაკობდნენ. თვალი გააყოლა მათ მზერას.

გოგონას თეთრები ეცვა. ტანსაცმელზე ალაგ-ალაგ მუქი ლაქები აჩნდა. ფეხზე არაფერი ეცვა. ხელში ყვავილები ეჭირა, მინდვრის ყვავილები, თავზეც ყვავილების გვირგვინი ედგა. ოქროსფერი თმა მხრებზე ეფინა. გრძელი, ჩამოქნილი თითები ჰქონდა, ცხვრი სწორი, პატარა, თვალები კი უზარმაზარი, ზღვისფერი... მუხლებზე იდგა. გრძელი წამწამები დანამოდა...

ლოცულობდა. მსურვალედ, თავდავიწყებით ლოცულობდა...

რეზო გაოგნებული შეჰყურებდა ამ სურათს. ანგელოზს ჰგავდა ქალწული. არა, ალბათ, ანგელოზსაც არ ექნებოდა

არეტის ნამწვავები, ჭუჭყიანი ქალაღდე-ბი. ჭიქები არყით იყო სავსე.

— მოდით ამ ჭიქით ოთხ კედელს შუა გამომწვედეულ კაცს გაუმარჯოს!

ველარ იტანდა მათ სადღეგრძელოებს, იმ ტონსაც ველარ იტანდა, რა ტონითაც მათ წარმოთქვამდნენ, ამ ხალხსაც ველარ იტანდა, თავიანთი უშვერი გინებებით და უნიჭო ანეკლოტებით.

გადაწყვეტილი ჰქონდა, სადმე ცალკე დაექირავებინა ბინა. ის ფული ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებელი ედო, რამდენიმე თვეს, ან იქნებ, მთელ წელიწადსაც თავისუფლად ეყოფოდა.

ზარის ხმა მოესმათ. კარი გაადეს. ოთახში რამდენიმე გოგო შემოვიდა. მათ შორის ერთი უცნობი იყო.

— გაიცანით, ეს ქრისტინე გახლავთ. გოგონებმა თავ-თავიანთი კავალრები მოძებნეს და აღერსიანი მასლაათი გაუბეს. ქრისტინე ერთხანს იდგა უხერხულად,

არ იცოდა, რა გაეკეთებინა, შემდეგ კი ტასტის კუთხეში ჩამოვდა და გაირინდა. საცოდავი შესახელი იყო. იჯდა მართლ და ნაღვლიანი თვალებით, სადღაც ერთ წერტილს მისჩერებოდა. ცხრამეტი-ოცი წლის იქნებოდა ქრისტინე, საკმაოდ ლამაზი, თვალში მოსასხვედრი გარეგნობა ჰქონდა.

რეზო წამოდგა. მიუახლოვდა. იქვე, მის ფეხებთან, იატაკზე დაჯდა და ხელი კალთაში ჩაუდო. გოგონა შეიშმუნა, სახეზე რაღაც სიწითლის მაგვარმა გადაურბინა.

– შენ ქრისტინე გქვია, არა? მე რეზო დამიძახე.

ცივი იყო გოგონას გამოსხევა. ლამაზი თვალის ჭრილი ჰქონდა და ღრმა, ცისფერი თვალები.

ცისფერი თვალები... ფეხშიშველა ქალწული მოაგონდა.

ქრისტინე სულაც არ ჰგავდა იმ ოქროსფერთმიან ანგელოზს, თმაც მუქი ჰქონდა, სახის ნაკეთებიც სულ სხვა, მაგრამ რეზომ მანაც მას მიამსგავსა. თავი კალთაში ჩაუდო და ხელები წელზე მოხვია.

გოგონა გაუნძრევლად იჯდა, სუნთქვა შეკვროდა.

რეზო წამოდგა.

– ვიცეკვოთ.

ნელი, სასიამოვნო მუსიკა იღვრებოდა ოთახში. რეზომ გოგონა მკერდზე მიიკრა და ნელ-ნელა დაიწყო რხევა. ქალი სულ უფრო და უფრო ეკვროდა, თვალები მიენაბა და ბაგე ოდნავ გაეხსნა.

რეზომ ჯერ ყურის ძირას აკოცა, შემდეგ ნელ-ნელა ბაგეებისკენ გამოყვა. ცხელი და მწველი იყო მისი ბაგეები. გოგონა სულ მოეშვა, რეზო კი, პირიქით, ძალის მოზღვავენას გრძნობდა, ქრისტინე ხელში აიტაცა და გვერდით ოთახში გაიყვანა...

ქრისტინე გაუნძრევლად იწვა და ნაღვლიანი თვალებით ჭერს მისჩერებოდა. რეზოს მის მკერდში თავი ჩაერგო და ნეტარებით გატრუნულიყო. მისი ყურის ქვეშ მშვიდად სცემდა ქრისტინეს გული... საოცრად ახლობელი და საყვარელი ეჩვენა ეს არსება.

გოგოს თვალზე ცრემლი აუკაიფდა.

– რა გატირებს? – ალერსიანად უთხრა და თვალებზე აკოცა. ესიამოვნა კიდევ მისი მლაშე ცრემლი.

– მე არ ვტირი, – ცივი იყო პასუხი. დაღუძმდნენ.

– რამდენი წლის ხარ? – უცებ დააბრუნა რეზომ.

– ბევრის... ოცის!

– რა ბებერი ყოფილხარ! ლამაზი რომ ხარ, უთქვამს შენთვის ვინმეს?

– ლამაზი?... კაცებს არ გიყვართ ლამაზები. არა, კი გიყვართ, მაგრამ მხოლოდ გასართობად, ცოლად კი უღამაზოები მოგყავთ, მთელი სიცოცხლე რომ თქვენი ერთგული იყოს, ერთგული და თანაც მადლიერი, რომ იკადრეთ და ცოლად წაიყვანეთ. ლამაზი ცოლი არახელსაყრელია თქვენთვის, იმიტომ, რომ მისი შენარჩუნების იმედი არ გაქვთ, ლამაზი არ გაპატიებთ იმას, რასაც უღამაზო ყლაპავს... უცოდველ კრავებს დაიქვით, მე კი ცოდვიანი ვარ, ბატონო!.. აი, შენ წამიყვანდი ცოლად?

ქრისტინემ გამომცდელად შეხედა. რეზომ თვალი აარიდა, არ ესიამოვნა მისი აქაქანება.

– არ წამიყვანდი. დღეს ჩემთან კოტრილობ, ხვალ სხვასთან იკოტრილობ.

ქრისტინემ ხელი ჩაიქნია და საკუთარ თავზე გაბრაზებული, რომ ამ სქელკანიან ხეპრეს თავისი ქალური სისუსტე გადმოუშალა, გადაბრუნდა და სიგარეტს მოუკიდა.

– რატომ ეწვევი?

ქალი სიბრაზისგან გაფითრდა.

– რა კლასის დამრიგებელივით მეკითხები, დიდი ხანია გამოვედი სკოლის ასაკიდან! სრულუფლებიანი მოქალაქე ვარ და რასაც მინდა, იმას ვაკეთებ! რატომ არ მეკითხები, შენთან რატომ ვწვევარ? ნუთუ სიგარეტის მოწვევა უფრო ამორალურია?!

ქრისტინეს ხმაში დაცინვამ გაიჟღერა. საოცარია, მაგრამ ამას სულ აღარ გაუბრაზებია, პირიქით, მისდამი სიბრაღული უფრო გაუღვივდა.

– შენ რა გაბრაზებული ხარ, წიგნები არ გიყვარს? – თვითონაც გაუკვირდა, რა შუაში იყო წიგნები!

– არა.

– რატომ?

– სისულელეა და იმიტომ. „რომეო და ჯულიეტა“ და სხვა ზღაპრები... სიცრუეა! აი, მე ანეკდოტები მიყვარს, განსაკუთრებით ბინძური ანეკდოტები. ვაგროვებ კიდევ. სახლში რამდენიმე სქელტანიანი რვეული მაქვს გავსებული... აი, მათში ყველაფერი ზუსტადაა ნათქვამი, ყველაფერს თავ-თავისი სახელი ჰქვია და რაც უფრო ბინძურია ანეკდოტი, მით უფრო მომწონს, მათში მეტი სიმართლეა... გინდა, მოგიყვე ერთი?

– არა.

– რატომ? არ გიყვარს?

– არა.

– შენ რა, სხვა პლანეტიდან ჩამოფრინდი, თუ ოუმორთან ვერა ხარ მეგობრულად?

– გეყოფა დაცინვა!.. მშობლები გყავს?

– რა, დაკითხვაზე ვარ?... მყავს ღედა... მამა გაიქცა. შენ გყავს?

გული მტკივნეულად შეეკუმშა. სიგარეტს მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა. მკერდქვეშ ყველაფერი აეწვა და ხველა დააწყებინა. გაბრაზებულმა მოისროლა სიგარეტი.

ქრისტინეს გახედა. გოგონას თვალები დამნაშავესავით დაეხარა და გრძელ წამწამებზე ცრემლები ეკიდა. ნესტოები უთროდა.

თვალები დაუკოცნა და მკერდზე მიიკრა. გოგონა პატარა ბავშვივით ჩაეხუტა.

– შევრიგდეთ.

– ჩვენ არ გვიჩნდება!

საოცრად ტკიბილი იყო მისი ტუჩები, საოცრად თბილი იყო მისი სხეული...

ბინის შოვნა არ გასჭირვებია. ერთოთახიანი იყო, სამზარეულო და აბაზანაც ჰქონდა... მთელი წლის ქირა ერთად მისცა.

ხშირად დადიოდა ეკლესიაში. სანთლებს რატომღაც მხოლოდ ღვთისმობლის ხატის წინ ანთებდა. ფეხშიშველა ქალწული თითქმის მუდამ იქ ზვდებოდა, მაგრამ მასთან მიახლოებას გაურბოდა.

ერთხელ, სცადა გამოლაპარაკება. გოგონამ ყურადღებაც არ მიაქცია, ისე ჩაუარა. წამოეწია, მზარზე ხელი დაადო, გააჩერა და შეეცადა, გასაუბრებოდა. ქალწული არ უსმენდა, არც უყურებდა მას, უაზრო მზერა რაღაცისთვის მიეპყრო. ბოლოს, როგორც იქნა, მასაც შეხედა, გაკვირვებით ათვალაიერ-ჩაათვალაიერა, თითქოს ახლად შენიშნა, თვალები მძვინვარედ აუელვარდა და მთელი ძალით სილა გააწნა... შემდეგ გზა განაგრძო. ცივი მზერა კვლავ სადღაც, შორეთისკენ მიემართა, ხელში კვლავ მინდვრის ყვავილები ეჭირა, თავზე კვლავ ყვავილების გვირგვინი ედგა. ნელი ნიავი სათუთად ეალერსებოდა ფერმკრთალ სახეზე და ოქროსფერ თმას უწეწავდა. ჩამავალი მზის სხივები შარავანდელით მოსავდა თეთრებში გამოწყობილ ანგელოზს...

მონუსხული უცქეროდა. არასდროს უგრძნია თავი ასეთ ბრიყვად... ცოდვიანი ხელებით ანგელოზს წაეპოტინა და... დასაჯეს!





## „შვიდეული“ თვტმაცხს შვიცულის

როგორც შევითქვით, „მეორე არხის“ მუსიკალური ტელეგადაცემა „შვიდეული“ ძალიან მალე ათი წლისთავს აღნიშნავს. მისი ავტორისა და წამყვანის – გაია გუმბერძინის თქმით, დაგეგმილია გადაცემის ფორმატის შეცვლა, რომელიც მაყურებელს უამრავ სასიამოვნო სიუჟეტს უზრუნველყოფდა. ამასთან, ტექნიკურ სიახლეებსაც უნდა ველოდოთ, რომელიც „მეორე არხის“ რეკონსტრუქციას უკავშირდება. კითხვაზე – ხომ არ შეიქმნება „მეას“ მსგავსი ვირტუალური ვარიანტი და რა კრიტერიუმებით მოხდება გადაცემის სტრუქტურის შერჩევა, **გია გუმბერძინი** გვიპასუხა:

– მართალია, გადაცემები თემატურად ერთმანეთს უკავშირდება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ფორმატით ერთმანეთს არ დაემსგავსება, რაც შეეხება კრიტერიუმებს – შერჩევის განსაკუთრებული მიდგომა არ გვაქვს. ყოველწლიურად 80-მდე მომდერალსა და მუსიკალურ ჯგუფს ვმასპინძლობთ, რომლებსაც ძირითადად, სიახლის გამო ვიწვევთ ხოლმე.

– **ხომ არ შიშობთ, რომ უამრავი ახალი სატელევიზიო პროექტი უარყოფითად იმოქმედებს თქვენს რეიტინგზე?**

– არა. ყველა გადაცემას თავისი მაყურებელი ჰყავს. „შვიდეული“ უკვე 10 წელია არსებობს და მისი რეიტინგის დაცემის საშიშროება არ არსებობს. ■

## „თოთხი ღამის ტუპტუმი“: ჩუენტუის ყთუელი ღამე „თოთხის“

ძალიან მალე თბილისში გაიმართება შოუკონცერტი რეპის და ჰიპ-ჰოპის მოყვარულთათვის. როგორც შევითქვით, მასში მონაწილეობას მიიღებენ ისეთი ცნობილი შემსრულებლები, როგორებიც არიან: დიჯეი კაბუ, „სთეისი“ და „თეთრი ღამის რეპერები“. აღსანიშნავია, რომ „თეთრი ღამის რეპერები“, თავიანთი ახალი მუსიკალური მიმდინარეობის – თეთრი ჰიპ-ჰოპის წარდგენას გეგმავენ. ჯგუფის სრული სახელწოდება კი, საბოლოოდ, ასე ჩამოყალიბდა: „თეთრი ღამის რეპერები – უაით სნეიქ ენდ უაით დოგ“. სწორედ მათ მივმართეთ რამდენიმე კითხვით:

– **რატომ ფიგურირებს სიტყვა „თეთრი“ ჯგუფისა და მუსიკალური სტილის სახელწოდებაში?**


ნიკა: – იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, ყოველი ღამე ჩვენთვის „თეთრია“. ვმუშაობთ ახალ ალბომზე, რომელიც იანვარში გამოვა.

– **თაყვანისმცემლების ნაკლებობას ხომ არ განიცდიდით?**

ირბაკლი: – ნამდვილად არა. ისინი ყოველთვის ჩვენ გვერდით დგანან. მათ მხარდაჭერას კონცერტებზეც ვგრძნობთ.

– **რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც აგრესიული იმიჯი?**

ნიკა: – ამას თვითონ ჰიპ-ჰოპი და რეპი მოითხოვს. ისე, ნამდვილად არ ვართ აგრესიულები. ემონაწილეობთ უამრავ



საქველმოქმედო კონცერტში და ვფიქრობთ, ამითაც ვამტკიცებთ, რომ აგრესია არ გვჩვევია.

– **უფროსი თაობის წარმომადგენლებს თქვენი სიმღერები არ მოსწონთ...**

ირბაკლი: – არა მგონია, ისინი ჩვენს ასაკში ნაკლებად ექსცენტრიკულნი ყოფილიყვნენ. ყველას თავისი მიმდევარი ჰყავს. მათ აზრს პატივისცემით ვეპყრობით, თუმცა რეალურად, იგნორირებას ვახდენთ. ■

## თბილისში თემუტ თათატამუილის სახელთმის სტუდიის იხსნება



რამდენიმე დღეში თბილისში გაიხსნება თემურ თათარაშვილის სახელობის მუსიკალური სტუდია, რომელიც ძირითადად, ნიჭიერი ახალგაზრდებით დაკომპლექტდება. სტუდიის ხელმძღვანელი

თავად მომდერალი იქნება და ამდენად, სტუდიის მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, უშუალოდ კონტაქტი დაამყარონ მასთან და უფრო ახლოს გაეცნონ თემურ თათარაშვილის სტილსა და გემოვნებას.

აქვე მომდერლის თაყვანისმცემლებს ვაცნობებთ, რომ მომდერალმა ახლახან დაასრულა მუშაობა სიმღერაზე, რომელიც ვფიქრობთ, მოეწონება ქართული ესტრადის მოყვარულთ. უახლოეს პერიოდში თემურ თათარაშვილი ახალ კლიპსაც გამოიტანს სამზოვზე, რომელიც მომდერლის ერთ-ერთი ბოლო რუსულენოვანი სიმღერისთვის არის გადაღებული. როგორც თავად თემურ თათარაშვილიმა აღნიშნა, რამდენიმე თვეში ის უკვე ტრადიციად დამკვიდრებული სოლო კონცერტის გამართვას აპირებს. ■

**მონაგვლა რეზო კაბანიშვილი**





# ევჩონისა და ამეჩიის ეჩობილი ჰეჩი




არცთუ ისე იშვიათად ხდება ხოლმე, რომ ყველაზე შთაბეჭდავი კონცეპტუალური მოდელი, სერიულ წარმოებაში გაშვებისთანავე, თავის ხიბლს კარგავს. მოელის თუ არა ასეთი ბედი კუბე CHRYSLER CROSSFIRE-ს, რომელმაც დიდი ფურორი მოახდინა როგორც დეტროიტის, ისე ჟენევის ავტოსალონებზე, – ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ როგორც ამ ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, ამ ავტომობილის სერიულად წარმოების გადაწყვეტილებისთვის ბიძგი მრავალრიცხოვან პოტენციურ მყიდველთა თხოვნას მიუცია. კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერის“ მესვეურები მომხმარებლებს ჰპირდებიან, რომ საქარხნო „კროსფაირი“ არაფრით ჩამოუვარდება თავის სახელგანთქმულ კონცეპტუალურ პროტოტიპს. კორპორაციის თავკაცი, იურგენ შრემში აცხადებს, რომ ეს მოდელი „მერსედესის“ კონსტრუ-


ქციის ძრავითა და გადაცემათა კოლოფით იქნება აღჭურვილი. მანქანის წარმოება ქალაქ ოსნაბრიუკში მდებარე გერმანულ ფირმა KAR-MANN-ს დაეკისრა, რომელსაც პრესტიჟული „კამერული“ ავტომობილების გამოშვების დიდი გამოცდილება აქვს: მისი პროდუქციის რიგს განეკუთვნება ისეთი შედეგები, როგორც არის: „ფოლკსვაგენის“ კაბრიოლეტი „გოლფი“, A4-ის ბაზაზე შექმნილი „აუდის“ კაბრიოლეტი, „მერსედეს SLK“-ს კუბე. „კრაისლერ კროსფაირი“ ბევრი ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა, რომელშიც საავტომობილო სპორტის არაერთი ტექნოლოგიაა გამოყენებული: მაგალითად, ძარა ზეგამძლე სინთეტიკისგან არის დამზადებული და ალუმინის ჩარჩოზე დამაგრებული. საინტერესოა, რომ მანქანას სხვადასხვა ზომის ბორბლები აქვს: წინა – 16 დიუმი



დიამეტრისაა, უკანა კი – 5 დიუმიით დიდი. ავტომობილში კლასიკური უკანა ამძრავია გამოყენებული. V ტიპის 6 ცილინდრიანი ძრავა (მოცულობა – 2,7 ლ), რომელიც 275 ცხ.ძ-ს აღწევს, 100 კმ/სთ სიჩქარემდე 5,8 წმ-ში „აგორებს“ მანქანას. „კროსფაირის“ მაქსიმალური სიჩქარე 238 კმ/სთ იქნება. ძრავის მუშაობის რეჟიმის, სიჩქარისა და დინამიკის შესახებ ინფორმაციას მძღოლს საბორტო კომპიუტერის დისპლეი მი-აწვდის.

სერიული „კროსფაირის“ დებიუტი 2002 წლის იანვრისთვის დაგეგმილ ლოს-ანჯელესის ავტოშოუზე შედგება, მისი წარმოება კი 2003 წელს დაიწყება. ფირმის ვარაუდით, ის წელიწადში 30 ათასამდე ასეთ მანქანას გაყიდის. ■





## SEAT-ის ელგანტუხი ეახიოდეტი

გერმანული კონცერნის – „ფოლკსვაგენის“ შემადგენლობაში შემავალი ესპანური ფირმა „სეატი“ არა მარტო უნივერსალურ პლატფორმაზე შექმნილ სერიულ ავტომობილებს აწარმოებს, არამედ საკუთარი საკონსტრუქტორო სკოლის განვითარებაზე მუშაობს. კონცეპტკარი SEAT TANGO მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია. ელგანტური ორადგილიანი კაბრიოლეტი სპორტულ სტატუსზე აცხადებს პრეტენზიას. მასში ისეთი ტექნიკური სიახლეებია გამოყენებული, რო-

გორიც არის ალუმინის შენადნობისგან დამზადებული ზემსუბუქი ძარა, რომელიც მყარ კარკასზე დამაგრებული, ვერტიკალურად რეგულირებადი პედლები (იტალიური „მაზერატის“ მიერ შექმნილი ნოუ-ჰაუ, რომელიც ამ ფირმამ პირველად ჯერ კიდევ 30 წლის წინ გამოიყენა). ავტომობილი აღჭურვილია 180 ცხ. ძალიანი ძრავით, რომელსაც შესაშური ტექნიკური მახასიათებლები აქვს: 100 კმ/სთ სიჩქარემდე მიღწევის დრო – 7 წმ-ია, მაქსიმალური სიჩქარე – 235

კმ/სთ. საკიდარი და მუხრუჭები „ტანგოსთვის“ ფირმა BREMBO-მ დაამზადა, რომელიც „ფორმულა-1“-ის მაკომპლექტებელი დეტალების წარმოებაშია დაოსტატებული.

სერიულად „სეატ ტანგოს“ ჯერ არ აწარმოებენ, მაგრამ ეს მალე შეიძლება მოხდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ესპანელები თავიანთი ახალი მოდელით, ცნობილ სპორტულ კაბრიოლეტებს – „აუდი ტეტეს“, „ბე-ემ-ვე Z3“-სა და „მერსედეს SLK“-ს გაუწევენ კონკურენციას. ■

## Alfa Romeo აქცენს GTA-ზე აეთებს

იტალიურ ავტომობილებს შორის მილანის ამ ფირმის პროდუქცია მუდამ უამრავი ორიგინალური ტექნიკური და ესთეტიკური გადაწყვეტით გამოირჩეოდა. ამჯერად იტალიელმა ინჟინრებმა ALFA ROMEO 156 GTA-ს განახლებული სელანი და უნივერსალი წარმოადგინეს. განახლება უმთავრესად ძრავას შეეხო: თუ 156-ე მოდელის უმძლავრესი ძრავა 2,5 ლ მოცულობისა და 190 ცხ.ძ-ის იყო, GTA 250 ცხ.ძალიანი ძრავით იქნება აღჭურვილი, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 250 კმ/სთ-ს მიაღწევს. აქვე უნდა ითქვას, რომ ავტომობილის დინამიკის პარამეტრები უფრო სწრაფი სიარულის საშუალებასაც იძლევა, მაგრამ მწარმოებელმა განზრახ დააყენა მასზე სიჩქარის შემზღვეველი სპეციალური ელექტრონული მოწყობილობა.

„ალფა რომეო“ გარეგნულადაც განიცადა გარკვეული ცვლილებები: უფრო სპორტული ფორმა შეიძ-



ინა მისმა ბამპერებმა, გაიზარდა საბორბლე თაღები, რადგან GTA-ზე 17 დიუმიანი ბორბლებს დააყენებენ. 2005 წლიდან ფირმა ჩრდილოამერიკულ ბაზარზე გასვლას აპირებს, სადაც იტალიური მანქანები, სუპერძვირ „ლამბორგინის“, „მაზერატის“ და „ფერარის“ გარდა, დიდი

პოპულარობით ჯერჯერობით არ სარგებლობს. „ფიატის“ საავტომობილო ქვედანაყოფის გამგეობის თავმჯდომარის, რობერტო ტესტორეს თქმით, მარტო აშშ-ში ისინი წლიურად 8-დან 10 ათასამდე ავტომობილის გაყიდვას იმედოვნებენ. ■



# უკომპიუტერისო ბიძოცა ინტერნეტში ბატონობისთვის



პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანი, ბილ გეისის ხსნის NASDAQ-ის სესიას



WINDOWS XP-ს გამოსვლამდე 62 დღე რჩებოდა. ბილ გეისის სარეკლამო პლაკატთან



ბილ გეისის და ნიუ-იორკის მერი რუდოლფ ჯულიანი WINDOWS XP-ს პრეზენტაციამდე

ამ ცოტა ხნის წინ, კორპორაცია „მაიკროსოფტმა“ ახალი თაობის ოპერაციული სისტემა – WINDOWS XP წარმოადგინა. კომპიუტერებისა და მაკომპლექტებელი ნაწილების მწარმოებლები ბაზრის გამოცოცხლებას ვარაუდობენ, ბრძოლა ინტერნეტზე ბატონობისთვის MICROSOFT-სა და AOL TIME WARNER-ს შორის გადამწყვეტ ფაზაში შედის.

თავდაპირველი გეგმის თანახმად, WINDOWS XP-ს მსოფლიო პრემიერა „მაიკროსოფტის“ მთავარ შტაბბინაში – ვაშინგტონის შტატის ქალაქ რედმონდში უნდა გამართულიყო, მაგრამ 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ცერემონია დემონსტრაციულად გადაიტანეს ნიუ-იორკში. მაშინ, როცა „მაიკროსოფტის“ ბევრმა კონკურენტმა – APPLE, PALM და სხვებმა – თავიანთი დიდი ღონისძიებები და გამოფენები გააუქმეს, კომპიუტერული ბიზნესის ლიდერმა გამბედაობის დემონსტრირება მოახდინა. „მაიკროსოფტი“ ბოლო დროს საკუთარ იმიჯზე განსაკუთრებით ზრუნავს. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მის თავკაცს ბილ გეისს დაუფიქრებლად შეეძლო ეთქვა, მაგალითად, ასეთი რამ: „ქველმოქმედებისთვის ფულს არ მოგცემთ, იმიტომ რომ... არ მოუსრულდა“. მას შემდეგ კი, რაც პლანეტის უმდიდრესი ადამიანი და მისი პირმშო არაერთხელ დაადანაშაულებს ანტიმონოპოლიური კანონის დარღვევაში, ის უფრო ფრთხილი და გაწონასწორებული გახდა. დაუსრულებელი სასამართლო პროცესების დროს ახალი პროგრამის ბაზარზე დროულად გამოტანასაც ეჭვქვეშ აყენებდნენ, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა.

WINDOWS XP-ის პრემიერის სარეკლამო ბიუჯეტი 200 მლნ დოლარს შეადგენდა. წინასწარ მოფიქრებული სარეკლამო მოწოდება – PREPARE TO FLY („მოემზადე გასაფრენად“) 11 სექტემბრის

შემდეგ უფრო ამორფული ფრაზით – YOU SOAR. YES YOU CAN („უთუოდ აფრინდები. დიახ, შენ ამას შეძლებ“) შეიცვალა. ფრენის ასოციაციაზე მთლიანად უარის თქმა მინც ვერ მოხერხდა – უკვე გვიანი იყო იმ რეკლამის ძირფესვიანად გადაკეთება, რომელშიც აქცენტი ახალი სისტემის მოქნილობასა და სისწრაფეზეა გაკეთებული.

WINDOWS XP-ში „მაიკროსოფტის“ ოპერაციული სისტემის ორი – საშინაო (WINDOWS 95|98|ME) და კორპორაციული (WINDOWS NT|2000) ხაზი პრაქტიკულად ერთ მთლიანობად არის შერწყმული. მომხმარებელს ორ ვარიანტს სთავაზობენ: HOME EDITION, რომლის ფასი აშშ-ში დაახლოებით 199 დოლარია, და PROFESSIONAL – 299 დოლარად.

„მაიკროსოფტი“ უკვე რამდენიმე წელია, ჰპირდებოდა მათ მსგავს კონვერგენციას, რომელიც შინ და სამსახურში ერთ სისტემასთან მუშაობის საშუალებას მისცემს ნაკლებად გამოცდილ მომხმარებლებს.

ანალიტიკოსთა პროგნოზის თანახმად, აღნიშნული ახალი სისტემის ეფექტურად გამოსაყენებლად, ბევრ ადამიანს თავისი პერსონალური კომპიუტერის განახლება მოუწევს. ჟურნალ PC WORLD-ის ვერსიით, ახალი სისტემისთვის სულ ცოტა, 64 მბ ოპერატიული მეხსიერებისა და მყარ დისკზე 1,5 გბ თავისუფალი ადგილის მქონე PENTIUM II 300 მგჰა-საჭირო. კორპორაცია GARTNER GROUP-ის ექსპერტებს კი მიაჩნიათ, რომ ეს არ იქნება საკმარისი და XP გამართულად მხოლოდ PENTIUM III P650 ან 800 მგჰა-ს შემთხვევაში იმუშავებს. ამრიგად, თუ ახლმა ოპერაციულმა სისტემამ მთელი ინდუსტრია მოიცვა, ბევრ ადამიანს თავისი კომპიუტერის გამოცვლა მოუწევს, თუმცა, ახლანდელი გართულებული ეკონომიკური სიტუაციის გამო, მომხმარებლებმა ჯერ

შეიძლება უარი განაცხადონ ამაზე და მაშინ XP-ის გაყიდვის მაჩვენებელი მოსალოდნელზე ბევრად დაბალი იქნება.

WINDOWS XP, NET-ის ტექნოლოგიის ელემენტებს შეიცავს, რადგან „მაიკროსოფტი“ თავის მომავალს სწორედ მსოფლიო ქსელს უკავშირებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა ექსპერტს მიაჩნია, რომ ამ ინდუსტრიის სიმძიმის ცენტრი თანდათან, სულ უფრო მეტად, ცალკეული კომპიუტერიდან ინტერნეტისკენ იხრება, ამდენად, ადამიანები მალე პროგრამულ პაკეტებს კი არ შეიძენენ, არამედ ქსელში განთავსებულ დანართებს დაიჭირებენ.

მთავარი კი ის არის, თუ ვინ დაადგენს ამ სფეროში სტანდარტებსა და წესებს, ვინ მოახდენს მომხმარებელთა იდენტიფიცირებას და მათგან თანხების აკრებას.

„მაიკროსოფტი“ დიდი ხანია მუშაობს იმაზე, რომ ცალკეული კომპიუტერების სამყაროში თავისი ლიდერობა, ინტერნეტზე ბატონობად აქციოს. WINDOWS XP-ის მომხმარებლებს დაჟინებით სთხოვენ რეგისტრაციის გავლას სპეციალურ ინტერნეტ-სამსახურში PASSPORT, რაც მათ საშუალებას მისცემს, ერთიანი სახელისა და პაროლის მეშვეობით, მსოფლიო ქსელის ბევრი შესაძლებლობით ისარგებლონ.

თავის მხრივ, მსოფლიოს უმსხვილესი ინტერნეტ-პროვაიდერი – კორპორაცია AOL TIME WARNER-იც ცდილობს, გახდეს საპლანეტო ქსელის მთავარი „ადმინისტრატორი“ და, შესაბამისად, მისი ყველა უპირატესობითაც ისარგებლოს. ამჟამად MICROSOFT და AOL TIME WARNER აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ დამოუკიდებელ ინტერნეტ-კომპანიებთან, და ქსელის მომხმარებლებს საკუთარი სტანდარტების უპირატესობებში არწმუნებენ.

მას არც გადაადგილება შეუძლია და არც ლაპარაკი, მაგრამ ის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული თანამედროვე მეცნიერია. რა ფანტასტიკურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, რაჟი ამას სტივენ ჰოუკინგი ამბობს, ყური უნდა დაუგდოთ და შეიძლება, დავიჯროთ კიდევ: დროა, ვიფიქროთ სხვა პლანეტების დასახლებაზე და სუპერმენტა გამოყვანაზეც.



# ასოლო ზაღაიანი ბაღბანიჩი ქოჰიუშიო ბაჰოროზიბან

ამ ცოტა ხნის წინ გამოჩენილმა ბრიტანელმა ფიზიკოსმა განაცხადა: „რობოტების დასამარცხებლად ადამიანთა მოდგმას ღმმს (დებორიბონუკლეინის მკავის) შეცვლა მოუწევს“. ჯერ კიდევ თხუთმეტიოდე წლის წინ საუკეთესო კომპიუტერი პირველთანი-გოსანი მოჭადრაკის დონეზე თამაშობდა, დღეს კი მას მსოფლიო ჩემპიონის დავაბანა შეუძლია. ამრიგად, ადამიანის ინტელექტი თანდათან ჩამორჩება კომპიუტერს...

სტივენ ჰოუკინგი თანამედროვე სამეცნიერო სამყაროს თითქმის ლეგენდარული ფიგურაა. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტია ფიზიკასა და მათემატიკაში. ჰოუკინგის წიგნი – „დროის მოკლე ისტორია“ მსოფლიო მასშტაბის ბესტსელერია, რომელიც არა მარტო მეცნიერებს, არამედ დეტექტივის მოყვარულს, ჩვეულებრივ მკითხველებს ალაფროთივანებს. როცა გამოცემულმა უთხრა, რომ თითოეული ფორმულა წიგნს სულ ცოტა, ნახევარჯერ უმცირებს მკითხველთა რაოდენობას, ჰოუკინგმა საერთოდ ამოიღო ფორმულები ტექსტიდან და ამის შედეგად, მას გამოუვიდა ისეთი თხზულება ქვეყნიერების შესახებ, რომელიც ნებისმიერი დონის ადამიანისთვის არის ხელმისაწვდომი.

„ბი-ბი-სი“-ს გამოკითხვის თანახმად, სტივენ ჰოუკინგი გასული ათასწლეულის უდიდეს მთაზროვნეთა ათეულში შედის. ის ამ ათეულის ერთადერთი ცოცხალი წარმომადგენელია, ყველა სხვა – კარლ მარქსით დაწყებული, ალბერტ აინშტაინით დამთავრებული – გარდაცვლილია.

ჰოუკინგი უახლესი მიღწევების გამოყენებით შექმნილი სახეობო უტლით მოძრაობს, ადამიანებისთვის ხმის მიწვდენა კი, მხოლოდ სამეტყველო სინთეზატორით შეუძლია. მიუხედავად ამისა, ის მეცნიერი, წინასწარმეტყვე-

ლის როლში გვევლინება. საშუალოდ, ბევრი მისი წინასწარმეტყველება საკმაოდ პირქუშია. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ მან განაცხადა, რომ კაცობრიობას IV ათასწლეულამდე მიღწევის ძალზედ მცირე შანსი აქვს, რისი ძირითადი მიზეზი – ე.წ. სათურის ეფექტია. თუ სიტუაცია კარდინალურად არ შეიცვალა, დედამიწა ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორც ახლა ვენერაზე – ე.ი. სიცოცხლისათვის შეუფერებელ პირობებში... თუმცა ესოდენ შორს გახედვა საჭირო სულაც არ არის, რადგან სათურის ეფექტს უკვე ამჟამად მცხოვრები თაობა შეიგრძნობს. „ჯანდაბას ჩვენი თავი, – ამბობს ჰოუკინგი, – აი, შემდგომი თაობა კი ნამდვილად, გულით მებრალება“.

ჰოუკინგს დედამიწის მოსახლეობის ზრდაც აშფოთებს. ის ამტკიცებს, რომ უზომოდ გამრავლებული კაცთა მოდგმა გადაჭამს ყველაფერს, რაც შეიძლება საკვებად გამოიყენო და შემდეგ, ქვეყნიერების ნანგრევებზე, ქვებზე მოდებული ხავსის ჭამასაც მიჰყოფს ხელს. ზოგი მეცნიერი ამ პრობლემის გადაჭრას გენეტიკურად მოდიფიცირებული პრობუქტის მეშვეობით იმედოვნებს, მაგრამ დღესაც უცნობია, რამდენად მანუა იგი ადამიანისთვის: გამორიცხული არ არის, რომ ის ადამიანის ორგანიზმის მუტაციას გამოიწვევს.

პრობლემის გადაჭრას ჰოუკინგი სხვა პლანეტების კოლონიზაციაში ხედავს. მისი აზრით, სხვადასხვაგვარ რაკეტსაწინააღმდეგო პროგრამისა თუ სამხედრო ტექნიკაზე უდიდესი სახსრების ხარჯვის ნაცვლად,

მთავრობებმა ყველა საშუალება კოსმოსის ათვისებისაკენ უნდა მიმართონ.

ძირითადი პრობლემა, რომელიც ახლა ჰოუკინგს, როგორც მეცნიერს, ყველაზე მეტად აწუხებს, ეს ორი – ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის კონფლიქტია. თუ კომპიუტერის ტვინი კვლავინდებურად სწრაფად განვითარდა, ადამიანი კი განვითარების დღევანდელ დონეზე დარჩა, კომპიუტერული ინტელექტი ძალზედ სწრაფად გავა ადამიანის კონტროლის არიდან და უბრალოდ, დაიპყრობს მსოფლიოს. „ვაითვალისწინეთ, რომ ეს არ არის ფანტასტიკა – ეს საკმაოდ რეალური სცენარია, – გვაფრთხილებს ჰოუკინგი. – ამიტომ აუცილებელია ადამიანის ბუნების დახვეწა!“ ამისთვის კი, მეცნიერის აზრით, გენების გაუმჯობესებისკენ მიმართული მანიპულაციების ჩატარებაა საჭირო, რაც საშუალებას მოგვცემს, დაბადებიდანვე ჩაუწეროთ ადამიანებს სრულიად გამორჩეული თვისებები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელოვნური გზით, შეადამიანთა ახალი მოდგმა უნდა გამოვიყვანოთ: ეს საკვებით ლოგიკურია, რადგან სუპერკომპიუტერისთვის დასაპირისპირებლად მხოლოდ შეადამიანი გამოდგება. ■





# ჯანმრთელობის ფილოსოფია

რუბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამაცაშვილი

სალერნოს  
ჯანმრთელობის კოდექსი  
(დასაწყისი ის. „გზა“ №44-№45)

## არნოლდ ვიტანოველი სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი

XXIX

სასარგებლოა ახალი კვერცხი,  
ოღონდ თოხლო და ჯერაც თხიერი.

XXX

ცერცვი ვაქოთ და ვაძაგოთ კიდეც:  
უჩინო ცერცვი მარგებელია,  
ჩინო ბერავს და მუნებელია.

XXXI

თხის რძეც კარგია და აქლემისაც,

მაგრამ ძროხისა უკეთესია.  
ნოყიერია ვირის რძეც მეტად, მაგრამ  
თუ თავი გტკივა, გაცივებს,  
მაშინ ოთხივე უსარგებლოა.

XXXIII

ყველი აცივებს, ამაგრებს კუჭსა, არის  
უხეში, მაგარი მძიძე.

პური და ყველი სასარგებლოა, თუ  
შეექცევა ჯანმრთელი კაცი.

მაგრამ თუ კაცი ავადმყოფია, არ უნდა  
ჭამოს პური და ყველი.

„ყველი მავნა!“ – გაიძახიან მუდამ  
ცული და ცრუ ექიმები.

და არ იციან, რად არის მავნე. –  
კარგია, თუ გაქვს მაგარი კუჭი.

გვიმოწმებს ყველა, ვინც ჩასწვდა კა-  
ცის გაჯანსაღების მეცნიერებას.

XXXIV

ჭამის დროს თუ სვამ, ცოტ-ცოტა  
მოსვი, კერძებს შორის კი თუ დალევ,

გაწყენს;  
და რომ არ გავნოს, ჭამის წინ შესვი,  
კვერცხს დაყოლე მცირედი წყალი.

XXXV

თევზს დაყოლე ცოტა ნიგოზი, ხორცს  
დაყოლე მცირედი ყველი.

ერთი ნიგოზი სასარგებლოა, ორი –  
სამძიმო, სამი – საკვდავი.

მსხალი შეჭამე – შესვი რაიმე, ნიგოზი  
განლაგოთ შხამის წამალი.

მსხალი უღვინოდ – შხამია მხოლოდ,  
და თუ შხამია, რაღა მსხალია!

ნახარში მსხალი შხამს უვნებელე-  
ოფს, მოუხარშავი – თავად შხამია.

ახალი მსხალი – კუჭის ტვირთია,  
ნახარში – კუჭის შემსუბუქება;

ჭამე მსხალი და შესვი რაიმე, ჭამე  
ვაშლი და – კუჭს არ შეგიკრავს.

(თარგმნა აკაკი გელოვანმა)

გაგრძელება იქნება

# თქვენი პატარა

## ბავშვთა ინფექციები

### ქუნთრუმა



ქუნთრუმა ბავშვთა მწვავე  
ინფექციური დაავადებაა,  
რომელსაც სტრეპტოკოკი  
იწვევს. ინფექციის წყარო  
ავადმყოფი ადამიანია. იგი  
ლაპარაკის, ხველების, ცემინების  
დროს ლორწოს წვეთებთან  
ერთად გამოყოფს გამომწვევს,  
რომლის ჩასუნთქვა იწვევს

დაავადებას. სტრეპტოკოკი გარემოში დიდხანს ცოცხლობს.  
ამიტომ ინფექციის გადატანა შეიძლება მოხდეს ნივთებით (ჭურ-  
ჭელი, სათამაშოები), რომლითაც ავადმყოფი სარგებლობდა. ძირ-  
ითადად ავადებიან 2-7 წლის ასაკის ბავშვები.

ფარული პერიოდი 1-11 დღეა, უფრო ხშირად – 3-4 დღე.  
ქუნთრუმის ტიპური ფორმა იწყება უეცრად სიცხის მო-  
მატებით (39-40 გრადუსამდე) და ყელის ტკივილით. ხშირ-  
ად დაავადების პირველი ნიშანია პირღებინება, რომელიც შესა-  
ძლოა განმეორდეს და არ არის დაკავშირებული საკვების  
მიღებასთან. დამახასიათებელია ანგინა: ხახის და ნუშურა  
ჯირკვლები შეწითლებულია, ზოგჯერ დაფარულია ზერელე  
ან ღრმა მორუხო ფერის ნაღებით. ყლაპვა ძლიერ მტკიე-  
ნულია, ყბისქვეშა ლიმფური კვანძები შესივებულია და მტ-  
კივნეული. პირველ დღეზე კანზე ჩნდება წვრილწინწკლები-  
ანი გამონაყარი. იგი განსაკუთრებით უხვია ზედა კიდურე-  
ბისა და ბარძაყების შიგნითა ზედაპირებზე და მუცლის გვერ-  
დებზე. შეწითლებულ კანზე თითს თუ გავაყოლებთ, ცოტა  
ხნით რჩება თეთრი ზოლები. გამონაყარისაგან თავისუფალია  
ნიკაპი და კანი ზედა ტუჩის ზემოთ. რაც წამოწითლებული  
სახის ფონზე თეთრ (ფერმკრთალ) ქუნთრუმისეულ ე.წ. ცხვირ-  
ტუჩის სამკუთხედს წარმოქმნის. დაავადების მეოთხე დღიდან  
გამონაყარი უფერულდება და ქრება. ამავე პერიოდში ენას

ნადები შორდება, კანის ზურგი შიშვლდება და მოწითალო  
ხდება. პირველი კვირის ბოლოს ან მეორე კვირის დასაწყის-  
ში იწყება კანის აქერცვლა.

ქუნთრუმის მსუბუქი ფორმის დროს ყველა ზემოთ აღწერ-  
ილი ნიშანი სუსტად და ხანმოკლედ არის გამოხატული, გამონა-  
ყარიც ოდნავ შესამჩნევია და მალე გაივლის, მას მშობელი  
ზოგჯერ ვერც კი ამჩნევს. არსებობს ქუნთრუმის მეტად მძიმე  
ფორმებიც (ტოქსიკური, სეფსისური), რომელიც ორგანიზმის  
ძლიერი მოშხამვის მოვლენებით მიმდინარეობს.

მეორე კვირას შეიძლება გამოვლინდეს ქუნთრუმის გართულე-  
ბები: ყურისა და კისრის ლიმფური კვანძების ანთება, თირკმლებ-  
ის ანთება (გლომერულონეფრიტი), გულის კუნთის ანთება (მი-  
ოკარდიტი). გართულება შეიძლება განვითარდეს ქუნთრუმის  
იოლი, შეუძნეველი მიმდინარეობის შემდეგაც.

ავადმყოფი იზოლაციას საჭიროებს. საავადმყოფოა წოლით  
რეჟიმში, რადგანაც გამორიცხული არ არის სერიოზული გართულების  
განვითარების საფრთხე. დაავადების მეშვიდე-მერვე დღიდან ბავშვს  
საწოლში თამაშისა და ოთახში სიარულის უფლება ეძლევა.  
დღისით 2-3 საათი უნდა ეძინოს. ჩვეულებრივ რეჟიმზე ბავშვის  
გადაყვანა დასაშვებია ექიმის ნებართვით მე-10–მე-12 დღიდან.  
მძიმე მიმდინარეობისას საჭიროა საავადმყოფოში მოთავსება.

ოთახი, სადაც ავადმყოფი წევს, დღეში რამდენჯერმე უნდა  
განიავდეს. ავეჯი და იატაკი სველი წესით დამუშავდეს, თე-  
ორულად, სათამაშოები და ჭურჭელი კი გამოიხარშოს. დასაწყისში,  
სანამ ყელის ტკივილი აღინიშნება, ავადმყოფს ეძლევა თხიერი,  
ვიტამინებით მდიდარი საკვები, ხილის წვენები, რძისა და მცენარეუ-  
ლი პროდუქტი. მეორე კვირის შემდეგ ჩვეულებრივ კვებაზე  
გადაყვანა თანდათან ხდება.

დაავადების პროფილაქტიკაში მთავარია ავადმყოფობის დროუ-  
ლი გამოვლინება და იზოლაცია. კონტაქტში მყოფ პირთა  
მიმართ ტარდება მეთვალყურეობა 7 დღის განმავლობაში. ნა-  
ვადმყოფარი სკოლაში უნდა წავიდეს 22-ე დღეს, ხოლო მანამდე  
არ შეიძლება მასთან ჯანმრთელი ბავშვების კონტაქტი.

# სამკურნალო მცენარეები

## ორკილა

ორკილა ერთწლიანი დატოტვილი ბალახია. იზრდება 30-100 სმ სიმაღლემდე. აქვს მოკლეყუნწიანი, ერთმანეთის პირისპირ განლაგებული სამად გაკვეთილი ფოთლები. ყვავილები კენწერული, ყვითელი, ნაყოფი კი სოლისებურია, აღჭურვილი ორი გამონაზარდით – ჯაგრით. იგი კბილს მოგვაგონებს. ეს ის ნაყოფია, ზაფხულის ბოლოს ქალაქ-არეთ გასეირნებისას, განსაკუთრებით ტბებისა და ჭაობიანი ადგილების ახლოს გავლისას, ტანსაცმელს რომ ეკვრის და ძნელი მოსაცილებელია.

ორკილა უნდა შეაგროვოთ აყვავებამდე ან ყვავილობის დასაწყისში, თხელ ფენად გაშალოთ და ჩრდილში გააშროთ. შეიძლება მისი კონებად შეკვრა და გასაშრობად სხვენზე დაკიდება.

მცენარე შეიცავს კაროტინს (A ვიტამინს), C ვიტამინს, ფლავონოიდებს, ეთერზეთებს, მიკროელემენტებს (ხოცავს ბაქტერიებს).

მანგანუმის იონი, C ვიტამინთან და ფერმენტულ სისტემებთან ერთად, გავლენას ახდენს სისხლწარმოქმნის, სისხლის შედელების პროცესებზე, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედებაზე. ორკილის ზეთოვანი გამონაწველილი შეიცავს წყალში უხსნად და ზეთში ხსნად A ვიტამინს. აქვს ანტიანთებითი თვისებები და ჭრილობის მოშუშების უნარი.

გამოყენება მედიცინაში: ორკილა უძველესი ხალხური



სამკურნალო საშუალებაა. მას იყენებდნენ პოდაგრის, ძირმაგარების, დიათეზის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ, აგრეთვე – როგორც შარდმდენ საშუალებას. მისი ნაყენი გამოიყენებოდა ბავშვთა მკურნალობის პრაქტიკაში აბაზანების მისაღებად.

რადგან ორკილა აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ამჟამად მას სხვადასხვა სახის დიათეზის, კანის სხვადასხვა დაავადების დროს იყენებენ. გარეგანი ხმარებისას ორკილა ჭრილობის დროულ შეხორცებას აჩქარებს.

ორკილას კლინიკური შესწავლისას დადგინდა მისი ანტიანთებითი თვისებები, აგრეთვე თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ფუნქციის მასტიმულირებელი უნარი.

ორკილას ნაყენს, როგორც ვიტამინურ საშუალებას, იყენებენ ფილტვების დაავადების, წყლულოვანი კოლიტის, კანის წყლულების დროს. ორკილას გამოყენებისას უკუჩვენება არ აღინიშნება.

ნაყენის მომზადება: 3 ს/კ ნედლეული ჩაყარეთ მოძინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჭიქა) მღუღარე წყალი, დადგით მღუღარე წყლის ორქოზე 15 წთ. გადმოდგით, შეაგრილეთ, გაწურეთ, შეავსეთ 200 მლ-მდე მღუღარე წყლით.

მიღება: 1/2-1/3 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ, როგორც ანტიანთებითი, ანთიალერგიული საშუალება. ნაყენი შეინახეთ გრილ ადგილას არა უმეტეს 2 დღისა.



დორი, გამოაცალეთ თესლი და დაჭერით ნაჭრებად. ორი საშუალო ზომის კიტრი გათაღეთ და დაჭერით ნამჯისებურად.

სასალათეში გროვად მოათავსეთ მწვანილიანი ბრინჯი, შემოუწყვეთ დაჭრილი პამიდორი, ვაშლი, კიტრი, სუფრაზე მიტანის წინ მოასხით ოთხი ს/კ არაჟანი.

## სოკოთი დატენილი კვერცხი ბელორუსულად

მაგრად მოხარშულ კვერცხს მოაცლიეთ ნაჭუჭი, მოაჭერით ბლავი მხარე და ამოაცალეთ გული. წვრილად დაჭრილ ერთ პატარა თავ ხახვს გემოვნებით მოაყარეთ მარილი და კარაქში მოხრაკეთ. თეთრი სოკოს ქული (ორი ცალი) მოხარშეთ, დაკეპეთ, კარაქში მოშუშეთ და შეურიეთ მოხრაკულ ხახვსა და საცერში გატარებულ კვერცხის გულს. მიღებული მასით ამო-

ავსეთ გამზადებული კვერცხები, დააწყვეთ ლანგარზე, დაასხით სამი ჩაის კოვზი მაიონეზი და ორი ჩაის კოვზი არაჟანი. მორთეთ ოხრახუმით და კამით.

## უკრაინული „კრუჩენიკი“

500 გ პროხის ხორცი თხლად დაჭერით, დაბეგვით და მოაყარეთ მარილი და პილპილი. 500 გ ახალი კომბოსტო დაკეპეთ და ერბოში მოშუშეთ. თითოეულ დაბეგვილ ხორცის ნაჭერზე მოათავსეთ ცოტა მოშუშული კომბოსტო, შეახვიეთ, ამოავლეთ პურის ფქვილში და შეწვით. შემწვარი „კრუჩენიკი“ მოათავსეთ ქვაბში და თითოეულს ზემოდან დაადეთ დაბეგვილი სუთის (ღორის ქონი) თხელი ნაჭერი (სულ 30 გ). დაასხით ნახევარი ჩაის ჭიქა ხორცის ბულიონი და შუშეთ შემზადებამდე. სუფრაზე მიიტანეთ იმ წვენი, რომელშიც იშუშა.

## სლავური სამზარეულო

### სალათი „ლატვია“

ერთი ჩაის ჭიქა მოხარშული ბრინჯი თუშფალანგში გადაიტანეთ და ცივი წყალი გადაავლეთ. როცა წყლისგან დაიწრითება, შეურიეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ოხრახუმი და კამა. გაფცქვენით ორი ვაშლი, ოთხი პამი-



# რჩევები ქალებს

## წვრილი წელი


ჩვენი წელის გარშემოწერილობაზე დრო თავისებურ ზეგავლენას ახდენს. წვრილი წელი მარტო ახალგაზრდების პრივილეგია არ არის. ამბობენ, წელის იდეალური წრეხაზი 21 სმ-ით ნაკლები უნდა იყოს თეძოების და 18 სმ-ით ნაკლები – მკერდის წრეხაზზე. უნდა შეიცავდეს კისრის ან მუხლის ორ წრეხაზს ან კოჭის ოთხ წრეხაზს. იგი ასეც იზომება: ტანის სიმაღლის ნახევარს უნდა გამოვავლოთ 15 სმ. ყველაზე კარგი საზომი მაინც ჩვენი შეჩვეული ბოლოკაბაა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს წელში „მოგვიჭერს.“ აი, მაშინ უკვე საგონებელში ვვარდებით და განწყობილებაც გვიფუჭდება, მაგრამ გულს ნუ გაიტყენთ – არის გამოსავალი – ფიზიკური ვარჯიშები.

წელის წრეხაზს უმოკლეს ხანში მოაკლდება 2-5 სმ, თუ სისტემატურად გავაკეთებთ შემდეგ ვარჯიშებს:

1. დავედეთ სწორად; ფეხები განზე, ტანის ზედა ნაწილი მოვაბრუნოთ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ასჯერ.
2. დავედეთ იატაკზე, ფეხები – განზე, მხრები – გამართულად, ხელები გადავაჯვარედინოთ. მოვბრუნდეთ მარჯვნივ და ასე გაგზირდეთ დალადად. შემდეგ იგივე მოძრაობა გავიმეორებთ მარცხენა მხარეს. ვარჯიში უფრო ეფექტური იქნება, თუ წელზე ორფად შემოვიხვეთ 15 სმ სიგანის ფანელის ნაჭერს.

მას, ვისაც მთელი დღის განმავლობაში უხდება ჯდომა, წელის სისრულისაკენ აქვს მიდრეკილება.

ამიტომ გირჩევთ, დღეში რამდენჯერმე გასწორდეთ ისე, თითქოს თავით უნდა შეეხებოდნენ ზედა კერს. ამ დროს ბეჭები უძრავად არის. არ უნდა დაივიწყოთ მუცლის სისტემატური შეწვევა, რაც ამბარებს მუცლის კუნთებს და ხელს უწყობს წელის დაწვრილებას.



**კითხვა: ვარ 25 წლის. ზოგჯერ მაქვს ხოლმე დაბალი წნევა – 90/60 მმ.ვწყ.სვ. და მტკივა თავი. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** თქვენი კვების რაციონში შეიტანეთ ქორფა ბოსტნეული, მწვანე ხაჭაპური, ხაჭაპური, აგრეთვე მიიღეთ ვიტამინების კომპლექსი. დალიეთ ჩაი, ყავა. წნევის მოსამატებლად შეგიძლიათ დალიოთ კორდიამინის წვეთები.

**კითხვა: რამდენიმე დღეა, მარცხენა ბეჭში მაქვს ძლიერი ტკივილი. ძალიან შეშინდა. ვსვამდი ვალიდოლს, ნიტროგლიცერინს, მაგრამ არაფერმა მიშველა. გადავიღე კარდიოგრამა და მითხრეს, გულისხან არ არისო. მე მაინც შეშინდა. სხვა რისგან შეიძლება მქონდეს ასეთი ტკივილი?**

**პასუხი:** თქვენ, ალბათ, გემინათ, რომ ტკივილი გამოწვეული არ იყოს გულის პათოლოგიით, კერძოდ სტენოკარდიით. მინდა გითხრა, რომ არც ერთი სტენოკარდიული შეტევა არ გრძელდება დღეების განმავლობაში, თუ ტკივილი კორონარების (გულის სისხლძარღვების) სპაზმითაა გამოწვეული და არ იხსნება ნახევარი საათის განმავლობაში, ყალიბდება გულის კუნთის ნეკროზი ანუ ინფარქტი, რომელსაც თავისი კლინიკური ნიშნები ახასიათებს. თუმცა არც ინფარქტის დროს შეიძლება, ადამიანს რამდენიმე დღის განმავლობაში ჰქონდეს ტკივილი, რადგან ეს სიმპტომი მხოლოდ ინფარქტის მწვავე პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. ამდენად შეუძლებელია, თქვენი ტკივილი იყოს გულისმიერი და საერთო მდგომარეობა შეუცვლელი.

თუ ტკივილი გულმკერდის არეში დაკავშირებულია სუნთქვასთან (ძლიერდება და სუსტდება ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის დროს), ის დანამდვილებით არ არის გულისმიერი. რადგან გულის ტკივი-

ლის ინტენსივობა არ უკავშირდება სუნთქვის აქტს. სუნთქვასთან თანხვედრი ტკივილის მიზეზი შესაძლოა, იყოს მიალგია (კუნთის ტკივილი), ნევრალგია (ნერვის ტკივილი), აგრეთვე პლევრის პათოლოგია (პლევრიტი), გულმკერდის ტრავმული დაზიანება.

თუ აღენიშნებათ ხველა, ქოშინი, თქვენი ტკივილი დაკავშირებულია სუნთქვის სისტემასთან. თუ ესეც გამოირიცხა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ მიალგია ან ნევრალგია, რაც, შეიძლება უბრალო შეცივებამ გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში უნდა მიიღოთ ტკივილგამაყუჩებელი და ანტიანთებითი საშუალებები.

**კითხვა: რა არის გულის შუილი და რამდენად საშიშია ადამიანისთვის?**

**პასუხი:** გულის მუშაობის პროცესში სარქველების დახურვის მომენტში აღმოცენდება ხანმოკლე ბგერა, რომელსაც გულის ტონები ეწოდება. ზრდადასრულებული, ჯანმრთელი ადამიანის გულზე არავითარი სხვა ბგერა არ მოისმინება.

შუილი ეწოდება გულში აღმოცენებულ ხმანობას, რომელიც ტონისაგან მეტი ხანგრძლივობით განიჭება. შუილი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სისხლი დიდი სისწრაფით გადის რომელიმე სარქველის ცუდად ჩაკეტილ კარედებს შორის, ან იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლს გასვლა უხდება შევიწროებულ სარქველში. ამგვარად შუილი არის გულის სხვადასხვა მანკის ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომი. ხანში შესულ ადამიანს შუილი შეიძლება განუვითარდეს ათეროსკლეროზის ნიადაგზე.

მეტად საყურადღებოა, რომ შუილი ხშირად აღენიშნება ბავშვსა და ახალგაზრდას, ზოგჯერ კი მომწიფებული ასაკის ადამიანსაც, რომელსაც არ აქვს გულის დაავადება. ეს არის ე.წ. ფუნქციური შუილი. ამის მიზეზი ის არის, რომ გულის კუნთის ყველა ნაწილი იდეალური თანმიმდევრობით არ იკუმშება და სარქველებში რჩება პატარა ნაპრალები. ასეთი შუილი დროთა განმავლობაში ქრება ყოველგვარი მკურნალობის გარეშე. ხოლო თუ შუილს საფუძვლად უდევს გულის ორგანული პათოლოგია – მანკი, ავადმყოფი საჭიროებს კონსერვატიულ (მსუბუქი მანკის დროს) ან ქირურგიულ (დრმა მანკის დროს) მკურნალობას, რომლის ტაქტიკასაც მხოლოდ ექიმი განსაზღვრავს.





# genialuri baironis Svili –

## კირველი კოკიუბერული პროგრამის ავტორი



ბაირონი რომანტიკოსი პოეტი იყო. უკანასკნელად თავისი ქალიშვილი მაშინ ნახა, როცა გოგონას ჯერ ერთი თვეც არ შესრულებოდა. ამ ასაკში ძნელი სათქმელი იყო, თუ ვის დაემსგავსებოდა ბავშვი. ავეუსტა ადა სახით მამას დაემსგავსა, მაგრამ მისწრაფებებით დედის ასლი აღმოჩნდა.

ბედნიერი ოჯახური თანაცხოვრების პერიოდში, ანა იზაბელა ბაირონს, ქმარმა „პარალელოგრამების დედოფალი“ შეარქვა. მათი ქორწინება დიდხანს არ გაგრძელებულა: ქმრის

ადას დედა – ანა იზაბელა ბაირონი

უგუნურობით გატანჯული ანა, მშობლებს დაუბრუნდა.

რომანტიკოსი და შფოთისთავი ბაირონი იტალიაში იმ განზრახვით გაემგზავრა, რომ ლონდონში აღარასოდეს დაბრუნებულყო და აზრადაც არ მოსვლია, რომ აკვანში კიბერნეტიკის მომავალ ლეგენდას ტოვებდა.

ახალდაბადებული გოგონა დედამ თავის მშობლებს დაუტოვა, თვითონ კი, დარდის გასაქარვებლად, სამოგზაუროდ წავიდა. მისი ბაირონი შინ სწორედ მაშინ დაბრუნდა, როცა ავეუსტას აღზრდაზე ზრუნვის დრო დადგა. თავდაპირველად, სახელი შეუკვეცა და ბავშვს უბრალოდ ადას ეძახდნენ, რათა საბოლოოდ დაევიწყებინათ სეხნია – ბაირონის ბიძაშვილი, რომელთანაც პოეტს არა მხოლოდ ნათესაური კავშირი ჰქონდა. ამასთანავე, ყველა ახლობელსა და სტუმარს აეკრძალა ბაირონის სახელის ხსენება, მისი წიგნები კი, საოჯახო ბიბლიოთეკიდან სრულიად გაქრა.

„პარალელოგრამების დედოფალი“ მათემატიკით იმდენად იყო გატაცებული, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მაღალი წრისა და ფორმალურად გათხოვილი ქალისთვის. ანა ცდილობდა, ქალიშვილში გაეღვივებინა ანალიტიკური შესაძლებლობე-

ბი და ამით იმ რომანტიკულ მიდრეკილებებს დაჰპირისპირებოდა, რომელიც გოგონას მამისგან შეიძლება რეგებოდა შემკვიდრებად.

მისი ბაირონმა ადასთვის თავისი ყოფილი მასწავლებელი – შოტლანდიელი მათემატიკოსი, ოგასტეს დე მორგანი მიიწვია. ოგასტესი მერი სომერვილზე იყო დაქორწინებული, რომელმაც იმით გაითქვა სახელი, რომ ფრანგულიდან თარგმნა ასტრონომ პიერ ლაპლასის ნაშრომი „ტრაქტატი ციური მექანიკის შესახებ“. მერიმ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავისი მოწაფის ჩამოყალიბებაში.

გოგონამ დედის იმედები ნამდვილად გაამართლა. ცამეტი წლის ასაკში თავის ალბომში ის უკვე საფრენ აპარატებს ხაზავდა... თუმცა, იმის უტყუარი ცნობებიც არსებობს, რომ ადა მალულად ლექსებსაც წერდა და ამის, ისე რცხვენოდა, როგორც შემკვიდრებით მიღებული რაღაც სენის. საკუთარი პოეტური მიდრეკილებების რეალიზება მან გაცილებით გვიან მოახერხა...

როცა ადას ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა, ყველა ბავშვური უსიამოვნება და ზშირი ავადმყოფობა უკან დარჩა. მან საზოგადოებაში გასვლა შეძლო და ცოტა ხანში, მეფე-დედოფლის წინაშეც წარდგა. ახლობლები ვარაუდობდნენ, რომ ერთ-ერთ მე-




ჯლისზე ადა ისეთ მამაკაცს შეხვდებოდა, რომელსაც მთელ ცხოვრებას მიუძღვნიდა. ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა.

ჩარლზ ბებიჯის სახელი ახალგაზრდა მის ბაირონმა ერთ-ერთი სადილის დროს მერი სომერვილისგან გაიგო. რამდენიმე კვირის შემდეგ ისინი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ.

ორ ლეგენდარულ მათემატიკოსზე საუბრისას შეუძლებელია, ციფრების გვერდის ავლა. მათი გაცნობის პერიოდში ჩარლზ ბებიჯი კემბრიჯის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის პროფესორი იყო – ისევე, როგორც სერ ისაკ ნიუტონი საუკუნე-ნახევრით ადრე. თანამდებობის დაკავებამდე რამდენიმე წლით ადრე, ბებიჯმა აღწერა ლოგარითმული მანქანა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მათემატიკური გამოთვლები ოცციფრიან რიცხვებზე.

ნახაზი, რომელიც უამრავი ლილვაკითა და კბილანით იყო სავსე, რომელიც ბერკეტს უნდა აემოქმედებინა, პრემიერ-მინისტრის მაგიდაზე აღმოჩნდა. 1823 წელს გამოიყო პირველი სუბსიდიის ასაგებად, რაც დღეს დედამიწაზე პირველ კომპიუტერად ითვლება და „ბებიჯის

ბებიჯის ანალიტიკური მანქანა



ჩარლზ ბებიჯი

ანალიტიკური მანქანის“ სახელით არის ცნობილი. მშენებლობა ათი წელი გრძელდებოდა, მისი კონსტრუქცია სულ უფრო რთულდებოდა, მაგრამ 1833 წელს დაფინანსება შეწყდა.

როცა პირველად ბებიჯი იხილა, ადა ბაირონი 18 წლის ყოფილა. გოგონა 1815 წლის დეკემბერში იყო დაბადებული. ამდენად, გამოდის, რომ მათი გაცნობა 1833 წელს შედგა. ასე რომ, ღარიბი მათემატიკოსისა და რომანტიკოსი არისტოკრატი გოგონას შეხვედრა, როგორც ბებიჯს, ასევე მეცნიერებასაც ნამდვილად წაადგა.

იმ დროს უმაღლეს საზოგადოებაში სასწაულმოქმედი მანქანის განხილვა მოღურად ითვლებოდა. შრიალა კაბებში გამოწყობილი მაღალი წრის ქალების დელეგაცია მეცნიერის ლაბორატორიის დასათვალიერებლად დადიოდა. ოგასტეს დე მორგანი მოსწავლით ამაყობდა და შემდგომში ასე იხსენებდა კომპიუტერის „წინაპართან“ ადას პირველ შეხვედრას: „სტუმრების უმრავლესობა ველური ადამიანის თვალებით უშერდა ამ საოცარ მოწყობილობას, მის ბაირონი კი უმაღლეს მიხვდა მანქანის მუშაობის პრინციპს და გამოგონების დიდი ღირსება

შეაფასა“.

გრძობა, რომელმაც ადა და ბებიჯი ერთმანეთთან დააკავშირა, მეცნიერებისადმი ლტოლვა იყო. ჩარლზი ქალზე ოცდაათი წლით იყო უფროსი და მათი ურთიერთობა არასოდეს გასცილებია საქმიანი თანამშრომლობის ფარგლებს. 1834 წელს მის ბაირონი ცოლად გაჰყვა ოცდაცხრა წლის უილიამ კინგს, რომელმაც მალე მემკვიდრეობით, ლორდ ლავლიისის ტიტული მიიღო, მაგრამ ვერც ქმარმა და ვერც სამმა მცირეწლოვანმა შვილმა ვერ შეუშალა ხელი ადას, რომ გატაცებით მისცემოდა იმ საქმეს, რაც თავის მოწოდებად მიაჩნდა. გათხოვებამ მისი შრომის შემსუბუქებაც კი შეძლო: გრაფ ლავლიისის ოჯახური ხაზინის სახით მას დაფინანსების უწყვეტი წყარო გაუჩნდა.

პირველი, ჭეშმარიტად საქმიანი წერილი ბებიჯს ადამ 1836 წლის 18 იანვარს მისწერა, როცა ქალი პირველ შვილზე – ბაირონ ნოელზე იყო ორსულად. მათი მიმოწერა გრაფინიას სიკვდილამდე გრძელდებოდა.

სანამ ადა დროებით თავის ახალ შექმნილ ოჯახზე იყო გადართული, ბებიჯის თავზე ღრუბლები იკვრებოდა. მისი გაუგებარი აგრეგატი სამშობლოში მოდიდან გამოვიდა და გამოგონებელი იძულებული გახდა, მანქანით ვინმეს დაინტერესების მიზნით, თავისი მოძღვრებით კონტინენტზე გამგზავრებულყო. როცა 1842 წელს იტალიელი მეცნიერი მანიბერა, ანალიტიკურ მანქანას გაეცნო, აღფრთოვანება ვერ დაფარა და გამოგონების პირველი დაწვრილებითი აღწერილობა შექმნა. თავდაპირველად სტატია ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა, ინგლისურ ენაზე მისი თარგმანა კი სწორედ ადამ ითავა. მოგვიანებით ბებიჯმა მას შესთავაზა, ტექსტისთვის დეტალური კომენტარები დაერთო. სწორედ ამ კომენტარის წყალობით უწოდებენ შთამომავლები ადა ბაირონს პლანეტის პირველ პროგრამისტს.

ქალმა ბებიჯს აცნობა, რომ ანალიტიკური მანქანისთვის ოპერაციების გეგმა ჰქონდა შედგენილი და მისი მეშვეობით, შესაძლებელი იყო ე.წ. ბერნულის განტოლების ამოხსნა, რომელიც მოძრავი სითხის ენერჯის შენარჩუნების კანონს ასახავს.



სწორედ ეს „ოპერაციების გეგმა“ არის მინიშნული მსოფლიოში პირველ კომპიუტერულ პროგრამად! „ანალიტიკურ მანქანას, – წერდა გრაფინია ლავლიისი – შეუძლია ქსოვოს ალგებრული ფორმულები, ისევე, როგორც ჟაკარდის დაზგა ქსოვს ყვავილებსა და ფოთლებს“.

ადას მეორე გატაცება მათემატიკის შემდეგ, მუსიკა იყო. პირველმა პროგრამისტმა ისიც იფარაუდა, რომ ანალიტიკური მანქანა შემდგომში მუსიკალური ნაწარმოების შექმნასაც შეძლებდა. როგორც ყველა თანამედროვე ადამიანისთვის არის ცნობილი, მისი ეს პროგნოზი გამართლდა.

ადას თანამედროვეები ეჭვობდნენ, რომ გრაფინია ლავლიისს თვით ლუციფერთან ჰქონდა კავშირი, ჩარლზ დიკენსი კი სერიოზულად ვარაუდობდა, რომ მასთან ამ ქალის სტუმრობის შემდეგ, სახლში უწმინდური ძალის კვალი იგრძნობოდა. ეჭვები იდუმალ სამყაროსთან მისი კავშირის შესახებ იმის გამო კი არ წარმოიქმნა, რომ ადას სატანამ დენტის სიადუმლოს მსგავსი რამ გაუშინლა, არამედ იმიტომ, რომ ქალი გასაოცრად ჭკვიანი იყო. ლონდონის საზოგადოებას ალბათ ისიც აშფოთებდა, რომ ქალი მეტისმეტად შეუპოვრად მოითხოვდა საზოგადოებისაგან ფულს თავისი პროტეჟესთვის. ამასთან, არც იმას ერიდებოდა, რომ თავისი დემონური არსი წარმოეჩინა – ბოლოს და ბოლოს, ის ზომ თავისი მამის შვილი იყო...

1843 წლის 4 ივლისს გურუს მიმართ მიწერილ წერილში ადა სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად წერდა: „ჩემო ძვირფასო ბებიე! თქვენთვის ისე ვმუშაობ, როგორც ეშმაკი (შესაძლოა, მართლაც ეშმაკი ვარ). ფართოდ არის ცნობილი კიდევ ერთი მისი გამოთქმა: „ვფიცავ სატანას – ათი წელიც არ გავა ისე, რომ არ გამოვწოვო სასიცოცხლო სისხლი საიდუმლოებას, რომელსაც კაცობრიობა ინახავს, – თანაც არა ისე, როგორც ამას ჩვეულებრივი მოკვდავის ტვინი და ტუჩები შეძლებდა. არავინ იცის, თუ რა საშინელი ენერგია და ძალა ბუდობს ჩემს პატარა, მოქნილ არსებაში...“

ამრიგად, ადა თავიდან ჩარლზ

ბებიჯის სპონსორი იყო, შემდეგ კი მისი პიარ-შენიშნული და პროდიუსერი გახდა, მაგრამ იყო თუ არა თვით ადა მეცნიერი, მათემატიკოსი? ზომ არ არის გაზვიადებული მისი ანალიტიკური შესაძლებლობები? იქნებ, მითური პერსონაჟი „ადა ბაირონი“ მხოლოდ იმისთვის გაჩნდა, რათა ოდნავ მაინც გამოეცოცხლებინათ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის ნიმუშები სერიიდან – „მათემატიკოსებიც ადამიანები არიან“?.. ყველა ენციკლოპედიაში ავგუსტა ადა კინგ ლავლიისი ფიგურირებს, როგორც ინლისელი მათემატიკოსი. მის ძირითად სამეცნიერო ნაშრომად მოხსენიებულია მანიბერას სტატიის – „ბებიჯის ანალიტიკური მანქანის ელემენტები“ – თარგმანი და მისთვის შექმნილი ანოტაცია. საქმის გახლავთ, რომ ადა, ბებიჯისგან განსხვავებით, რიგიანად ფლობდა ფრანგულ ენას. თარგმნა წერილი და ამით გაითქვა სახელი. მას კი არ ამოუხსნია ჰიდრაულიკაში შეუცვლელი ბერნულის განტოლება, – მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდი გამოთქვა, რომ მისი ამოხსნა ანალიტიკური მანქანის მეშვეობით იყო შესაძლებელი.

მისმა ერთმა წინადადებამ, რომელიც ადამ ბებიჯს შესთავაზა, კინაღამ წერტილი დაუსვა მეცნიერის სამეცნიერო კარიერას. ლედი ლავლიისი დარწმუნებული იყო, რომ მანქანას უკვე შესწევდა უნარი, ამოეხსნა პრაქტიკული ამოცანები, კერძოდ – დოდის ფსონების მოძებნიანი პროგნოზი გაეკეთებინა, მაგრამ ან მანქანა არ

იყო გამართული, ან ბუნებაში აირია რაღაც – და ცხენები არ დაჯირითობდნენ ისე, როგორც ეს ადას სისტემით იყო გამოთვლილი. მას შემდეგ, რაც ქალმა თავისი და ქმრის ფული მთლიანად წააგო, სასოწარკვეთილმა, დაიწყო ექსტრემალური ფინანსური წყაროს ძიება, მაგრამ ამაოდ. სრული ფინანსური გაკოტრებისგან ლავლიისების ოჯახი, რა სამწუხაროც არ უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ადას მოულოდნელმა სიკვდილმა იხსნა – ქალი კიბოთი დაიღუპა.

ადას გარდაცვალების შემდეგ, ბებიჯმა კიდევ 20 წელი იცოცხლა, მაგრამ მექანიკური გამოთვლელი მანქანის აგება მაინც ვერ შეძლო.

1991 წელს ბებიჯის ნახაზების მიხედვით ინგლისელმა მეცნიერებმა მექანიკური გამოთვლელი მანქანა ააგეს. გაყოფის ან გამრავლების ერთ ოპერაციას ის 2-3 წუთს ანდომებს, თანამედროვე გამოთვლელი მანქანების სიჩქარე კი, ერთ წამში 10-ის მე-8 ხარისხის რაოდენობის ოპერაციას ასრულებს.

1975 წელს აშშ-ის თავდაცვის სამინისტროში პროგრამირების უნივერსალური ენის შექმნა გადაწყვიტეს. მინისტრმა მდივნების მიერ მომზადებული ისტორიული ექსკურსი წაიკითხა და უყოყმანოდ მოიწონა როგორც პროექტი, ასევე მომავალი ენის სავარაუდო დასახელება – „ადა“. თავად ადა ბაირონი ამ მოვლენამდე 123 წლით ადრე გარდაიცვალა. როგორ არ ეცადა ლედა, დაეცვა ადა მამის ბედის ზეგავლენისაგან, მაგრამ ის მაინც საოცრად აირეკლა პოეტის ერთადერთი კანონიერი ქალიშვილის ცხოვრებაზე: მამაც და შვილიც – ორივე შავთმიანი, თვალებანთებული იდეალისტი იყო და მზად იყო თავი გაეწირა უცხო ქვეყნის თავისუფლებისთვის ან ყველაფერი დაეთმო იმ გამოგონებისათვის, რომელიც შეიძლება, არავის მიეღო. ადა ლავლიისსა და ჯორჯ გორდონ ბაირონს ერთმანეთი სიცოცხლეში არასოდეს უნახავთ, მაგრამ ორივე 36 წლის ასაკში გარდაიცვალა და ნოტინგჰემშირში, ბაირონების საგვარეულო აკლდამაშია დაკრძალული. ■



**ფოტოგრაფია,  
რომელიც ავითარებს  
322 კმ/სთ სიჩქარეს**



ქეიფი ბუნებაში	ველური მსხალი	მსოფლიოს XIV ჩემპიონი ჭადრაკში	შაქრიანი ნიგეზის მასა	სარებთან ბრძოლა	
↖		↓	↓	↓	
	კე მერილინ მონროს მონაწილეობით				
↖					↑
					სიმღერა ოპერაში
	პომიდორი		სახელმწ. ევროპაში ამერიკელთა მეტსახელი	↖	↖

„არ დაიდარდო“ მთ. პერსონაჟის გვარი	ბატენის მოგების დრო	სცენაზე დასადგმელ ნაწარმოების ავტორი	სასულე ინსტრუმენტი	სკანდინავიელი მეკობრე	✻	„ქალების პრეფერანსი“	საფრანგეთის პრეზიდენტი (1959-1969)
↖		↖			↖		
ნაგებობა ტელეგრაფი-სათვის	ყანწის მასალა			გულის წამალი			
↖			ტროპიკული ხილი	ჩინური ჭადრაკი		„ვალენსის“ არგენტინელი ფეხბურთელი	↖
მერიმეს ნოველა					პროტეინების ორგანო ვერტიკალური ფილა	ფართის ინგლისური ერთეული	ზუესის მომხიბვლელი პერას ქურუმი
		კვ პომანისა და ლანგის მონაწილეობით					
	ყვლაზე ორგანიზებული ტუტუშ რაზმი						
	ნოტი	ჰაგის უკანა ნაწილი	ავიჯი	რაინული ცენტრი	გადაწოდება სპორტში		
	საკომუნიკაციო საშუალება	გულმკერდის დამცავი აპკი	შეჯიბრი ავტომობილებით	მდინარეში გასასვლელი ადგილი	<b>შუადგინა რამაზ ალანიამ</b>		

26-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-გ.  
43-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა; 4-გ.



# კვირის (19-25 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

## ღრინაკალი - 24/X-22/XI



წარუმატებლობის ხანა თქვენს ცხოვრებაში დასრულდა. ყველა საქმე თანდათან აგეწყო-ბათ, ოჯახური პრობლემებიც მოგვარდება და ამოსუნთქვის საშუალება მოგეცემათ. ოღონდ, ნუ ეცდებით მოვლენების დაქარებას - ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება. თუ თქვენი ბოტოქარი ხასიათი გართობას მოეთხოვთ, ხელი მოჰკიდეთ რომელიმე ბავშვს და... ცირკში წაიყვანეთ.

## ქვეილდოსანი - 23/XI-21/XII



უამრავი სიამოვნება გელით - დროს ტარება მეგობრების წრეში, ვნებიანი სასიყვარულო თავგადასავალი და შესაძლოა, მოულოდნელი შემოსავალიც. შერბვით ეს ყველაფერი და ნურავის აწყენინებთ: არ დაგავიწყდეთ, რომ ცხოვრების გზაზე სირთულეები თქვენც შეგხვდებათ და აღამიანების თანადგომა დაგჭირდებათ.

## თხის რქა - 22/XII-20/I



მტკიცედ მიიწევთ დასახული მიზნისაკენ, წარმოიდგინეთ - უფრო მეტად მიუახლოვდით კიდევ, ვიდრე თავად ფიქრობთ. უფროსობაც გაცოცხლებია თქვენი განსწავლულობითა და კომპეტენტურობით. სავარაუდოა, რომ მალე დაგაწინაურებენ კიდევ. ამავე დროს, მზად უნდა იყოთ ხანმოკლე და სასიამოვნო მოგზაურობისთვის.

## ვერწყული - 21/I-19/II



ქვეცნობიერად, რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენისთვის ემზადებით. თუ თავად ვერ გარაკვეულხართ იმაში, რა გსურთ, ნუ შეშფოთდებით - ყველაფერს თავისი დრო აქვს. ზედმეტი ნერვიულობით გარშემოყრდნობისთვისაც ძნელი ასატანი იქნებით და საკუთარ თავსაც ვერაფერს არებთ.

## თაყვანი - 20/II-20/III



ყველა ემოცია, რომელიც ბოლო დროს ასე ჭარბად გქონდათ, თანდათან დაცხრება. მეტი მობილიზება და დაკვირვება გმართებთ ოჯახური პრობლემების მოგვარებისას. შეეცადეთ, არ მოეშვათ, გეგმაზომიერად იმოქმედოთ და დაკვირვებით მოეკიდოთ ყველა საქმეს. ამასთან, ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას.

## მშვიდი - 21/III-20/IV



მეტისმეტად მოგბეზრდათ ყოფითი პრობლემები და სხვებზე ზრუნვა. საკუთარ თავზე რომ გადაერთოთ, აუცილებელია, ადრე დაწყებული საქმეები დაასრულოთ. მოეშადეთ რომანტიკული თავგადასავლისთვის - ეცადეთ, ბოლომდე გათავისუფლდეთ წვრილმანი ვალდებულებებისა და უმნიშვნელო საქმეებისგან.

## კორი - 21/IV-21/V



უთუოდ შეამჩნევდით, რომ ახალ ნაცნობებს თქვენთვის სარგებლობა მოაქვთ. ყური დაუგდეთ მათ რჩევებს, მაგრამ ნურც ძველ მეგობრებს დაივიწყებთ - ისინი მაინც, გაცილებით საიმედონი არიან. შესაძლოა, რომელიმე შურიანმა აღამიანმა გუნება გაგიფუჭოთ, მაგრამ გულთან ახლოს ნუ მიიტანთ: მალე სამაგიერო მიეხვდება.

## მარცხი - 22/V-21/VI



საკმაოდ შფოთიანი კვირა გელით. თქვენ მიერ გამოთქმული თითოეული აზრი განსხვავებული იქნება, ნებისმიერი საუბარი პოლემიკასა თუ კამათში გადაიზრდება. დაიოკეთ ემოციები და გაიხსენეთ, რომ დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობა ყოველთვის სიკეთის მომტანი როდია. უქმეები, სჯობს, განმარტოებით გაატაროთ და ყველაფერი კარგად გააანალიზოთ.

## პირნისი - 22/VI-22/VII



კვირის დასაწყისში ძალიან ბოტოქარი მოვლენები გელით, შუა პერიოდისთვის კი, საყვარელი აღამიანის მკლავებში აღმოჩნდებით, რაც ძალზედ რომანტიკულ უქმეებს გიქადით. შესაძლოა, თანამშრომლებთან წვრილმანი უსიამოვნებები გქონდეთ, რაც სამსახურის გამოცვლასაც გაფიქრებინებთ, მაგრამ ასეთ საქმეში აჩქარებას არ გირჩევთ.

## ლომი - 23/VII-23/VIII



თავი მოგაბეზრათ რუტინულმა სამუშაომ. კარგა ხანია, იმის სურვილი გკლავთ, რომ თქვენს ცხოვრებაში რაიმე გამორჩეული მოხდეს, რაც ძლიერ ემოციას განაცდევინებთ, მაგრამ ეს მხოლოდ თქვენს ხელთ არის: ზედმეტად ხართ ჩაფლული ყოველდღიურ საზრუნავში.

## ქალწული - 24/VIII-23/IX



თუ ვინმესთან განშორება მოგიწევთ, ეცადეთ, ამას ფილოსოფიური თვალით შეხედოთ. ბუნება ვერც სიცარიელეს ეგუება და ვერც ბალანსის დარღვევას, ამიტომ, მალე ახალი მეგობარი გამოგიჩნდებათ. ეს ძალზედ დროულიც იქნება, რადგან თბილი და გულწრფელი ურთიერთობის ნაკლებობას განიცდით.

## სასწორი - 24/IX-23/X



თუ დიდი შემოსავალი ჯერ არ მიგიღიათ, ის ნამდვილად იცით, როგორ მიადგინოთ ამას. თქვენი იდეის განხორციელება, რომ იტყვიან, მხოლოდ ტექნიკის საქმეა. როგორც კი ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგებით, ყველაფერს სათივით ააწყობთ. გირჩევთ, უქმეები ახლობლებს მიუძღვნათ - მათ თქვენი თანადგომა დასჭირდებათ.

# როგორ ანანილებით დროს?

ზოგიერთი ადამიანის ცხოვრებაში სამუშაოს უდიდესი დრო მიაქვს და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ხშირად მას, ვისაც სამუშაო უყვარს, სხვა საქმიანობაზე გადართვა უჭირს. ძალიან კარგი თვისებაა, როცა ადამიანი შინ დაბრუნებისას სამსახურის პრობლემებს ზღურბლს მიღმა ტოვებს და მთელ დროს ოჯახს უთმობს.

ამ მხრივ როგორი ხართ თქვენ? შეგიძლიათ თუ არა დასვენებისა და სამუშაოს შეთავსება? შეამოწმეთ თქვენი თავი, ქვემოთ მოყვანილი ტესტის მეშვეობით:



- 1) როგორი რეაქცია გეჩნებათ, თუ დასვენების დღეებში მოულოდნელად ვაკანსინდათ, რომ სამსახურში დასამთავრებელი საქმე დაგჩნათ?
  - ა) გუნება გაგიფუჭდებათ და დასვენების დღეები ჩაგშნამდებათ - 1;
  - ბ) ყველაფერს მიატოვებთ და საქმის დასამთავრებლად სამუშაოზე გაიქცევით - 0;
  - გ) არაფერს არ მოიმოქმედებთ - 2.
- 2) ბლოკნოტი, რომელშიც სამსახურებრივ საკითხებს ინიშნა:
  - ა) მუდამ თან დაგაქვთ - 2;
  - ბ) მხოლოდ სამსახურში ატარებთ თან - 1;
  - გ) ასეთი ბლოკნოტი არ გაქვთ - 0.
- 3) თუ სამსახურში უფროსებთან კამათი მოგივლიათ, შინ დაბრუნების შემდეგ:
  - ა) ოჯახის წევრებს ირგვლივ შემოიკრებთ და მთელ საღამოს სამსახურის პრობლემების განხილვას მოუძღვით - 0;
  - ბ) მოკლედ უამბობთ შინაურებს მომხდარის შესახებ - 1;
  - გ) ოჯახში არაფერს იტყვით, რადგან მიგჩნიათ, რომ შინაურებს თქვენი სამსახურებრივი პრობლემები არ უნდა მოახვიოთ თავს - 2.
- 4) თუ მეგობრები თავიანთ წრეში მივიპატიყცბენ და ამ დროს სამსახურში საქმე

- გაქვთ დასამთავრებელი, როგორი იქნება თქვენი არჩევანი?
- ა) ჩათვლით, რომ ერთი დღე არაფერს წყვეტს და მშვიდად გაეშურებით მეგობრებთან - 0;
  - ბ) მეგობრებს დაუკავშირდებით და ეტყვით, რომ მათ საქმის დასამთავრებისთანავე შეუერთდებით - 2;
  - გ) ჩვეულებრივ, თქვენ ყველა დაწყებული საქმე აუცილებლად მიგაყოფთ ბოლომდე - 1.
- 5) ინტერესდებიან თუ არა ოჯახის წევრები თქვენი სამსახურებრივი საქმეებით?
- ა) დიახ, ხშირად - 0;
  - ბ) იშვიათად, როცა სამსახურიდან უგუნებოდ ბრუნდებით - 1;
  - გ) საჭიროების შემთხვევაში, სამსახურში მომხდარ ამბებს თავად ჰყვებით ხოლმე ოჯახში - 2.
- 6) თუ ოჯახის წევრები ვსაყვედურობენ, რომ სამსახურს მეტისმეტად ბევრ დროს უთმობთ და ოჯახი გაეიწყლება, მაშინ თქვენ:
- ა) უსიტყვოდ ეთანხმებით და საკუთარ თავს პირობას აძლევთ, რომ მეტ დროს დაუთმობთ შინაურებს - 0;
  - ბ) გაღიზიანებული პასუხობთ, რომ თქვენ საქმით ხართ დაკავებული და სხვებივით მთელი საღამო ტელევიზორს არ უყურებთ - 2;

- გ) ეცდებით, იპოვოთ კომპრომისული ვარიანტი და ოჯახსა და სამსახურს შორის თანაბრად გაანაწილოთ დრო - 1.
- 7) დაგაქვთ თუ არა თან ოჯახის ფოტოსურათი?
- ა) აუცილებლად - 2;
  - ბ) არა, ფოტოებს შინ ათვალიერებთ ხოლმე - 0;
  - გ) არა, ამას მეტისმეტად სენტიმენტალურ ქცევად მიიჩნევთ - 1.
- 8) ძილის წინ, ჩვეულებრივ:
- ა) ფიქრობთ განვლილ დღეზე - 1;
  - ბ) ხვალინდელ დღეს გეგმათ - 2;
  - გ) ცდილობთ, არაფერზე იფიქროთ და მალე დაიძინოთ - 0.
- 9) გაქვთ თუ არა რაიმე ჰობი (გატაკება)?
- ა) გაქვთ - 1;
  - ბ) არა, ეს მხოლოდ დროის კარგვაა - 2;
  - გ) თქვენი ჰობი მხოლოდ სამუშაოა - 0.
- 10) შეგიძლიათ თუ არა ყოველდღიური პრობლემების დაიწყება და უბრალოდ, დასვენება?
- ა) ამ მიზნით ყოველ თავისუფალ წუთს იყენებთ - 0;
  - ბ) ძნელი გასასწინებელია, როდის გამოვიჩნდათ ბოლოს დასვენების დრო - 1;
  - გ) ცდილობთ, რომ ხანდახან მაინც დაისვენოთ - 2.

## დააჯამეთ ქულები

0-6 ქულა: გარშემომყოფები შურის თვალით შემოგტყერიან, რადგან დასვენება ნამდვილად შეგიძლიათ. მართალია, ზოგს მიაჩნია, რომ თქვენ სამაგალითო მუშაკი არ ხართ, მაგრამ ეს სულაც არ განადგვლებთ. სიზარმაცე არ გახასიათებთ, მაგრამ როგორც კი სამსახურს გაეცლებით, გარეთ სრულიად სხვა განწყობით გადიხართ. შემოქმედებითი უნარის მქონე ადამიანი ხართ და მოსაწყენი, მდარე სამუშაო თქვენი საქმე არ არის.

7-14 ქულა: აღსანიშნავია, რომ სამუშაოს თქვენს ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს. დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა გახასიათებთ და თავს მოდუნების უფლებას სამსახურის შემდეგაც არ აძლევთ - მოუთმენლად ელოდებით მორიგი სამუშაო დღის დაწყებას, დასვენების უფლებას კი თავს მხოლოდ მაშინ აძლევთ,

როცა დარწმუნებული ხართ, რომ დაკისრებული საქმე პირნათლად გაქვთ შესრულებული. სამსახურში ძალიან გაფასებენ და გენდობიან, მაგრამ ზოგჯერ ახლობლებსაც უნდა დაუჯეროთ, რომლებიც გარწმუნებენ, რომ რამდენიმე წლის გამოუყენებელი შვეპულებით უნდა ისარგებლოთ და კარგად დაისვენოთ.

15-20 ქულა: სამსახურს იმდენად დიდ ყურადღებას უთმობთ, რომ დრო სხვა, თუნდაც წვრილმანი საქმეებისთვისაც კი არ გრჩებათ. საკუთარი თავი და მეგობრები აღარ განსოვთ, მაგრამ ფრთხილად იყავით - არ „გადაიწვათ“, ცოტა ხნით მიაწებთ საქმეებს თავი და გარეთ გაიხედეთ: ალბათ ისიც კი არ განსოვთ, თუ წელიწადის რა დროა ახლა. იქნებ, მიხვდეთ, რომ ცხოვრებაში სამუშაოს გარდა, კიდევ სხვა, მნიშვნელოვანი ფასეულობები და საზრუნავი არსებობს.



# ინგლისელს გაელვიდა და ცოცხანი აღმოჩნდა



ინგლისელი სტუდენტი ჯეიმს კრიპსი ლას-ვეგასის ერთ-ერთ კლუბში დროის გასატარებლად შევიდა და ზომაზე მეტი ალკოჰოლური სასმელი მიირთვა. იმავე საღამოს მან ავსტრალიელი გოგონა გაიცნო. „ჩვენ ძალიან მთვრალეები ვიყავით და ძალიან მოგვეწონა დაქორწინების იდეა“, – თქვა მან. ინგლისში დაბრუნების შემდეგ კრიპსი ყველაფერში გამოუტყდა თავის შეგვარებულს, რომელიც ძალიან განაწყენდა, როცა შეიტყო, რომ მას 26 წლის ავსტრალიელმა მეტოქემ აჯობა. გოგონამ მაშინვე მოსთხოვა კრიპსს, განქორწინება გაეფორმებინა, მაგრამ ეს ადვილი საქმე როდი ყოფილა: სტუდენტს არც ცოლის მისამართი აღმოაჩნდა და არც ტელეფონის ნომერი...



# იხლანდიელებმა ხემბხანდის ნახატი 20 გიხვანქა სტეხინგად შეიძინეს

ირლანდიის ეროვნულ გალერეაში ექსპერტებმა რემბრანდტის ნახატი აღმოაჩინეს. ტილო მუზეუმში 100 წელზე მეტია, რაც ინახება. 1896 წელს სურათი ლონდონში 20 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. ვარაუდობდნენ, რომ ნახატი XVII საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი მხატვრის ვილემ დე პორტერის ნაშრომი იყო. დღემდე LA MAIN CHAUDE კატალოგებში ირიცხებოდა, როგორც რემბრანდტის სკოლის ნაწარმოები და ექსპერტები მის ავტორს უდიდესი მხატვრის მოსწავლედ ან მიმდევრად თვლიდნენ, სულ ცოტა ხნის წინ კი მათ დაადგინეს, რომ ტილო თავად რემბრანდტის მიერ ყოფილა შექმნილი. LA MAIN CHAUDE-ის ჭეშმარიტ ფასს გამოცდილი სპეციალისტებიც ვერ ასახელებენ, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ ის რამდენიმე მილიონ გირვანქა სტერლინგად შეფასდება.

# გინესის წიგნის ახალი ხეივანი

გერმანიის ქალაქ აუსბურგის ოცმა ახალგაზრდა მცხოვრებმა 50 საათი და 55 წუთი გაატარა კინოეკრანთან. ამ დროის მანძილზე მათ 24 სრულმეტრაჟიანი ფილმი იხილეს. ყოველი ფილმის შემდეგ მაყურებლები 5 წუთს ისვენებდნენ, ხოლო ყოველი 3 ფილმის შემდეგ – 15 წუთს. სპეციალური კომისიის წევრები ერთმანეთს ცვლიდნენ და ასე ადევნებდნენ თვალყურს იმას, რომ „კინომანიაკებს“ მზერა არ მოეწვევიათ ეკრანისთვის.



ეს კინოსეანსი გინესის რეკორდების წიგნში დასაფიქსირებლად გაიმართა. ამგვარი სახის წინა რეკორდი შარშან ბანგოკში დამყარდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თუმცა, მთარული ხმებით, სერიალებს დაუსრულებლად მხოლოდ ქალები უყურებენ, 20 აუსბურგელ კინომოყვარულს შორის მშვენიერი სქესის მხოლოდ 6 წარმომადგენელი იყო.

# ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა გიორგი ბარამიძემ, ზურაბ ფვანიამ და მიხეილ სააკაშვილმა. ვულოცავთ ბატონ გიორგის, ბატონ ზურას და ბატონ მიხეილს და ვუსურვებთ წარმატებებს!

## წავიდა ჰეი... ის ცხოვრება აღარ არის...

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მთარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეაფასოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (20 ნოემბრის) 13 საათამდე.







**„ფანტაზია“  
წავიდა ვეე...  
ის ცხოვრება აღარ არის...**



**„ფანტაზიორებს  
გკითხველი“  
გედლავეები**



# ყოველ სამუშაო და შაბათს!

ბ32/43

გაზეთის ფასი 50 თვე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

საქართველო

47

17 ნოვემბერი

წელი. გამოდის ს...

ბესტი  
 პორსკოვი  
 ანაკლოვაძე  
 სკანავორდები  
 ქროსვორდები  
 თეატრალური ანონსი  
 კვირის ბელაპროგრამა



6



5



4



1



3



2



7

პარდისფარ უჯრებში მიიღებთ მალაქს, სადაც სოსო პავლიაშვილი მოღვაწეობს

1	მ	ს	ი	ლ	მ
2	მ	ნ	ი	მ	
3	ს	ს	მ	მ	
4		ს	მ		
5	ს	ი	მ	მ	ი
6		მ	მ		
7	მ	მ	ი		

# ყველაზე გასართობი ჟურნალი